ვაჟიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 ოქტომბერი **ოთხშაბათი** 2011
№240 (13537) ფასი 80 თეთრი

კოზია ერეკვნული ბიბლიოთეკა ასრულ!

მატჩის დაწყებამდე ლევან კოზიაშვილს 100 სანაკრებო თამაშის აღსანიშნავად საგანგებო ჯილდო გადაეცა

ქართან მისვლა გვიჭირს: ვეღარც ვაჯახუნებთ

საქართველო აღგილს ისევ ბოლოდან ითვლის

როგორ დაიწყო და...

...როგორ დამთავრდა

ალექსანდრე კოტორაშვილის დოსტიები

თამაშისა რა ვთქვათ და, ბოლო კი იყო ძართული: ძოგაგმა, ნაწილმა „წადი“ იძახა, ნაწილმა - „ძეცბაია“

2

5 საგზურიც დარიგდა: საბერძნეთი, რუსეთი, დანია, საფრანგეთი და შვედეთი

8

UEFA EURO2012 POLAND-UKRAINE

ევროვნული ნაკრები. შესარჩევი მატჩი. F ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო ადგილს ისევ ბოლოდან ითვლის

11.10. თბილისი. მ. მესხი.
9 000 მაყურებელი

საქართველო	1
საბერძნეთი	2

1:0 თარგამაძე (19), 1:1 ფოტაკისი (79), 1:2 ხარისტეასი (85, კაცურანისის პასით)

საქართველო	საბერძნეთი
4-2-3-1	4-3-3
რევიშვილი	ცორვასი
გ. კაშია	ვინტრა
ხიზანიშვილი	ციოლისი
ანისულაშვილი	პაპასტატოპულოსი
კალაძე	სპიროპულოსი
კანკავა	პაპადოპულოსი
ქოგიაშვილი	კაცურანისი
თარგამაძე	კარაგუნისი
გრიგალაშვილი	სალპინგიდისი
მარცვალაძე	ხარისტეასი
მჭედლიძე	გეკასი
მწვრთნელი	მწვრთნელი
თ. ქეცბაია	ფ. სანტუში

საქართველო

42. კანკავა – ლობჟანიძე
51. გრიგალაშვილი – იაშვილი
65. მჭედლიძე - გული

სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ხუბუტია, გრიგალავა, დვალიშვილი

საბერძნეთი

56. ციოლისი – ფოტაკისი
68. სალპინგიდისი - ათანასიადისი
90. გეკასი - კონე

სათადარიგოები: ხიოტისი, პეცოსი, მალეცასი, მაკოსი

გაფრთხილება: კანკავა (16), მჭედლიძე (22), სპიროპულოსი (43), თარგამაძე (61), ათანასიადისი (74)

არბიტრი: დ. ორსატო (იტალია)

ქართველთაგან გამორჩეულმა დავით თარგამაძემ თამაში ნაადრევად, ტრავმით დაასრულა

მატჩის 65-ე წუთზე **თემურ ქეცბაიამ** ცვლილებათა ლიმიტი ამოწურა, ხუთიოდე წუთში კი მოხდა ის, რისი დიდი საფრთხეც ასეთ დროს ყოველთვის არსებობს – ჩვენმა ფეხბურთელმა, თანაც საუკეთესომ, ტრავმა მიიღო, თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო და მოედანზე ათნი დავრჩით. მოვლენები ამ ეპიზოდამდეც ლოგიკურად ვითარდებოდა და სრულიად მოსალოდნელი იყო ამის შემდეგ მომხდარი ამბებიც – საბერძნეთის ნაკრებს გუშინ თავისი საუკეთესო შეხვედრა ნამდვილად არ ჩაუტარებია, მაგრამ იმდენი კლასი კი აღმოაჩნდა, ოცი წუთის განმავლობაში კაცნაკლულად დარჩენილი არცთუ მაღალი დონის მეტოქე გაეტეხა.

ასე დავკარგეთ ჯგუფში მეოთხე ადგილი და მხოლოდ მალტა ჩამოვიტოვეთ. მარცხს ჩვეულნი ვართ, ამ ციკლში დასახარჯი ემოციებიც უკვე დიდი ხნის წინ დავხარჯეთ, მაგრამ მაინც ძალიან გულდასაწყვეტია, რომ წავაგეთ მატჩი, რომელშიც 70-ე წუთამდე თამაშის სადავეები ხელთ გვეჭყრა. თანაც, შეხვედრის ბედი თავდაყირა მეტოქემ კი არა, უპირველესად, თავად დავაყენეთ – ფეხბურთელთათვის კრიტიკა არასდროს დაგვიკლია, მაგრამ ამჯერად ყველაზე მეტი კითხვის ნიშანი ქეცბაიას მისამართით ჩნდება – რატომ გააკეთა მან ბოლო შეცვლა ასე ნაადრევად? შეცვლილთაგან დაზიანება მხოლოდ **ჯაბა კანკავას** ეტყობოდა, მოედანზე ათი კაცით დარჩენა კი ლიმიტის ამოწურვის შემდეგ სავსებით მოსალოდნელი შემთხვევაა და თუ გუნდი გამოუვალ სიტუაციაში არაა, მწვრთნელი ბოლო ცვლილებას ბოლო წუთებისთვის იტოვებს ხოლმე.

ვერ ვიხსენებთ, ბოლოს როდის დაესწრო ასე ცოტა მაყურებელი საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო მატჩს. ინტერნეტით ქართველ ქომაგთა მოსაზრებებს გავეცანით და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სტადიონზე მისვლისგან თავი ბევრმა სწორედ ბილეთის ფასის გამო შეიკავა. "მიხეილ მესხის" ტრიბუნები სანახევროდაც ვერ შეივსო და, მართალია, თამაშის სანახაოდ მისულ პუბლიკას გუნდის გასამხნევებლად ენერგია არ დაუზოგავს, მაგრამ ცარიელი სკამები მაინც უსიამოვნო სანახავი იყო.

სამაგიეროდ, დადებითი ემოციების მომგვრელი იყო **ლევან კობიაშვილის** დაჯილდოება. შეგახსენებთ, მან ეროვნულ ნაკრებში გუშინ მეასე მატჩი ჩაატარა და თამაშის დაწყებამდე მხურვალე აპლოდისმენტების თანხლებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სპეციალური მედალი გადასცა.

...ფერნანდუ სანტუშმა თავისი გუნდის სასტარტოში სამი ნომინალური თავდამსხმელი გაამწესა, მაგრამ ამან სტუმართათვის შედეგი მხოლოდ **დავით თარგამაძის** დაშავების შემდეგ გამოიღო; საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე სიახლე ვიხილეთ, საიდანაც ყველაზე ნიშანდობლივი ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ლევან მჭედლიძის** გამწესება იყო. ჩვენმა გუნდმა შეტევაში წინა მატჩებთან შედარებით მეტი ფხა კი გამოიჩინა, მაგრამ ნომინალურ ფორვარდებს ღირებული არაფერი შეუქმნიათ, სამაგიეროდ, უაღრესად სასარგებლო და კრეატიული იყო თარგამაძე, რომელსაც თამამად შეგვიძლია, აწ გასრულებულ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების აღმოჩენა და ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წერტილი ვუწოდოთ.

თარგამაძე ქეცბას მხოლოდ გოლის გამო არ იმსახურებს, მაგრამ ნაკრების მაისურით გატანილი პირველი ბურთი მართლაც საუცხოო გამოუვიდა – მე-19 წუთზე აუტის ხაზის სიახლოვეს დანიშნული საჯარიმო პირდაპირ ბერძენთა კარში ჩაახვია და სტუმართა მეკარე და მცველები სახტად დატოვა – 1:0.

ბერძნები შედარებით გააქტიურდნენ, მაგრამ თამაშის სცენარს მაინც ქართველები აკონტროლებდნენ. შესვენებამდე ორჯერ იყოჩაღა **ნუკრი რევიშვილმა,** რომელმაც **კოსტას კაცურანისისა** და **ლუკას ვინტრას** დარტყმები მოიგერია.

პირველი ტაიმის ბოლოს კანკავა შეესაცვლელი გახდა და მოედანზე, როგორც შემდგომ გაირკვა, არაეფექტიანი გადანაცვლებები მოხდა - კანკავას მაგივრად შესულმა **უჩა ლობჟანიძემ** ადგილი ჩვეულ პოზიციაზე, დაცვის მარჯვენა ფლანგზე დაიკავა, **გურამ კაშიამ** კი ნახევარდაცვაში აიწია.

70-ე წუთამდე მოვლენები დამაიმედებლად, კვლავ ჩვენი კარნახით ვითარდებოდა, საბერძნეთი, ერთი შეხედვით, უშანსოდ იყო, ქართველები ყრუ დაცვაში არ ისხდნენ და მეტოქეს მისსავე ნახევარზე ავიწროებდნენ, მაგრამ...

70-ე წუთიდან საქმეები შავად წაგვივიდა – თარგამაძის დაკარგვის შემდეგ საქართველოს ნაკრების ლიდერობა ვერავინ იკისრა, ბერძნებმა მოედანზე გამოთავისუფლებული სივრცეები უმალ აითვისეს, დანარჩენი კი უკვე ტექნიკის საქმე იყო: ჯერ **გიორგიოს ფოტაკისის** შორეული გასროლილი **ალექსანდრე ამისულაშვილთან** შეხების შემდეგ აღმოჩნდა რევიშვილის კარში, შემდეგ კი **ანგელოს ხარისტეასმა** დაამტკიცა, რომ მისი ოსტატობა წლებს არ გაუქრია და ნაკრებში ტყუილად არ დაუბრუნებიათ – ევროპის კიდევ ერთი ჩემპიონის, **კოსტას კაცურანისის** პასის შემდეგ ბურთი ბადეში ერთი შეხედვით გაახვია.

რაც ამის შემდეგ მოხდა, ჩვენთვის ისიც ჩვეულია – ხალხმა ნაკრებს ზურგი შეაქცია და გასასვლელისკენ ნაადრევად დაიძრა, დარჩენილებმა კი "წადი, წადი" იძახეს.

ჩვენთვის ბოლოსწინა ადგილიც ჩვეულია, იცვლება მხოლოდ "წადი, წადი"-ს ადრესატები და საქმეს ისეთი პირი უჩანს, კიდევ ბევრჯერ შეიცვლება...

ლევან ჯანეზაშვილი

მატჩის შემდეგ

- სამწუხაროა, რომ წავაგეთ მატჩი, რომელიც უნდა მოგვეგო. 10 კაცით 25 წუთის ჩატარება ძნელი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, დღეს იღბალიც არ იყო ჩვენს მხარეს.

დამთავრდა შესარჩევი ეტაპი და შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო წარმატებული ციკლი. მადლობას ვუხდი იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც მთელი მატჩი იბრძოლეს, მაგრამ სამწუხაროა, რომ წავაგეთ.

- ბოლოდან მეორე ადგილი წარმატებად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. იქნებ თქვათ, რას გულისხმობთ წარმატებულ ციკლში?!

- ბოლოდან მეორე ადგილს წარმატებად როგორ ჩავთვლი. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ არა ადგილს, არამედ, გუნდის ჩამოყალიბების პროცესს, წინა ციკლში არსებულ მდგომარეობას. ჩამოყალიბდა გუნდი, რომელსაც შეუძლია ყველასთან ბრძოლა, მასში ნამდვილად იყო რაღაც პოზიტიური. თუმცა ეს წარმატებისთვის საკმარისი არაა.

იმედია, ახალი ციკლიდან ახალი ფეხბურთელებიც გამოჩნდებიან, გუნდი გაძლიერდება და შემდეგ ციკლში ჩამოყალიბდება გუნდი, რომელიც გულშემატკივრის იმედებს გაამართლებს. მეც ამბიციური მწვრთნელი ვარ და მინდა, რომ რაღაცას მივაღწიო.

- სამი ცვლილება ნაადრევად ხომ არ გააკეთეთ?

- ორი ცვლილება იძულებითი იყო და ცვლილებათა ლიმიტის ნაადრევად გამოყენება ამან გამოინვია.

- როგორ არის თარგამაძე?

- ჯერ რაიმეს თქმა მიჭირს, იმედია, სერიოზული არაფერი სჭირს.

- შემდეგ შესარჩევ ციკლამდე საკონტროლო მატჩები თუ გაიმართება?

- მოლაპარაკება გვაქვს აშშ-ის ნაკრებთან, ლაპარაკია ორი მატჩის გამართვაზე, მათგან ერთი თბილისში, მეორე კი ამერიკაში რომ ჩატარდეს. თვის ბოლომდე ყველაფერი გაირკვევა. თამაში მართლაც კარგი იქნება, განსაკუთრებით თბილისში.

- გაგიჭირდათ საკლუბო და სანაკრებო სპეციფიკაში არსებული განსხვავების დაძლევა?

- შედარებაც არ შეიძლება, ნაკრები უფრო პრესტიჟული და ძნელი სამუშაოა, ნახევარი წელი ჰაერში ვარ, ნაცვლად იმისა, რომ გუნდში ვიმუშაო. დამოკიდებული ხარ არა იმაზე, როგორ ავარჯიშებ ფეხბურთელებს, არამედ როგორ ივარჯიშებენ თავად ფეხბურთელები კლუბებში.

- თუ გრძნობთ, რომ გუნდი მოგყვებათ?

- ეს მოედანზე უნდა გამოჩნდეს. მაგრამ მეტი ხარისხი და უკეთესი კლასის მოთამაშე გვჭირდება.

- ახალგაზრდებში ჯერ არ ჩანან ფეხბურთელები, დღევანდელი მოთამაშეები რომ შეცვალონ და ვის მოყვანას აპირებთ?

- თუ ესპანეთთან წაგებით იმსჯელებთ, ცხადია, იქ ფეხბურთელის შერჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ იმედია, გაიზრდებიან და შევსებას მივიღებთ.

- კარგია, რომ ორ გოლზე მეტი არ გაგვიშვია, მაგრამ ორი გოლიც მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში გავიტანეთ და ხომ არ თვლით, რომ შეტევაში რაღაც შესაცვლელია?

- რა თქმა უნდა, რაღაცები შესაცვლელია. ამიტომაც გვსურს ახალგაზრდულ და ასაკობრივ ნაკრებებში შეთანხმებული მუშაობა, რომ ბავშვები გავზარდოთ და ნაკრების მოთხოვნებს წინასწარ შევაჩვიოთ.

მერაბ მამულაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

თემურ ქეცბაია: ლევანმა ბურთზე ბარათი ვერ ავიღეთ

F ჯგუფი

მალტა-ისრაელი 0:2

მალტა (4-4-2): ა. ჰოგი - ჯ. კარუანა (82. ბორგი), მამო, შკიბერასი, ა. აგიუსი - რ. ფენეჩი (64. ჰერერა), ბრიფა, ჰ. ფენეჩი, ვუდსი (81. კ. კარუანა) - ჰატჩრისონი, მიფსუდი.

ისრაელი (4-4-2): ავატე - ბონდარვი (57. ვერმაუტი), ბიტონი, ტავატა, გერშონი - გოლასა, ნატხო, ბუზაგლო, რაფაელოვი (49. კოენი) - ჰემედი, საჰარი (78. ბენ-ჰამი).

გოლები: 0:1 რაფაელოვი (11), 0:2 გერშონი (93)

მაყურებელი: 2 160

ხორვატია-ლატვია 2:0

ხორვატია (4-4-2): პლეტიკოშა - ჩორლუკა (32. ვიდა), ლოვრენი, შიმუნიჩი, სტრინიჩი - სრნა, რაკიტიჩი, მოდრიჩი, კრანჩარი (60. პერიშიჩი) - ედუარდო, მანძუკიჩი (84. იელავიჩი).

ლატვია (4-4-1-1): ვანინსი - კლავა, ივანოვსი, გორკსი, მიჰადიუკსი - პერეპლოტკინსი (72. გაურაკსი), რუგინსი (81. ტარასოვსი), ლაზანსი, ვიშნიაკოვსი (88. რუბინსი) - ცაუნია - რუდნევსი.

გოლები: 1:0 ედუარდო (66), 2:0 მანძუკიჩი (72)

მაყურებელი: 15 000

საბოლოო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	10	7	3	0	14-5	24
2. ხორვატია	10	7	1	2	18-7	21
3. ისრაელი	10	5	1	4	13-11	16
4. ლატვია	10	3	2	5	9-12	11
5. საქართველო	10	2	4	4	7-9	10
6. მალტა	10	0	1	9	4-21	1

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეზდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მოვლენა

ჩემი ნაკრებისთვის, ქვეყნისთვის! ლევან კობიაშვილი ასიანია ●

საბერძნეთის ნაკრებთან მატჩი ლევან კობიაშვილისთვის საიუბილეო იყო: საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა მეასედ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა.

კობიაშვილის სანაკრებო დებიუტი 1996 წლის 1 სექტემბერს შედგა ოსლოში ნორვეგიის ნაკრებთან მატჩში. უკვე 15 წელია, კობი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. მის ანგარიშზე 12 გოლია.

- რა შემიძლია ვთქვა იმის გარდა, რომ ბედნიერი ვარ... 99-ივე თამაშის დეტალურად გახსენება შემიძლია, რა და როგორ იყო, რადგან ყველა სანაკრებო მატჩი ჩემთვის განსაკუთრებული შეგრძნება და პასუხისმგებლობაა. თუმცა, სამწუხაროა, რომ დიდი ოცნება ვერ ავისრულე და ნაკრებთან ერთად დიდ ტურნირებზე ვერ ვითამაშე.

დიდი ბედნიერებაა, რომ ამდენი წელი საქართველოს ნაკრების წევრი ვარ და მწვრთნელების, გულშემატკივრების ამხელა ნდობა დავიმსახურე... მომავალში სიამაყით მოვუყვები ჩემს შვილებს, რომ ამდენი წელიწადი გავატარე ქვეყნის უპირველეს გუნდში. იყო ბევრი სირთულე, ბევრი ცუდი მოგონებაც, მაგრამ ფეხბურთი უამისოდ არ არსებობს - განაცხადა ლევან კობიაშვილმა სფფ-ის ვებგვერდთან ინტერვიუში.

- სანაკრებო დებიუტიც ასე კარგად გახსოვთ?

- მაგას რა დამავიწყებს! ნორვეგიის ნაკრების წინააღმდეგ ვითამაშე. მაშინ იმასაც ვერ წარმოვიდგენდი, განაცხადში თუ მოვხვდებოდი, ბატონმა საშა ჩივაძემ კი ძირითადში დამაყენა. გუნდმა მშვენივრად ითამაშა და თითქმის ბოლო წუთამდე 0:0 იყო, თუმცა ჩემს შეცდომას პენალტი მოჰყვა და 0:1 ნავაგეთ. მაგრამ არ დამავიწყდება, მატჩის შემდეგ რამხელა თანადგომა ვიგრძენი ყველას მხრიდან. ისიც კარგად მახსოვს, პირველად რომ ვითამაშე იტალიის წინააღმდეგ. მოთელვისას სულ იმ მხარეს ვიყურებოდი, სადაც იტალიელი ფეხბურთელები ვარჯიშობდნენ. ფანტასტიკური გუნდი ჰყავდათ, უდიდესი ფეხბურთელები...

გასახსენებელი უამრავია, ბევრი სიხარული, სამახსოვრო მომენტები, ჩემი გოლები, ნაგების ტკივილი, ქომაგების აღტაცება... ხორვატიასთან თამაში ამ მხრივ მართლაც გამორჩეული იყო. იმედი მაქვს, ნაკრებს კიდევ ბევრი სიხარულის მატჩი ექნება.

- ალბათ, მართლაც განსაკუთრებული გრძნობაა — ამდენი წელი და ამდენი მატჩი ეროვნულ ნაკრებში. ამის აღსანიშნავად უეფასგან საგანგებო ჯილდო გადმოგეცემათ.

- ეს უდიდესი პატივია. ნაკრები ჩემი ოჯახია და აქაც ყველაფერი ისე ხდება, როგორც ყველა ოჯახში: არის სიხარული, არის მწუხარება... ცოცხალი ორგანიზმივითაა. მე ყოველთვის იქ ვიდექი, სადაც ჩემიანები იყვნენ; სადაც ჩემს ოჯახს და ქვეყანას სჭირდებოდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა.

რაც შეეხება ჯილდოს, თუკი ჩათვალეს, რომ მე ჩემი ცხოვრებით და კარიერით ეს დავიმსახურე, სიამოვნებით მივიღებ და ბედნიერიც ვიქნები, რადგან საკუთარი ნაკრებისა და ჩემი ქვეყნის ერთგულებისთვის მაჯილდოვებენ. არ ვარ ის ადამიანი, ჩემი თავი სხვაზე მაღლა დავაყენო; არაერთ ჩემზე ძლიერ ფეხბურთელს უთამაშია ნაკრებში, მაგრამ მე იმაშიც გამიმართლა, რომ ამდენმა თამაშმა მომიწია და ასი შევასრულე... მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

სფფ-ის პრესსამსახური

ლევან კობიაშვილის ყველა მატჩი

1	01. 09. 1996	ამხანაგური მატჩი. ნორვეგია-საქართველო 1:0 (90 წუთი)
2	09. 10. 1996	მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იტალია-საქართველო 1:0 (90 წუთი)
3	09. 11. 1996	მრ შესარჩევი მატჩი საქართველო-ინგლისი 0:2 (90 წუთი)
4	05. 12. 1996	ამხანაგური მატჩი ლიბანი-საქართველო 4:2 (90 წუთი)
5	08. 12. 1996	ამხანაგური მატჩი ლიბანი-საქართველო 3:2 (90 წუთი)
6	30. 03. 1997	ამხანაგური მატჩი საქართველო-სომხეთი 7:0 (90 წუთი)
7	07. 06. 1997	მრ შესარჩევი მატჩი საქართველო-მოლდოვა 2:0 (90 წუთი)
8	14. 06. 1997	მრ შესარჩევი მატჩი პოლონეთი-საქართველო 4:1 (72 წუთზე შეცვალეს)
9	10. 09. 1997	მრ შესარჩევი მატჩი საქართველო-იტალია 0:0 (90 წუთი)
10	02. 05. 1998	ამხანაგური მატჩი ტუნისი-საქართველო 1:1 (90 წუთი)
11	30. 05. 1998	ამხანაგური მატჩი საქართველო-რუსეთი 1:1 (90 წუთი)
12	12. 08. 1998	ამხანაგური მატჩი აზერბაიჯ.-საქართველო 1:0 (90 წუთი)
13	19. 08. 1998	ამხანაგური მატჩი უკრაინა-საქართველო 4:0 (90 წუთი)
14	05. 09. 1998	ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ალბანეთი 1:0 (90 წუთი)
15	10. 10. 1998	ერ შესარჩევი მატჩი ლატვია-საქართველო 1:0 (90 წუთი)
16	14. 10. 1998	ერ შესარჩევი მატჩი საბერძნ.-საქართველო 3:0 (90 წუთი)
17	30. 03. 1999	ამხანაგური მატჩი საქართველო-უკრაინა 0:1 (90 წუთი)
18	27. 03. 1999	ერ შესარჩევი მატჩი საქართველო-სლოვენია 1:1 (90 წუთი)
19	28. 04. 1999	ერ შესარჩევი მატჩი საქართველო-ნორვეგია 1:4 (90 წუთი)
20	05. 06. 1999	ერ შესარჩევი მატჩი საქართველო-საბერძ. 1:2 (90 წუთი)
21	04. 09. 1999	ერ შესარჩევი მატჩი სლოვენია-საქართველო 2:1 (90 წუთი)
22	08. 09. 1999	ერ შესარჩევი მატჩი საქართველო-ლატვია 2:2 (90 წუთი)
23	09. 10. 1999	ერ შესარჩევი მატჩი ალბანეთი-საქართველო 2:1 (90 წუთი)
24	29. 03. 2000	ამხანაგური მატჩი ისრაელი-საქართველო 1:1 (90 წუთი)

გაგრძელება მე-4 გვერდზე

● ლეგიონერი

ლევან კორღალიძე

კარგი ფეხბურთელი არავის გინდათ?

მოულოდნელი ამბავი: კორღალიძე ისევ მოლდოვაში?

კიშინიოვის "დაჩიადან" სამივე ქართველი ფეხბურთელი წამოვიდა – **დავით გამეზარდაშვილი, ლევან კორღალიძე** და **ვასილ ღუჭაშვილი.** სამივე მოლდოვის ჩემპიონის „ზესტაფონთან" ნაგების მერე დაითხოვეს.

ერთადერთმა გამეზარდაშვილმა უშველა თავს და ქუთაისის "ტორპედოში" ჩაირიცხა, ღუჭაშვილი და კორღალიძე კი დღემდე კლუბებს ეძებენ.

ფაქტობრივად, ორივე თავისუფალი აგენტია, მაგრამ კიშინიოვიდან გათავისუფლების ფურცელი დღემდე არ აუღიათ. ღუჭაშვილის თაობაზე "ლელო" ახლახან წერდა: 25 წლის თავდამსხმელი „დაჩიამ" კიშინიოვის „ზიმბრუში" გაანათხოვრა, მაგრამ „ზესტაფონთან" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ნაგების შემდეგ „დაჩიაში" აღარ მიიღეს. არადა, კლუბთან კონტრაქტი დეკემბერში უმთავრდება და ღუჭაშვილი მისი განყვეტას ითხოვს.

ლევან კორღალიძეს კი გათავისუფლების ფურცელი არც დასჭირვებია და ამიტომაც არ გამოუთხოვია – უცნაური კია, გასული სეზონის მოლდოვის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელით საქართველოში არავინ დაინტერესებულა.

მან ტრავმის გამო ვერ ითამაშა "ზესტაფონთან" და ვარჯიში ერთი თვის წინ განაახლა. 30 წლის გამოცდილმა ნახევარმცველმა რუმინულ „გაზ მეთანში" გადასვლაზე უარი თავად თქვა, რადგან საქართველოს რომელიმე ლიდერ გუნდში გადასვლას იმედოვნებდა, მაგრამ დრო გავიდა და ... არავინ მიიწვია.

„საქართველოში თამაშს ვფიქრობდი, ცოტა ნაკლებზეც დავთანხმდები-მეთქი, მაგრამ ყველამ ტაქტიანი უარი მითხრა. უგუნდოდ არ დავრჩები, მაგრამ ქართული კლუბებისგან იგნორირებამ გამაკვირვა. ახლახან კი, ჩემთვის მოულოდნელად, "დაჩიას" ყოფილი მეპატრონე ასლან შიშხანოვი დამიკავშირდა. "დაჩიადან" გათავისუფლების ფურცელი დღემდე არ ამიღია და მკითხა, შენზე არანაირი სატრანსფერო მოთხოვნა არ ყოფილა და რა ხდებაო. ვუთხარი, რომ საქართველოში კლუბი ვერ მოვძებნე და ამ დროს მითხრა, "დაჩიას" ნაცვლად კიშინიოვის "ზიმბრუ" ავიყვანეო.

საბედნიეროდ, "ზესტაფონთან" მატჩის მერე ყველაფერი გაირკვა, მიხვდა, რომ თამაშის გაყიდვა-ნაგებას გამეზარდაშვილს ტყუილად აბრალებდნენ და ეს მითხრა კიდეც, ბოლოს კი, ჩემდა გასაკვირად, "ზიმბრუში" გადასვლა შემომთავაზა, დაფიქრდი და პასუხი მითხარიო.

ჯერ არსად წავალ, თუ აქ ვერაფერი ვნახე, დავთანხმდები და იანვარში კონტრაქტს გავაფორმებ, რადგან ჩვენთან ყველამ დამივიწყა, არავინ დამკავშირებია და თუ ასე გაგრძელდა, ისევ მოლდოვაში თამაში მირჩევნია. სამწუხაროდ, ვამჩნევ, სხვა გზა არც დამრჩენია", - ამბობს კორღალიძე.

როგორი საქმეა, მოლდოვის საუკეთესო ფეხბურთელი თავად ითხოვს საქართველოს ჩემპიონატში თამაშს და რა ჩვენი გასარჩევია, ვინ მიიღებს და ვინ არა, მაგრამ, ღმერთმანი, ძალიან გაგვკვირვებია – ნუთუ, ასეთი მაღალი დონის ჩემპიონატი გვაქვს?

მერაბ მამულაშვილი

● დინამო

ლორია მოედანს დაუბრუნდა

საანაკრებო შესვენებისას თბილისის "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **ალექს გარსიამ** დინამოელები სამი დღე დაასვენა, 10 ოქტომბერს კი ისევ დიღმის სანვრთნელ ბაზაზე შეკრიბა.

გუნდმა სრული შემადგენლობით ივარჯიშა — "დინამოს" ახალგაზრდული ნაკრების წევრები **ნიკა კვეკვესკირი, ირაკლი ლექვთაძე, დათა ხოჭოლავა** და **გიორგი ნადირაძე** დაუბრუნდნენ.

. და მთავარი ამბავი: მარტვილის "მერანთან" დაშავების მერე პირველად ივარჯიშა მეკარე **გიორგი ლორიამ**, რომელიც 16 ოქტომბერს რუსთავის "მეტალურგთან" თამაშს იმედოვნებს.

გუნდთან ერთად არ ყოფილა "დინამოს" კაპიტანი **ალექსანდრე კოშკაძე,** რომელიც ეროვნული გუნდის შემადგენლობაში საბერძნეთის ნაკრებთან სათამაშოდ ემზადებოდა.

მერაბ მამულაშვილი

რეკლამის მენეჯერის ვაკანსია „ლელოში"

E-mail:hr@kvirispalitra.com

ქართული ფეხბურთი

მოვლენა

25	04. 06. 2000	ამხანაგური მატჩი
აზერბაიჯ.-საქართველო 0:0		
90 წუთი		
26	11. 06. 2000	ამხანაგური მატჩი
ესტონეთი-საქართველო 1:0		
90 წუთი		
27	16. 08. 2000	ამხანაგური მატჩი
ირანი-საქართველო 2:1		
90 წუთი		
28	07. 10. 2000	მრ შესარჩევი მატჩი
ლიტვა-საქართველო 0:4		
90 წუთი		
29	11. 10. 2000	მრ შესარჩევი მატჩი
იტალია-საქართველო 2:0		
90 წუთი		
30	14. 02. 2001	ამხანაგური მატჩი
საქართველო-უკრაინა 0:0		
90 წუთი		
31	28. 03. 2001	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-რუმინეთი 0:2		
90 წუთი		
32	02. 06. 2001	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-იტალია 1:2		
90 წუთი		
33	06. 06. 2001	მრ შესარჩევი მატჩი
უნგრეთი-საქართველო 4:1		
90 წუთი, გოლი		
34	01. 09. 2001	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-უნგრეთი 3:1		
90 წუთი		
35	05. 09. 2001	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-ლიტვა 2:0		
90 წუთი		
36	06. 10. 2001	მრ შესარჩევი მატჩი
რუმინეთი-საქართველო 1:1		
90 წუთი		
37	27. 03. 2002	ამხანაგური მატჩი
საქართველო-ს. აფრიკა 4:1		
90 წუთი, გოლი		
38	17. 04. 2002	ამხანაგური მატჩი
უკრაინა-საქართველო 2:1		
90 წუთი		
39	21. 08. 2002	ამხანაგური მატჩი
თურქეთი-საქართველო 3:0		
90 წუთი		
40	08. 09. 2002	ერ შესარჩევი მატჩი
შვეიცარია-საქართველო 4:1		
90 წუთი		
41	29. 03. 2003	ერ შესარჩევი მატჩი
საქართველო-ირლანდია 1:2		
90 წუთი, გოლი		
42	02. 04. 2003	ერ შესარჩევი მატჩი
საქართველო-შვეიცარია 0:0		
90 წუთი		
43	06. 09. 2003	ერ შესარჩევი მატჩი
საქართველო-ალბანეთი 3:0		
90 წუთი		
44	10. 09. 2003	ერ შესარჩევი მატჩი
ალბანეთი-საქართველო 3:1		
90 წუთი		
45	11. 09. 2003	ერ შესარჩევი მატჩი
რუსეთი-საქართველო 3:1		
90 წუთი		
46	27. 06. 2004	ამხანაგური მატჩი
საქართველო-ისრაელი 0:1		
90-ე წუთზე შეცვალეს		
47	18. 08. 2004	ამხანაგური მატჩი
მოლდოვა-საქართველო 1:0		
79-ე წუთზე შეცვალეს		
48	08. 09. 2004	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-ალბან. 2:0		
90 წუთი		
49	13. 10. 2004	მრ შესარჩევი მატჩი
უკრაინა-საქართველო 2:0		
90 წუთი		
50	17. 11. 2004	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-დანია 2:2		
90 წუთი		
51	26. 03. 2005	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-საბერ. 1:3		
90 წუთი		
52	30. 03. 2005	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-თურქეთი 2:5		
90 წუთი		
53	04. 06. 2005	მრ შესარჩევი მატჩი
ალბანეთი-საქართველო 3:2		
90 წუთი, გოლი		
54	17. 08. 2005	მრ შესარჩევი მატჩი
ყაზახეთი-საქართველო 1:2		
90 წუთი		
55	03. 09. 2005	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-უკრაინა 1:1		
79-ე წუთზე შეცვალეს		
56	07. 09. 2005	მრ შესარჩევი მატჩი
დანია-საქართველო 6:1		
90 წუთი		
57	08. 10. 2005	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-ყაზახეთი 0:0		
90 წუთი		
58	12. 10. 2005	მრ შესარჩევი მატჩი
საბერძნ.-საქართველო 1:0		
90 წუთი		
59	12. 11. 2005	ამხანაგური მატჩი
ბულგარ.-საქართველო 6:2		
90 წუთი		
60	27. 02. 2006	ამხანაგური მატჩი
მოლდოვა (ახალ.)-საქარ. 5:1		
45 წუთი (შეცვლაზე შევიდა)		
61	01. 03. 2006	ამხანაგური მატჩი
მალტა-საქართველო 0:2		
90 წუთი		
62	27. 05. 2006	ამხანაგური მატჩი
ახ. ზელან.-საქართველო 3:1		
90 წუთი		
63	16. 08. 2006	ერ შესარჩევი მატჩი
ფარერები-საქართველო 0:6		
90 წუთი, გოლი		
64	02. 06. 2006	ერ შესარჩევი მატჩი
საქართველო-საფრან. 0:3		
90 წუთი		
65	06. 09. 2006	ამხანაგური მატჩი
უკრაინა-საქართველო 3:2		
90 წუთი		
66	07. 10. 2006	ამხანაგური მატჩი
გერმანია-საქართველო 2:0		
90 წუთი		
67	15. 11. 2006	ამხანაგური მატჩი
საქართველო-ურუგვაი 2:0		
90 წუთი, 2 გოლი		
68	24. 03. 2007	ერ შესარჩევი მატჩი
შოტლან.-საქართველო 2:1		
90 წუთი		
69	28. 03. 2007	ერ შესარჩევი მატჩი
საქართველო-ფარერები 3:1		
61-ე წუთზე შეცვალეს		
70	02. 06. 2007	ერ შესარჩევი მატჩი
ლიტვა-საქართველო 1:0		
90 წუთი		
71	22. 08. 2007	ამხანაგური მატჩი
ლუქსემ.-საქართველო 0:0		
31-ე წუთზე შეცვალეს		
72	27. 06. 2008	ამხანაგური მატჩი
ესტონეთი-საქართველო 1:1		
90 წუთი		
73	31. 05. 2008	ამხანაგური მატჩი
პორტუგ.-საქართველო 2:0		
46-ე წუთზე შეცვალეს		
74	06. 09. 2008	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-ირლანდია 1:2		
90 წუთი		
75	10. 09. 2008	მრ შესარჩევი მატჩი
იტალია-საქართველო 2:0		
90 წუთი		
76	11. 10. 2008	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-კვიპროსი 1:1		
90 წუთი, გოლი		
77	15. 10. 2008	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-ბულგარ. 0:0		
90 წუთი		
78	19. 11. 2008	ამხანაგური მატჩი
რუმინეთი-საქართველო 2:1		
69-ე წუთზე შეცვალეს		
79	11. 02. 2009	მრ შესარჩევი მატჩი
ირლანდია-საქართველო 2:1		
90 წუთი		
80	28. 03. 2009	მრ შესარჩევი მატჩი
კვიპროსი-საქართველო 2:1		
90 წუთი, გოლი		
81	28. 03. 2009	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-ჩერნოგ. 0:0		
90 წუთი		
82	06. 06. 2009	ამხანაგური მატჩი
საქართველო-მოლდოვა 1:2		
70-ე წუთზე შეცვალეს		
83	10. 06. 2009	ამხანაგური მატჩი
ალბანეთი-საქართველო 1:1		
მე-80 წუთზე შეცვალეს		
84	12. 08. 2009	ამხანაგური მატჩი
მალტა-საქართველო 2:0		
90 წუთი		
85	05. 09. 2009	მრ შესარჩევი მატჩი
საქართველო-იტალია 0:2		
90 წუთი		
86	14. 10. 2009	მრ შესარჩევი მატჩი
ბულგარ.-საქართველო 6:2		
90 წუთი, გოლი		
87	03. 03. 2010	ამხანაგური მატჩი
საქართველო-ესტონეთი 2:1		
90 წუთი, გოლი		
88	25. 05. 2010	ამხანაგური მატჩი
ყამერუნი-საქართველო 0:0		
90 წუთი		
89	11. 08. 2010	ამხანაგური მატჩი
მოლდოვა-საქართველო 0:0		
90 წუთი		
90	03. 09. 2010	ერ შესარჩევი მატჩი
საბერძნ.-საქართველო 1:1		
90 წუთი		
91	07. 09. 2010	ერ შესარჩევი მატჩი
საქართველო-ისრაელი 0:0		
90 წუთი		
92	08. 10. 2010	ერ შესარჩევი მატჩი
საქართველო-მალტა 1:0		
90 წუთი		
93	12. 10. 2010	ერ შესარჩევი მატჩი
ლატვია-საქართველო 1:1		
90 წუთი		
94	09. 02. 2011	ამხანაგური მატჩი
სომხეთი-საქართველო 1:2		
46-ე წუთზე შეცვალეს		
95	26. 03. 2011	ერ შესარჩევი მატჩი
საქართველო-ხორვატია 1:0		
90 წუთი, გოლი		
96	29. 03. 2011	ერ შესარჩევი მატჩი
ისრაელი-საქართველო 1:0		
90 წუთი		
97	10. 08. 2011	ამხანაგური მატჩი
პოლონ.-საქართველო 1:0		
73-ე წუთზე შეცვალეს		
98	02. 09. 2011	ერ შესარჩევი მატჩი
საქართველო-ლატვია 0:1		
90 წუთი		
99	06. 09. 2011	ერ შესარჩევი მატჩი
მალტა-საქართველო 1:1		
90 წუთი		
100	11.10.2011	ერ შესარჩევი მატჩი
საქართველო-საბერძ. 1:2		
90 წუთი		

ტორპედო

ტორპედომ ლატვიიდან ფორვარდი დაიმატა

ქუთაისის „ტორპედოსა“ და ხარაგაულის "ჩხერიმელას" ამხანაგური მატჩის პირველ ტაიმში ქუთათურთა შემადგენლობაში ლატვიის "ოლიმპსის" 21 წლის ფორვარდი **დავით ჯანელიძე** გამოჩნდა, რომელიც აქტიური თამაშით გამოირჩეოდა.

როგორც შევიტყვეთ, ჯანელიძემ ლატვიურ კლუბთან კონტრაქტი განყვიტა, თუმცა "ტორპედოში" მისი ჩარიცხვა ჯერ არ გადაწყვეტილა.

არც ისე შორეულ წარსულში დათოს პერსპექტიული თავდამსხმელის სახელი ჰქონდა და ხმაურიანი სკანდალის მონანილეც გახდა: 2006 წელს „თბილისის“ რამდენიმე ფეხბურთელი **კობა ყორჟიკაშვილმა** „ზესტაფონში“ გადაიყვანა, რამაც ეს ორი კლუბი ერთმანეთს დააპირისპირა - "საბითუმო“ გადაბირების შემდეგ ხომ "ზესტაფონში“ მისი დღევანდელი ლიდერები აღმოჩნდნენ **- როინ კვასხვაძე, გიორგი ხიდეშელი, ბუბა დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, ირაკლი ძარია...** მათ შორის იყო დავით ჯანელიძეც, იმხანად ასაკობრივი ნაკრების ფორვარდი.

ის "ზესტაფონში“ სკანდალით მივიდა და კლუბი სკანდალითვე დატოვა. მერე ნახევარი წელი უმაღლეს ლიგაში, ცხინვალის "სპარტაკში“ იჯარით ითამაშა, შემდეგ კი საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **ალეკო რეხვიაშვილმა** უცხოეთის გზას გაუყენა - ჯერ ვენტსპილსის "ტრანზიტში“ გადაიყვანა, მერე რიგის „სკონტოს“ ფარმკლუბ "ოლიმპსში“, სადაც "სკონტოს“ მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ სტარკოვსმა** შენიშნა და მიიწვია.

"სკონტოში“ თავიდან ძირითადში თამაშობდა, თუმცა ლატვიის ყველაზე ტიტულოვან კლუბში დიდხანს არ გაჩერებულა, რადგან კოჭი გადაუტრიალდა, იძულებით დაისვენა და შემადგენლობიდან ამოვარდა. მერე კლუბთან კონტრაქტიც დაუსრულდა და 2011 წლის დასაწყისში ისევ "ოლიმპსში" დაბრუნდა.

მერაბ მამულაშვილი

დავით ჯანელიძე

ამხანაგური მატჩი

ეს არის ამხანაგობა?

ქუთაისის "ტორპედოს" ვებგვერდის ცნობით, გუნდმა ჩემპიონატში პაუზით ისარგებლა და პირველიგელ ხარაგაულის „ჩხერიმელას“ ამხანაგურ მატჩში უმასპინძლა.

გია გეგუჩაძის გუნდმა ტაიმები სხვადასხვა შემადგენლობით ითამაშა. მატჩი ქუთაისელთა კარნახით წარიმართა და მე-18 წუთზე **რევაზ გოცირიძემ** ანგარიში გახსნა. 41-ე წუთზე მასთან გათამაშებული კომბინაციით მეკარესთან პირისპირ **ნიკოლოზ საბანაძე** გავიდა და დაუცველ კუთხეში დარტყმით ანგარიში 2:0 გახადა.

ტაიმის ბოლო წუთზე სტუმართა კიპერს ბურთი **გიორგი დათუნაიშვილმა** აართვა, რევაზ გოცირიძეს გადასცა და - 3:0.

მეორე ტაიმში ტორპედოელებმა კიდევ 4 ბურთი შეაგდეს — 54-ეზე **გიორგი კუხიანიძემ** და 61-ეზე **გრიგოლ დოლიძემ დავით ბოლქვაძის** პასებით, შემდეგ კი თავად ბოლქვაძეს, 69-ე წუთზე კი **გია მეგრელაძეს** ასისტენტობა დოლიძემ გაუწია.

საბოლოოდ, ამხანაგური მატჩი ერთობ არაამხანაგური შედეგით დასრულდა - 7:0.

„ტორპედო“ (პირველი ტაიმში): ქვილითაია, გამეზარდაშვილი, თოდუა, მანჩხავა, ფოფხაძე, ჩიკვილაძე, იოსელიანი, ჯანელიძე, დათუნაიშვილი, საბანაძე, გოცირიძე. (მეორე ტაიმში): მიგინეიშვილი, გურული, მირცხულავა, ფარულავა, ტაბატაძე, თარხნიშვილი, კუხიანიძე, კირკიტაძე, ბოლქვაძე, დოლიძე, მეგრელაძე.

მერაბ მამულაშვილი

ტორპედო-ჩხერიმელა. გია მეგრელაძის გოლი

ფოტო: www.fctorpedo.ge

ფუტსალი

წილისყრამ ლისაბონში გაგვამწესა

გუშინ უეფას შტაბბინაში უეფას ფუტსალის თასის ელიტრაუნდის წილისყრა გაიმართა და საქართველოს ჩემპიონ "იბერია სტარის" მეტოქეებიც გაირკვა – ჩვენი გუნდი ურთიერთობას პორტუგალიურ "სპორტინგთან", რუმინულ "ტარგუ მურეშსა" და უნგრულ "დიორი ეტოსთან" გაარკვევს.

მატჩები ლისაბონში 12-20 ნოემბერს გაიმართება, ფინალურ ოთხეულში კი მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ.

ლევან ჯანეზაშვილი

უცნობი ქართველი

ირაკლი კვეკვესკირი იანვარს ელის

ირაკლი კვეკვესკირი აფხაზეთში დაბადებული 19 წლის ფეხბურთელია. ომის შემდეგ მისი ოჯახი მოსკოვში დასახლდა, თავად კი, როგორც ფეხბურთელი, მოსკოვის "დინამოში" გაიზარდა და ამ გუნდის დუბლშემადგენლობაშიც ხვდებოდა, მაგრამ მერე "კრასნოდარში" გადავიდა, საიდანაც უნგრეთში აღმოჩნდა – პირველი ლიგის „პეჩში“ ჩაირიცხა. სწორედ ამ კლუბიდან მიინვია **ოთარ გაბელიამ** საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში და ავსტრიის საერთაშორისო ტურნირზე თავის გამოჩენის შანსი მისცა.

მას შემდეგ 19 წლის მარცხენა მცველზე ბევრი არაფერი გვსმენოდა, გუშინ კი დავუკავშირდით და შევიტყვეთ, რომ ახლახან "პეჩიდან" სხვა უნგრულ კლუბში, სზტკ-ენიმაში გაანათხოვრეს.

"კლუბიდან წამოსვლა არც მიფიქრია, რომ არა მთავარ მწვრთნელთან კონფლიქტი. იძულებული გავხდი, სხვა კლუბში გადავსულიყავი, მაგრამ ეს დროებითი ამბავია, ენიმაში ზამთრამდე გამანათხოვრეს, მერე კი "პეჩში" დავბრუნდები, თუმცა არა მგონია, იქ გავჩერდე. ვფიქრობ, იანვარში კლუბს შევიცვლი, რადგან არის რამდენიმე წინადადება და მენეჯერი მოლაპარაკებას ანარმოებს" – გვითხრა კვეკვესკირმა.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სადისციპლინო ამბავი

მაპპაჭიეთ!

ინგლისის ნაკრების 25 წლის ვარსკვლავმა, **უეინ რუნიმ** ფიფას წერილი მისწერა, რომელშიც პატიებას ითხოვს. რუნის უნდა, რომ ამ ორგანიზაციის სადისციპლინო კომისიამ იგი ჩერნოგორიასთან შეხვედრაში გაძევების გამო მკაცრად არ დასაჯოს და ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია აკმაროს. შვეიცარიაში, ფიფას ოფისში, სადისციპლინო საკითხებს ხუთშაბათს განიხილავენ.

ამანათს, რომელიც რუნიმ ციურიხში გაგზავნა, თან ინგლისის ნაკრების მწვრთნელის, **ფაბიო კაპელოს** წერილი და რუნის საქციელის გამამართლებელი DVD ახლავს, რომელზეც შეხვედრის რამდენიმე ეპიზოდია ჩაწერილი. ჩანაწერიდან ჩანს, რომ ფეხბურთელს მოედნის დატოვებისას პროტესტი არ გამოუთქვამს, მსაჯის გადაწყვეტილებას დაეთანხმა და დაემორჩილა. ამასთან DVD-ს დახმარებით ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუნის საქციელი აგრესიის გამოვლინება კი არა, გაღიზიანებული კაცის შეცდომა იყო.

სხვათა შორის, ამაში ინგლისელ ვარსკვლავს, შეძლებისდაგვარად, მხარი გერმანელმა მსაჯმა, **ვოლფგანგ სტარკმაც** დაუჭირა. ეს სწორედ ის არბიტრია, რომელმაც რუნი ჩერნოგორიელი **მიოდრაგ ძუდოვიჩის** წინააღმდეგ უხეშობისთვის გააძევა. მან ფიფას მოახსენა, რომ წითელი ბარათის ამოღების შემდეგ ფეხბურთელი თვინიერად მოიქცა და მოედანი ყოველგვარი პროტესტის გარეშე დასტოვა.

რა საჭირო იყო წერილების გაგზავნა? საქმე ის გახლავთ, რომ ფიფას წესის თანახმად, სადისციპლინო საკითხების განხილვას არავინ უნდა დაესწროს. არც თავად ფეხბურთელს აქვს ამის უფლება. ფიფა დამოუკიდებლად გადაწყვეტს, უნდა დაამტკოს რაიმე სასჯელი რუნის თუ ის ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია აკმაროს, რომელიც ნებისმიერ მოთამაშეს გაძევების გამო ავტომატურად ერგება.

● ჩელსი

საღაც ლონდონი, იქაც მახაჭყალა

ის, რასაც მსოფლიოს ბევრი დიდი ქალაქი ვერ ახერხებს, მახაჭყალამ მოახერხა — ერთ რამეში მაინც გაუსწორდა ლონდონს. ფეხბურთელების ყიდვას ვგულისხმობთ. აქვს ფული დაღესტნის კლუბ „ანჟის“ და ევროპის უდიდეს კლუბებს ეზომება. აი, ახლაც, „ჩელსისგან“ 30 წლის მცველის, **ეშლი კოულის** წამოყვანა მოიწადინა. ხელფასსაც მაცდურს სთავაზობს — კვირაში 200 ათას ფუნტს.

შეგახსენებთ, რომ „ანჟის“ სულმა და გულმა, ლეკმა მილიარდერმა, 45 წლის **სულეიმან ქერიმოვმა** ცოტა ხნის წინ, მილანის „ინტერისგან“ 30 წლის კამერუნელი **სამუელ ეტოო** გადაიბირა და კვირაში წარმოუდგენლად ბევრს, 350 ათას ფუნტს უხდის. როგორც ხედავთ, ახლა ქერიმოვს კოულის ყიდვა მონდომებია, რომელსაც „ლურჯებთან“ მომავალი სეზონის ბოლოს გაუდის კონტრაქტის ვადა. ინგლისური ტაბლოიდები წერენ, რომ „ჩელსის“ მცველს მახაჭყალაში გადაბარგება ჭკუაში დაუჯდა. თურმე, მას ძალიან მოეწონა ხელფასი და ვადა, რომლის განმავლობაშიც დაღესტნელები ამ თანხას სთავაზობენ — ლაპარაკია ოთხწლიან ხელშეკრულებაზე.

როგორც ამბობენ, „ანჟის“ უფროსობას კოულის ყიდვა მისმა მოთამაშემწვრთნელმა, ბრაზილიელმა **რობერტო კარლოსმა** შესთავაზა. მოგეხსენებათ, 38 წლის ლეგენდარული ფეხბურთელი პირველი მსხვილკალიბრიანი, მაგრამ მობერებული ვარსკვლავი გახლდათ, რომელიც ქერიმოვის თამამ პროექტს შეუერთდა.

ამბობენ, რომ კარლოსმა ქერიმოვს მაგიდაზე სხვა სასურველი ფეხბურთელების სიაც დაუდო. ამ სიაში, თურმე, „ჩელსისავე“ **ნიკოლა ანელკა**, „არსენალის“ **რობინ ვან პერსი** და „სანტოსის“ 19 წლის ამომავალი ვარსკვლავი, **ნეიმარი** წერია. ბრაზილიელმა თქვა:

„თუ სატრანსფერო თანხას „რეალი“, „ბარსელონა“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ვერ იხდიან, ჩვენ გადავიხდით. სულეიმან ქერიმოვს აქვს საშუალება, რომ რაც სურს ის აღასრულოს“.

ეშლი კოული

● სატრანსფერო ამბავი

34 მილიონი ერთ ბარდაში

ინგლისს მოულოდნელი ამბავი მოედო: „მანჩესტერ იუნაიტედის“ მექსიკელი თავდამსხმელის, 23 წლის **ხავიერ ერნანდესის** იმავე **ჩიჩარიტოს** ანუ „პატარა ბარდას“ ყიდვა მადრიდის „რეალს“ მონდომებია და 30 მილიონ ფუნტს, ანუ 34,5 მილიონ ევროს იხდის. კაცმა რომ თქვას, იმაში, რომ „სამეფო კლუბს“ ჩიჩარიტოს შეძენა მოუნდა, გასაკვირი არაფერია, მაგრამ არც ის არის საოცარი, „იუნაიტედის“ თავკაცს სერ **ალექს ფერგიუსონს** 34,4 მილიონ ევროს ბიჭის შენარჩუნება რომ ურჩევნია. მეტიც, ფერგიუსონი აპირებს ჩიჩარიტოს ახალი, ხუთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმოს და გასამრჯელო სამჯერ გაუზარდოს — კვირაში 25 ათასი ფუნტის ნაცვლად 75 ათასი გადაუხადოს.

ხავიერ ერნანდესი

თუმცა, არასოდეს თქვა, არასოდესო, ნათქვამია. ბოლოს და ბოლოს ძალიან ბევრი რამ ფულით ინონება. კერძოდ, ამბობენ, რომ „რეალი“ ერნანდესს ფერგიუსონის გაზრდილ ხელფასზე ორჯერ მეტს ჰპირდება, ხოლო სატრანსფერო თანხა, რომელსაც მანჩესტერელებს სთავაზობს, იმაზე ზუსტად ხუთჯერ მეტია, რაც წელიწად-ნახევრის წინ „იუნაიტედმა“ მექსიკურ კლუბ „ჩივასს“ გადაუხადა. და, კიდევ რომ ნაამატოს?.. განა ჩიჩარიტოს გაყიდვა „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“, როგორც კომერციული ორგანიზაციისთვის, წარმატებული არ იქნება? თან, ყველა მხარე კმაყოფილი დარჩება.

მადრიდელთა პორტუგალიელ თავკაც **ჟოზე მოურინიოს** ერნანდესის სანაცვლოდ ფერგიუსონისთვის ფულის შეთავაზება იანვარშიც შეუძლია, მაგრამ გაზეთები წერენ, რომ ზაფხულამდე დაიცდის. ფერგიუსონი კი, თავის მხრივ, იმედოვნებს, რომ **კრიშტიანო რონალდოსგან** განსხვავებით, ჩიჩარიტოს ოცნება „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადასვლა არ არის. შეგახსენებთ, რომ „პატარა ბარდამ“ გასულ სეზონში, რომელიც „იუნაიტედის“ შემადგენლობაში მისთვის სადებიუტო იყო, ყველასთვის მოულოდნელად 20 გოლი გაიტანა და **უეინ რუნისთან** საუცხოო წყვილი შექმნა.

და ბარემ აქვე მოგახსენებთ, რომ პრემიერლიგის მომავალ ტურში „მანჩესტერ იუნაიტედს“ მისი ძველი მოქიშპე „ლივერპული“ ხვდება და ამ შეხვედრაში მსაჯად **ანდრე მარინერი** დანიშნეს. „იუნაიტედისა“ და „ლივერპულის“ შეხვედრა მარინერმა ბოლოს 2009 წელს იმსაჯა და ფერგიუსონი გააბრაზა — **ნემანია ვიდიჩი** გააგდო მოედნიდან.

ლემპარდი სტარიჯს სთავაზობს

„ჩელსის“ ნახევარმცველი, ვეტერანი **ფრენკ ლემპარდი**, რომელიც გასულ ზაფხულს უკვე 33 წლისა მოიყარა, ამბობს, რომ ინგლისის ნაკრებს ევრო-2012-ის დღეებში მისი ახალგაზრდა თანაგუნდელის, 22 წლის **დენიელ სტარიჯის** იმედი უნდა ჰქონდეს — მოგეხსენებათ, **უეინ რუნის** მიერ ჩერნოგორიასთან შეხვედრაში მიღებულმა წითელმა ბარათმა ინგლისში ერთგვარი პანიკა გამოიწვია. თუ ფიფა რუნის ავტომატურ ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას კიდევ ერთ ან ორ თამაშს დაამატებს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანს პოლონეთსა და უკრაინაში, დასაწყისში მაინც, სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა, რაც იმას ნიშნავს, რომ **ფაბიო კაპელომ** მის ნაცვლად ვინმე სხვა უნდა ათამაშოს.

ინგლისის ნაკრებს, ნოემბერში, მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთთან აქვს ამხანაგური მატჩი დაგეგმილი და, სავარაუდოდ, სტარიჯს იქ მიეცემა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ჩერნოგორიასთან შეხვედრაში კაპელოს „ჩელსისა“ თავდამსხმელი შეკრებაზე გამოძახებული ჰყავდა, მაგრამ უშუალოდ შეხვედრის განაცხადში აღარ შეიყვანა. თუ ინგლისელთა იტალიელი მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილ ამხანაგურ შეხვედრებს ახალგაზრდა ფეხბურთელების შემოწმებისა და თავის ტაქტიკასთან შეჩვევისთვის გამოიყენებს, მაშინ, შესაძლოა სტარიჯის შანსი კიდევ უფრო გაიზარდოს. ასეა თუ ისე, ისეთი გამოცდილი ფიგურა, როგორიც ლემპარდია, უმცროს თანაგუნდელს ბოლომდე ენდობა და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს:

დენიელ სტარიჯი

„იმაში, რომ დენიელი დიდ სანაკრებო ფეხბურთს ითამაშებს, ეჭვი არ მეპარება, ჩემთვის, უბრალოდ, საინტერესოა, როდის მოხდება ეს. გარწმუნებთ, მას ყველა მონაცემი აქვს „ჩელსისა“ და ეროვნული გუნდის ნამდვილი ვარსკვლავი რომ გახდეს. სტარიჯი ტექნიკურია, მეტად სწრაფი, მეურვისგან დასხლტომისა და გოლის გატანის განსაკუთრებული უნარი აქვს. მას შეუძლია არაფრისგან შექმნას მომენტი, რაც გულშემატკივარს აღაფრთოვანებს“.

სტარიჯმა ლურჯი მაისურით წინა მწვრთნელის, **კარლო ანჩელოტის** ხელმძღვანელობითაც ითამაშა, მაგრამ მაშინ ის ხუთი თვით „ბოლტონს“ მიაქირავეს. გასულ ზაფხულს „ჩელსიში“, მოგეხსენებათ, ახალი მწვრთნელი, პორტუგალიელი **ანდრე ვილაშ-ბოაში** მივიდა, რომელსაც „ბოლტონიდან“ დაბრუნებული ფორვარდი ძალიან მოეწონა და მეტად ენდო, ვიდრე ანჩელოტი ენდობოდა.

ისევ ლემპარდი: *„ბოლტონში გატარებულმა დრომ სტარიჯს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა შესძინა. ეს სწორედ ის თვისებაა, რომელიც პრემიერლიგაში თამაშს სჭირდება. ყველაფერი ძალიან კარგად აეწყო. „სტემფორდ ბრიჯზე“ მას თამაშის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომაც გადავიდა ისეთ გუნდში, სადაც ათამაშეს, გოლების გატანას გემო გაუგო და სულ სხვა ფეხბურთელად დაგვიბრუნდა. მწვრთნელმაც დააფასა - პირდაპირ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად აქცია“.*

● არსენალი

შეთავაზება ვან პერსის

რობინ ვან პერსი

28 წლის ჰოლანდიელი ვარსკვლავი, **რობინ ვან პერსი** „არსენალისგან“ ახალ შეთავაზებას მიიღებს. ჩრდილოლონდონურ კლუბში გრძნობენ, რომ კიდევ ერთი ვარსკვლავის დაკარგვის უფლება არ აქვთ და ამიტომ წლობით შემუშავებული სახელფასო სტრუქტურის დარღვევას აპირებენ. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ვან პერსიმ ინტერვიუში თქვა, სანამ სეზონი არ დამთავრდება, ახალ ხელშეკრულებაზე არც დავილაპარაკებ, ხოლო მერე რას ვიზამ, არ ვიცი. ერთი სიტყვით, ვარსკვლავმა, რომელსაც „მეთოფეებთან“ ხელშეკრულება 2013 წელს უმთავრდება, თქვა, რომ „ემირეთი სთედიუმზე“ დარჩენის პირობას არ დებს.

ის, რომ ვან პერსის კონტრაქტს ვადა 2013 წელს გაუდის იმას ნიშნავს, რომ კლუბმა ფორვარდს 2012 წელს მაინც უნდა დაადებინოს ახალი პირობა, თორემ, მერე ის თავისუფალი აგენტი გახდება. შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს „არსენლმა“ ორი წამყვანი ფეხბურთელი, **სამირ ნასრი** და კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** გაყიდა.

დღეს ვან პერსის ხელფასი კვირაში 70 ათასი ფუნტია. ცოტა ხნის წინ მას „მანჩესტერ სიტიმ“ კვირაში 90 ათასი შესთავაზა, მაგრამ ჰოლანდიელმა პასუხად უარი შეუთვალა. ახლა ამბობენ, რომ „მეთოფეებიც“ 90 ათასამდე გაუზრდიან გასამრჯელოს.

რაც შეეხება ახალი კონტრაქტის ხანგრძლივობას, „არსენალის“ ხელმძღვანელობის აზრით, ის ოთხწლიანი უნდა იყოს, რაც კიდევ ერთი საკლუბო პრინციპის დარღვევაა. საქმე ის გახლავთ, რომ აქამდე, „ემირეთი სთედიუმზე“ 30 წელს მიღწეულ ფეხბურთელებს რამდენიმენწლიან თანამშრომლობას არ სთავაზობდნენ, თუმცა... ვან პერსი ნამდვილად არ იქნება პირველი, ვის გამოც ამ პრინციპს გადაუხვევენ. „ევერტონისგან“ ნაყიდმა ესპანელმა **მიკელ არტეტამ**, რომელიც მარტში სნორედ 30 წლისა გახდება, „არსენალთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გასულ კვირაში კლუბის აღმასრულებელმა შეფმა **ივან გაზიდისმა** თქვა:

„ჩვენ სახელფასო ზედა ზღვარი არ გვაქვს. პირიქით, ჩვენ გვაქვს მოქნილი სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ბიზნესი ისე ვაწარმოოთ, რაც შეიძლება დიდ წარმატებას მივაღწიოთ, როგორც ახლა, ასევე ხუთი წლის შემდეგ“.

ეს განცხადება პრინციპებიდან გადახვევის დასტურს ჰგავდა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ბრალდება

პროკურატურა ბრალს სდებს

ჰალკმა შეიძლება თავი ციხეში ამოყოს

"პორტუს" ფეხბურთელებს – **ჰალკს, ელტონს, კრისტიან საპურანუს, ფუსილესა** და **კრისტიან როდრიგესს** პორტუგალიის პროკურატურა ბრალს სდებს მოქალაქეზე ფიზიკურ ძალადობაში. საქმე ის არის, რომ 2009 წლის დეკემბერში "ბენფიკასთან" შეხვედრის შემდეგ პორტუელებმა ტრიბუნების ქვეშ გაუჩინარების შემდეგ სტადიონის დაცვის სამსახურის ორ წარმომადგენელზე იერიში მიიტანეს და მათ ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს. იმ შემთხვევაში, თუკი, მოსამართლე ბრალდების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს საკმარისად მიიჩნევს, ოთხ მათგანს შეიძლება 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯოს, რაც შეეხება მეხუთეს, საპურანუს ბრალს ის უმძიმებს, რომ ის მსგავს ქმედებაში ადრეც იყო შემჩნეული და შესაბამისად, მის მიმართ განაჩენი უფრო მძიმე იქნება. ჰალკსა და საპურანუს 4-თვიანი დისკვალიფიკაციები უკვე მოხდილი აქვთ ქუჩაში მომხდარ ინციდენტებში მონაწილეობის გამო.

ამასობაში "პორტუს" უმთავრესმა ვარსკვლავმა ჰალკმა მექსიკასთან შეხვედრის წინ ბრაზილიურ პრესას განუცხადა, ეროვნულ ნაკრებში პორტუგალიელებიც მპატიჟებდნენ და იაპონელებიცო. *"დიახ, ასეთი შემოთავაზებები მქონდა, მაგრამ მე მათზე უარი ვთქვი. ფიქრი, რომ ოდესმე სხვა ქვეყნის ღირსება დამეცვა, თავში არასოდეს მომსვლია. ორივე შემთხვევაში ჩემი პასუხი ერთი იყო, რომ მხოლოდ ბრაზილიის ნაკრებში თამაშზე ვოცნებობდი".*

შეგახსენებთ, რომ "პორტუში" გადასვლამდე 2008 წლამდე სამი წლის განმავლობაში ის იაპონური კლუბების ღირსებას იცავდა.

ლევან ბიბილაშვილი

● ფიფა

ფიფა აგენტების წინააღმდეგ

ფიფას იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **მარკო ვილინჯერმა** ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ საერთაშორისო ფედერაციაში საფეხბურთო აგენტების საქმიანობის სისტემის შეცვლას გეგმავენ, რაც მათ უფლებებს სერიოზულად შეზღუდავს. ვილინჯერის თქმით, უპირველესი, რასაც ცვლილება შეეხება, ეს იმ საკომისიოს პროცენტია, რაც შეიძლება აგენტმა ტრანსფერის გაჩარხვისას კლუბისგან მიიღოს. ამასთან, ფიფა აგენტებისთვის ლიცენზირების სისტემის შეცვლასაც აპირებს. კონკრეტულად ლიცენზირების ახალი წესების პროექტი უკვე არსებობს და მალე მისი განხილვაც მოხდება. ვილინჯერის თქმით, მსოფლიოში განხორციელებული ტრანსფერების მხოლოდ 25% იდება ლიცენზირებული აგენტების მიერ, დანარჩენებში კი ისეთი პირები მონაწილეობენ, რომელთაც იურიდიულად ამის უფლება არ აქვთ. ამასთან, ფიფას გათვლებით, ბოლო 1 წლის განმავლობაში საფეხბურთო კლუბებმა ფეხბურთელების შესაძენად 2,7 მილიარდი ევრო გადაიხადეს. წარმოიდგინეთ, არალიცენზირებულმა აგენტებმა აქედან რა თანხა მიითვისეს წესის დარღვევითო, აცხადებს ფიფას მთავარი იურისტი.

ზეპ ბლატერი და მარკო ვილინჯერი

მსოფლიო ფეხბურთის მამების გეგმით, ყოველი საფეხბურთო აგენტი ეროვნული ასოციაციების დაქვემდებარებაში გადავა და საქმიანობის შესახებ სწორედ მას ჩააბარებს ანგარიშს, ამასთან, აიკრძალება საკომისიო თანხების მიღება არასრულწლოვანი ფეხბურთელების საქმეებზე. ციურიხში გეგმავენ, რომ დაწესდეს კონკრეტული ჭერი, რაც აგენტმა შეიძლება საქმეზე მოითხოვოს. მათი აზრით, ეს არ უნდა აღემატებოდეს 2-3%-ს, ერთ კონკრეტულ საქმეზე კი ის 2 მილიონ ევროს არ უნდა აჭარბებდეს.

ამ დღეებში ფიფას ეთიკის კომისიამ დანიშნა მოსმენა კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ფედერაციის მაღალჩინოსნების კორუფციის საქმეებზე. ლაპარაკია 15 საფეხბურთო მოღვაწეზე. შეგახსენებთ, რომ ფიფა მათ ამ ორგანიზაციის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის **მოჰამედ ბინ ჰამამისგან** ქრთამის სახით 40-40 ათასი დოლარის აღებაში სდებს ბრალს. ვერდიქტი მათ საქმეზე პარასკევისთვის უკვე იქნება ცნობილი.

ლევან ბიბილაშვილი

● ევრო 2012

სულ უფრო ნაკლები სანერვიულო

მიშელ პლატინის სანერვიულო გამოელია

გერმანულმა "შპიგელმა" უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც ფრანგმა ფუნქციონერმა ევრო 2012-ისთვის მზადებაზე ილაპარაკა. ჟურნალისტმა მას ჰკითხა, როდის მიხვდით, რომ თანამასპინძელი უკრაინა ევროფორუმის სამასპინძლოდ მზად იყოო. პლატინის თქმით, უკრაინაში ჩასატარებელ მოსამზადებელ ეტაპზე ბოლო თვეები გადამწყვეტი იყო. აი, რას აცხადებს ის: *"იმაში, რომ უკრაინა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს პირნათლად შეასრულებდა, მხოლოდ ბოლო ორ თვეში დავრწმუნდი. ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტებმა ორივე ქვეყანაში ნამდვილი გარღვევა მოახერხეს ევროპის პირველობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოსამზადებელ სამუშაოებში. ამ თვალსაზრისით, ამ ეტაპზე ყველაფერი მზადაა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე იყო, რაც კი შეიძლებოდა ორგანიზატორების წინაშე დამდგარიყო. ისინი კი ამ პრობლემას გაუმკლავდნენ. ახლა მათ უცხოელი ექსპერტებისა და უეფას წარმომადგენლების რჩევების მოსმენაღა დარჩათ. ჯერ კიდევ მოსაგვარებელია პატარ-პატარა პრობლემები, რომელიც უახლოეს თვეებში მოევლება. ერთი სიტყვით, ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით ყოველდღიურად უფრო და უფრო უფრო ნაკლები სანერვიულო მრჩება".*

ლევან ბიბილაშვილი

● იუბილე

ახმეტოვის 15 წელიწადი

რინატ ახმეტოვი უკვე 15 წელიწადია ფეხბურთშია. ბიზნესმენმა დონეცკის "შახტარი" 1996 წლის 11 ოქტომბერს შეიძინა და მას მერე ძალასა და ღონეს არ იშურებს მის ასაღორძინებლად. რა შედეგს მიაღწია დონეცკურმა კლუბმა, ფეხბურთის მოყვარულმა მშვენივრად იცის – "შახტარმა" 2009 წელს უეფას თასი მოიგო, 2011 წელს კი ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალში გავიდა, სადაც მომავალ ჩემპიონ "ბარსელონასთან" დამარცხდა. **მირჩა ლუჩესკუს** გუნდი ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევა ევროპაში. ასეთი ავტორიტეტი კი მათ სრულიად სამართლიანად დაიმსახურეს. "შახტარი" საუკეთესოთა შორის საუკეთესო ინფრასტრუქტურას ფლობს. ჰყავს კვალიფიციური სამწვრთნელო შტაბი, ექიმთა საუკეთესო ჯგუფი, რომლის დაფინანსება კლუბს წელიწადში 5 მილიონ ევრომდე უჯდება. "შახტარს" უკრაინაში ნამდვილად ყველაზე ერთგული გულშემატკივარი ჰყავს.

ჟურნალისტები, რომლებიც ამ 15 წლის ისტორიის შესახებ წერენ, ერთხმად აღნიშნავენ შემდეგ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს: ელიტური საწვრთნელ-გამაჯანსაღებელი ცენტრის "კირშას" აშენება, "შახტარის" აკადემიის დაარსება, "დონბას არენის" გახსნა, უკრაინის ჩემპიონატის 6 ოქრო, უკრაინის 7 თასი, 3 სუპერთასი და რა თქმა უნდა, 2009 წლის ევროპული ტრიუმფი.

რინატ ახმეტოვის თქმით, კლუბს ერთადერთი მიზანი აქვს: ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება.

● ლევერკუზენი

რენატოსთვის 2011 წელი დამთავრდა

„ლევერკუზენის" 23 წლის გამთამაშებელ **რენატო აუგუსტოს** ბოლო დროს ხშირად აკრიტიკებდნენ და სიზარმაცეში სდებდნენ ბრალს. არადა, ლევერკუზენის პუბლიკას ბრაზილიელი ძალიან უყვარს, რაც ბოლო შეხვედრებში გამოჩნდა, როცა ფანები რენატოს სახელს სკანდირებდნენ. ასეა თუ ისე, ფაქტი ისაა, რომ რენატო „ფარმაცევტებს" ზამთრამდე ვეღარ დაეხმარება, რადგან მძიმე ტრავმა მიიღო და საოპერაციო გახდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა რენატო საოპერაციო ხდება და ლევერკუზენში უკვე სერიოზულად ნერვიულობენ - ბრაზილიელიც არიენ რობენივითაა: სამიდან ორ თვეს ლაზარეთში ატარებს. „ბაიერისთვის" ყველაზე ცუდი ის არის, რომ რენატო მეხუთე წამყვანი ფეხბურთელია, რომელსაც ივლისის შემდეგ ოპერაცია დასჭირდა. მანამდე იგივე ბედი გაიზიარეს მეკარე **რენე ადლერმა**, ძირითადი შემადგენლობის გარემარბმა **ტრანკვილიო ბარნეტამ**, ახალწვეულმა **ორტეგამ** და მარცხენა მცველმა **ბასტიან ოჩიპკამ**.

გოტფრიდ ლენცი

● ამბები

ბრაზილიელი ეჯვმიტანილი

"რომას", "ინტერისა" და "მილანის" ყოფილი, ამჟამად კი "ატლეტიკო მინეიროს" განაპირა ნახევარმცველის **მანსინის** წინააღმდეგ პროკურატურამ ბრალდება წამოაყენა - როგორც აღმოჩნდა, 2010 წლის დეკემბერში **რონალდინიოსთან** მოწყობილი სადღესასწაულო საღამოს შემდეგ ფეხბურთელმა ერთ-ერთ კარგად გემოზე გამომთვრალ მოდელს სახლში გაცილება შესთავაზა, დაპირებულის ნაცვლად კი შინ წაიყვანა, ისარგებლა მისი მდგომარეობით და მასთან სექსით ისიამოვნა. მეორე დღეს გოგონამ აღმოაჩინა, რომ მისი ნების საწინააღმდეგოდ ფეხბურთელთან თურმე ღამე გაუთევია, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა. შესაბამისი ექსპერტიზების შემდეგ მან უტყუარი მტკიცებულება მიიღო მის თავს გადამდარი ამბის შესახებ და პოლიციაში განცხადება შეიტანა, რის შემდეგაც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მართალია, რამდენიმე კვირის შემდეგ გოგონამ თავისი განცხადება უკან გამოიტანა, მაგრამ პროკურატურამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ გამოძიება ბოლომდე მიეყვანა. საქმე უკვე გადაიგზავნა სასამართლოში. მანსინი ბრალდებას უარყოფს. 31 წლის ფეხბურთელს ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში თავისუფლების ხანგრძლივად აღკვეთა ემუქრება.

ვან ბასტენი აიაქსში

მარკო ვან ბასტენი შესაძლოა უახლოეს დღეებში "აიაქსში" ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დაბრუნდეს, - გვამცნობს "დე ტელეგრაააფი". კლუბის დირექტორთა საბჭომ 47 წლის ვეტერანს აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა შესთავაზა. თავად ლეგენდარული ფეხბურთელი აცხადებს, რომ მოსაფიქრებლად მას რამდენიმე დღე სჭირდება.

მონპელიე ლიდერს ჯარგავს

"ფრანს ფუტბოლის" ცნობით, ლიგა 1-ის მეორეადგილოსანი "მონპელიეს" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი **ჟოფრეი დერნისი** მარცხენა ფეხის ტრავმის გამო ფეხბურთს დაახლოებით ერთი თვით ჩამოსცილდება. მიმდინარე სეზონში 30 წლის ფეხბურთელის ანგარიშზე 8 შეხვედრაში 2 საგოლე გადაცემაა.

ლევან ბიბილაშვილი

ინტერვიუ. იურგენ კლოვი



ლიოვს დიდი სიამოვნებით შევცვლი!

კლოპი დარწმუნებულია, რომ გერმანიის ნაკრებშიც გაქაჩავს

დორტმუნდის „ბორუსიას“ 44 წლის თავკაცი **იურგენ კლოპი** წლებია, რაც საფეხბურთო გერმანიის ყურადღების ცენტრშია მოქცეული და ბუნდესლიგაში მოღვაწე სპეციალისტებში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა – თუ საუკეთესოდ არა. მისი პოპულარობა ჯერ კიდევ 2006 წელს, კერძოდ, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს დაინყო. მაშინ „კლოპო“ „მაინცის“ დამრიგებელი გახლდათ და ერთ-ერთი ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში გერმანიის ნაკრების მატჩებს აანალიზებდა. ენაკვიმატმა იურგენმა გერმანული პუბლიკა მაშინ იმდენად მოხიბლა, რომ მას „სატელევიზიო ბუნდესმწვრთნელი“ შეარქვეს, ჩვენი გერმანელი კოლეგები კი ხშირად ხუმრობდნენ ხოლმე, **იურგენ კლინსმანი** (მაშინ გერმანიის ნაკრებს კლინსი წვრთნიდა) ყოველ საღამოს ტელევიზორს უყურებს და კლოპის განცხადებებს იწერსო.

მას მერე ხუთი წელი გავიდა. კლოპი ახლა დორტმუნდის „ბორუსიას“ დამრიგებელია და გუნდი, რომელსაც წლების მანძილზე უდიდესი ჩავარდნა ჰქონდა, გასულ სეზონში გერმანიის ჩემპიონი გახადა, რამაც მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა. 44 წლის ასაკში იურგენს ბუნდესლიგაში ბადალი აღარ ჰყავს – ამას წინათ თვით მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰოინესმაც** თქვა, ძალიან ვნანობ, რომ წლების წინ რეკორდმაისტერის მთავარ მწვრთნელად კლინსმანი დავნიშნე და არა კლოპიო. ჰო, მაშინ იურგენი „მაინცის“ თავკაცი იყო და „ბაიერნს“ რომ მოენდომებინა, მისი გადაბირება არ გაუჭირდებოდა, ახლა კი დორტმუნდში მუშაობს, საიდანაც მიუნხენში წაყვანა უკვე ძალიან ძნელია.

მიუნხენი კი არა, კლოპი უკვე ვარსკვლავებს ეთამაშება – მას გერმანიის ნაკრებში, **იოახიმ ლიოვის** შემცვლელად მოიაზრებენ. გერმანული „ფლეიბოის“ უახლეს ნომერში „კლოპოს“ ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც კითხვაზე, რას იზამს, დღესვე რომ შესთავაზონ ბუნდესმწვრთნელობა, ასე პასუხობს: *„გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი რომ შემომთავაზონ, არც კი დავფიქრდები, მაშინვე დავთანხმდები! ეს ისეთი თანამდებობაა, რომელზეც ჩვენთან ხალხი ბავშვობიდან ოცნებობს. მეტიც: გავრისკავ და ვიტყვი, რომ ბუნდესმწვრთნელობა გერმანიაში ისეთი თანამდებობაა, რომელიც მხოლოდ გერმანიის კანცლერობას თუ ჩამოუვარდება. დარწმუნებული ვარ, რომ არ გამიჭირდება, რადგან საბოლოო ჯამში გერმანიის ნაკრებიც მხოლოდ საფეხბურთო გუნდია და მეტი არაფერი.“*

თუმცა „კლოპომ“ იცის, რომ ბუნდესგუნდის დღევანდელი დამრიგებელი **იოახიმ ლიოვი** ამ პოსტზე კიდევ დიდხანს იქნება. 51 წლის იოგის ხელში გერმანიის ნაკრებს შესანიშნავი შედეგები აქვს და საფეხბურთო კავშირი მასთან გამოთხოვებას არ აპირებს.

„ვიცი, რომ გერმანიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობას დღეს არავინ შემომთავაზებს, რადგან ბუნდესგუნდს ლიოვის სახით წარმატებული სპეციალისტი უდგას სათავეში, რომელმაც ჩვენს ნაკრებს უდიდესი პროგრესი განაცდევინა. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ამ საქმის გაკეთება მეც შემიძლია და თუ გერმანიის საფეხბურთო კავშირი ჩემით ოდესმე დაინტერესდება, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება,“ - აცხადებს კლოპი. შეგახსენებთ, რომ იოახიმ ლიოვს გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი 2014 წლის მუნდიალის ჩათვლით აქვს გაფორმებული.

ეს რაც შეეხებოდა „ფლეიბოიში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს. ახლა კი, „ბილდის“ ინტერვიუ კლოპთან, სადაც 44 წლის სპეციალისტი დორტმუნდის „ბორუსიაზე“ საუბრობს.

- ჰერ კლოპ, თქვენი გუნდი 8 ტურის შემდეგ მეხუთე ადგილზეა, გერმანიის ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტ „ბაიერნს“ კი უკვე 6 ქულით ჩამორრჩებით. რატომ ვერ თამაშობს „ბორუსია“ ისე, როგორც შარშან ამ დროს თამაშობდა?

- მიზეზებზე ძალიან დიდხანს შეიძლება საუბარი და პრობლემების დეტალური ანალიზი შორს წაგვიყვანს. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ვიმართლებ და მინდა, რომ ჩემს ფეხბურთელებს ალიბი შევუქმნა. ასე ნამდვილად არ არის, მაგრამ რაღაც-რაღაცების გახსენება აუცილებელია. მაგალითად იმის, რომ წინა სეზონი ისე დავიწყეთ და ისე დავამთავრეთ, რომ წამყვანი ფეხბურთელები არ დაშავებულან. მთელი სეზონის განმავლობაში სერიოზული ტრავმა მხოლოდ ერთმა ლიდერმა, შინჯი კაგავამ მიიღო, რომელიც მთელი მეორე წრე დაგვაკლდა. სხვები კი პირველიდან ბოლო ტურამდე ჯანმრთელები იყვნენ. შეიძლება ითქვას, რომ გასულ სეზონში ამ მხრივ გაგვიმართლა, წელს კი აღარ გვიმართლებს. ლუკას ბარიოსი ორი თვის მანძილზე ლაზარეთში იყო, დაშავდნენ მარსელ შმელცერი და სვენ ბენდერიც. ამას ემატება კონცენტრაციის შედარებითი დაკარგვაც, რაც გაჩემპიონების შემდეგ ნებისმიერ გუნდს ემართება ხოლმე. კონცენტრაციის დაკარგვამ ამ სეზონში უკვე რამდენიმე ქულაც დაგვაკარგვინა. გარდა ამისა, ახლა მეტოქეები უფრო აგრესიულად გვეთამაშებიან. ცხადია, უფრო მეტი გოლის გატანა შეგვეძლო, მაგრამ საერთო ჯამში განგაშის ატეხა უადგილოა, რადგან ამ ყველაფერს ველოდი კიდეც და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 8 ტურის შემდეგ არცისე ცუდ მდგომარეობაში ვართ, როგორც ამას ბევრი აფასებს.

- შინჯი კაგავა და კევინ გროსკროიტცი აშკარად კრიზისში არიან...

- კაგავა მოსამზადებელ შეკრებაზე ძალიან კარგად გამოიყურებოდა, იმდენად კარგად, რომ დარწმუნებული ვიყავი, სეზონს უმაღლეს დონეზე დაიწყებდა. მერე, ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ, მუხლი ასტკივდა და ძალიან შეშინდა, ისევ ტრავმა არ მივიღოო, რასაც ის მოჰყვა, რომ მომდევნო შეხვედრაში ფეხებს ცოტა მოუფრთხილდა. მე ვმუშაობ მასზე როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად და მჯერა, რომ მალე ძველებურად ათამაშდება. თითქმის იგივე ეხება გროსკროიტცსაც, რომელსაც ყოველდღე ერთსა და იმავეს ვუმეორებ: თუ მომდევნო 15 ტურს უმაღლეს დონეზე ჩაატარებ, პირველი რვა ტური აღარავის გაახსენდება-მეთქი. კევინიც ძალიან ახალგაზრდაა და ადრე თუ გვიან, ყველა ახალგაზრდა მოთამაშისთვის დამახასიათებელი მენტალური პრობლემის წინაშე აუცილებლად დადგებოდა. არა უშავს, მასაც მივხედავ!

- ამ სეზონში მცველებიც უჩვეულოდ ბევრ შეცდომას უშვებენ. ამ მხრივ ყველაზე ცუდად ნევენ სუბოტიჩი გამოიყურება. ბევრს იმის ეჭვიც გაუჩნდა, ტოტალიზატორებში დორტმუნდის ნაგებებზე ფულს ხომ არ დებსო, რადგან უშუალოდ მისი შეცდომების გამო „ბორუსიამ“ უკვე ორი შეხვედრა დათმო – „ჰანოვერთან“, როცა ორი გოლი ბოლო ორ წუთში გაუშვით და მარსელში...

- რა სისულელეა, ძალიან გთხოვთ, ეს უაზრობა თავიდან ამოიგდოთ და ყველას, ვინც სუბოტიჩზე ასეთ რამეს იტყვის, იგივე ურჩიოთ. მას ფეხი გასულ სეზონშიც რამდენჯერმე დაუცდა, უბრალოდ, ეს არავის აღარ ახსოვს, რადგან მაშინ სუბოტიჩის შეცდომების გამო თამაშები არ წაგვიგია. ყველას აქვს როგორც კარგი, ისე ცუდი პერიოდებიც. ეს მარტო ნევენს არ ეხება. მთავარი ისაა, რომ ცუდი პერიოდებიც ერთად გადავიტანოთ.

- ჩემპიონთა ლიგაში „არსენალთან“ ფრეს მარსელში განცდილი კრახი მოჰყვა და ორი ტურის შემდეგ, მხოლოდ ერთი ქულა გაქვთ. როგორც ფიქრობთ, დორტმუნდი ჯგუფიდან მაინც გავა?

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ და თუ „ოლიმპიაკოსს“ ორივე თამაშს მოვუგებთ, ჯგუფიდან გასვლის ძალიან კარგი შანსი მოგვეცემა და მერე ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რას ვიზამთ „არსენალთან“ და „მარსელთან“ საპასუხო შეხვედრებში. ზოგადად, მარსელში ძალიან კარგად ვითამაშეთ და 0:3 ნამდვილად არ უნდა წაგვეგო. მე სწორედ ეს მაიმედებს.

ჰამბურგი

ფინკი დაითანხმეს, ბაზელი?

არნესენს მწვრთნელობა ალბათ ზამთრამდე მოუწევს

დღე ისე არ გავა, რომ „ჰამბურგიდან“ ახალი ცნობები არ გავრცელდეს. გუშინ ვწერდით, რომ ჩრდილოგერმანული კლუბის მთავარი მწვრთნელის ფუნქციების შესრულება დროებით სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** აიღო თავის თავზე და თქვა, ამას იქამდე გავაკეთებ, სანამ ახალ მწვრთნელს არ დავნიშნავთო. გუშინ, გერმანულ მედიაში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ არნესენს „ბაზელის“ თავკაცი **ტორსტენ ფინკი** მაინც დაუთანხმებია. ერთადერთი, მაგრამ ძალიან სერიოზული პრობლემა ახლა ის არის, რომ 43 წლის ფინკს შვეიცარიულ კლუბთან კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს და ახლა მან თვითონ უნდა გაარკვიოს თავის ბოსებთან, როგორ გაუშვებენ: კონტრაქტს პირდაპირ გაუწყვეტენ, თუ „ჰამბურგი“ იძულებული გახდება, ტორსტენის ხელშეკრულება ფულით გამოისყიდოს. ფაქტი ის არის, რომ არნესენს ნათქვამი აქვს, კარგ მწვრთნელში ფულსაც სიამოვნებით გადავიხდიო.

ეს პროცესი კი შეიძლება საკმაოდ დიდხანს გაინელოს, მაგალითად ზამთრამდე და ამ ხნის მანძილზე „ჰამბურგის“ მწვრთნელის ფუნქციების შესრულება სწორედ არნესენს მოუწევს. თუმცა ფაქტია ისიც, რომ წესით, არც „ბაზელის“ ხელმძღვანელებს უნდა სურდეთ ისეთი მწვრთნელის დიდხანს შენარჩუნება, რომელსაც სხვაგან წასვლა აქვს გადაწყვეტილი და ადრე თუ გვიან, მაინც წავა. ამრიგად, ლოგიკურად ტორსტენ ფინკი ჰამბურგში საკმაოდ მალე უნდა ვიხილოთ – თუ შვეიცარიელები არ გაჯიუტდებიან, რაც მათ წისქვილზე წყალს ნაღდად არ დაასხამს.

ტორსტენ ფინკი ჰამბურგში ჩავა, მაგრამ როდის?

ვერდერი

რა დროს მუსიკაა?

ბრემენში 10 ფეხბურთელს კონტრაქტი უმთავრდება!

მიუხედავად იმისა, რომ „ვერდერმა“ ეს სეზონი საკმაოდ კარგად, ყოველ შემთხვევაში, შარშანდელზე უკეთ დაიწყო, ბრემენული კლუბის ხელმძღვანელებს ღამე მშვიდად ძილი არ უწერიათ. „მუსიკოსების“ სპორტულ დირექტორ **კლაუს ალოფსს** ბევრი საქმე აქვს – „ვერდერის“ ათ ფეხბურთელს სეზონის ბოლოს კონტრაქტები უმთავრდებათ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ათიდან, რვა წამყვანი მოთამაშეა!

„ეს მართლაც ძალიან ბევრია, - აღიარებს ალოფსი, - *მაგრამ უმძიმესი შრომისთვის მზად ვარ.“* მან უკვე გამართა მსუბუქი მოლაპარაკებები რამდენიმე აგენტთან, უშუალოდ ფეხბურთელებთან საუბრის დაწყება კი კლაუსს ზამთრიდან სურს: *„ზამთრამდე აუცილებლად გამოჩნდება, რისთვის უნდა ვიბრძოლოთ ამ სეზონში. თუკი დავინახავ, რომ გუნდი ევროტურნირების საგზურებისთვის იბრძვის, რაც მომავალ სეზონში საკმაოდ დიდი შემოსავლის გარანტია იქნება, ფეხბურთელების კონტარქტებს თამამად გავაგრძელებ, თუ არა და დიდი სიფრთხილე მმართებს, რადგან თუ ევროტურნირების მიღმა დავრჩით, სახელფასო ფონდი უნდა შემცირდეს. წინაალმდეგ შემთხვევაში, ფინანსურად ძალიან გაგვიჭირდება,“* - ამბობს ალოფსი.

„ვერდერისთვის“ ყველაზე მნიშვნელოვანი **კლაუდიო პისაროსთან** ახალი ხელშეკრულების გაფორმებაა, რადგან 33 წლის თავდამსხმელი გუნდის მთავარი ლიდერი და გოლეადორია. ალოფსს მისი შენარჩუნება უნდა, მაგრამ თავად პერუელი „ვერდერთან“ ახალ კონტრაქტს მხოლოდ იმ შემთხვევაში გააფორმებს, თუ გუნდი მინიმუმ ევროპის ლიგის საგზურს მოიპოვებს და რა თქმა უნდა, თუ კარგად გადაუხდიან. ალოფსს სჯერა, რომ პისაროს გაშვება არ მოუწევს.

დარჩება კლაუდიო პისარო ვერდერში?

კონტრაქტი უმთავრდება მეკარე **ტიმ ვიზესაც** და კლაუსს 29 წლის კიპერის შენარჩუნებაც სურს. ის უკვე შეხვდა ვიზეს მრჩეველს და სურვილი დაუფიქსირა, კონკრეტულ მოლაპარაკებამდე კი საქმე ჯერ არ მისულა. იგივე ეხება 30 წლის **კლემენს ფრიტცსაც**, რომლის გაშვება ალოფსს ასევე არ უნდა. არადა, ისევე, როგორც პისარო და ვიზე, ფრიტციც გუნდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა. ასე რომ, ევროტურნირების საგზურის გარეშე, ალოფსს კლემენსის შენარჩუნებაც გაუჭირდება.

შედარებით მარტივია 29 წლის შვედი ფორვარდის, **მარკუს როზენბერგისა** და 31 წლის ნახევარმცველ **ტიმ ბოროვსკის** საკითხები. ალოფსს ორივე მათგანთან ახალი კონტრაქტების გაფორმება უნდა და ეს რთულიც არ იქნება, რადგან არც როზის და არც ტიმს, ხელფასის თვალსაზრისით დიდი მადა არ აქვთ. თუმცა პრობლემა შეიძლება ის იყოს, რომ როზენბერგსაც და ბოროვსკისაც ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიის მიღება სურთ.

ამ ფეხბურთელებთან ერთად, სეზონის ბოლოს კონტრაქტები უმთავრდებათ 34 წლის მარცხენა მცველ **მიკაელ სილვესტრს**, 19 წლის ფორვარდ **ლენართ თაის**, 24 წლის მცველ **სებასტიან პრიოდლს**, 30 წლის სათადარიგო მეკარე **კრისტიან ფანდერს** და 23 წლის მცველ **ლეონ ბალოგუნს**.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ევრო 2012 შესარჩევი ეტაპი

5 საგზურიც დარიგდა:

საბერძნეთი, რუსეთი, დანია, საფრანგეთი და შვედეთი

ხუთი საგზურიდან პირველი თბილისში გათამაშდა - საბერძნეთის ნაკრებმა ჩვენს ძალზე სუსტ გუნდს 2:1 მოუგო და პოლონეთ-უკრაინაში თამაში გაინაღდა. ელინებმა პირველი ზეიმი სწორედ ვაკეში მოაწყვეს. ნახევარი საათის შემდეგ კი ბერძნებს მხარი რუსებმა აუბეს. არავისთვის იყო მოულოდნელი, რომ დიკ ადვოკაატის ნაკრები პირველობას არავის დაუთმობდა. არც დაუთმო - ანდორა 6:0 გაანადგურა და ევროპის ჩემპიონატზეა. ალან ძაგოევმა დუბლი შეასრულა.

დანარჩენი სამი საგზურის მფლობელი მას შემდეგ გაირკვა, რაც საქართველოში შუაღამე დადგა. შვედეთის ნაკრებმა 3:2 მოუგო ჰოლანდიის ნაკრებს და საუკეთესო მეორეადგილოსნობა გაინაღდა. ჰოლანდიას, გერმანიისა და ესპანეთის დარად, შესარჩევი ციკლის ყველა გამარჯვებით ჩამთავრება შეეძლო, მაგრამ ბოლო ტურში, მათთვის უმოტივაციო მატჩში წააგო. საბოლოოდ, შვედეთმა 24 ქულა მოაგროვა, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა მიზნის მისაღწევად.

საგზურის მეოთხე მფლობელი (ქრონოლოგიურად) დანია გახდა, რომელმაც მეტად პრინციპულ მატჩში პორტუგალიას 2:1 მოუგო. კრონ-დელისა და ბენდტნერის გოლებს კრიშტიანო რონალდომ მხოლოდ ერთით უპასუხა. ასე რომ, პაულუ ბენტუს გუნდი კრაკოვის წილისყრას უნდა დაელოდოს, რათა პლეი ოფის მეტოქის ვინაობა შეიტყოს.

სრულიად საფრანგეთი „მანჩესტერ სიტის“ ახალწვეულ სამრ ნასრის უნდა უმადლოდეს ევროპის ჩემპიონატის საგზურს - მან ბოსნიასთან გადამწყვეტი თამაშის დასრულებამდე 12 წუთით ადრე პენალტი შეაგდო და ფრანგებმა მარცხს თავი დააღწიეს. ბოსნია ლორან ბლანის გუნდის უშუალო კონკურენტი იყო და ნასრის გოლამდე „სიტის“ კიდევ ერთი ფეხბურთელის, ედინ ჯეკოს გოლის გამო საგზური ხელიდან ეცლებოდა. მაშ ასე, დღის ბოლო საგზური სამფეროვნებს დარჩათ.

შესარჩევი ციკლი ორმა ნაკრებმა ჩაამთავრა უდანაკარგოდ - ესპანეთმა და გერმანიამ. განსაკუთრებით, იოახიმ ლიოვის გუნდის ტრიუმფია აღსანიშნავი, მათ ხომ ესპანელებზე ორით მეტი მატჩი ითამაშეს.

დადგინდა პლეი ოფის 8 მონაწილეც: **თურქეთი, ირლანდია, ესტონეთი, ბოსნია, ხორვატია, ჩერნოგორია, პორტუგალია და ჩეხეთი.**

A ჯგუფი

გერმანია-ბელგია 3:1

გერმანია: ნოიერი, ჰიოვედესი, ჰუმელსი, მერტეზაკერი, ლამი (84. გიუნდოგანი), ხედირა, თ. მიულერი (71. როისი), იოზილი, კროოსი, შიურლე, გომესი (77. კაკაუ).

ბელგია: მინოლე, კიმანი, კომპანი, ვერტონგენი, ლომბერტსი, ფელაინი, სიმონსი, დემბელე (64. მერტენსი), ვიტსელი, ჰაზარი, ოგუნჯიმი (46. ლუკაკუ).

გოლები: 1:0 იოზილი (30), 2:0 შიურლე (33), 3:0 გომესი (48), 3:1 ფელაინი (86)

მაყურებელი: 52 000

თურქეთი-აზერბაიჯანი 1:0

თურქეთი: ბოლათი, სარიიოღლუ, ზანი, ქორქმაზი, ბალთა, ჰამით ალთინთოფი, ემრე (78. ტიორე), კაზიმ-რიჩარდსი (58. ინანი), თურანი, ტოპალი, ბ. ილმაზი (87. ბულუთი).

აზერბაიჯანი: აგაევი, სადიგოვი, აბიშოვი, ლევინი, შუკუროვი, ჰუსეინოვი, ჩერტოგანოვი, ისმაილოვი (46. მამადოვი/85. ისაიევი), ბუდაკი (92. ამირგულიევი), შუბაშიჩი, ნადიროვი.

გოლი: 1:0 ბ. ილმაზი (60)

მაყურებელი: 30 000

ყაზახეთი-ავსტრია 0:0

ყაზახეთი: სიდელნიკოვი, შმიდტგალი, როჟკოვი, ნურდაულეტოვი, კიროვი, გორმანი (77. ევსტიგნეევი), მუხტაროვი, ხაირულინი, ა. ნურგალიევი (46. მუჟიკოვი), ოსტაპენკო, გრიდინი.

ავსტრია: გრიუნვალდი, პრიოდლი, დრაგოვიჩი, შარნერი, ფუხსი, დაგი, კულოვიტსი (74. კავლაკი), ივანშიტცი (66. იუნუცოვიჩი), ალაბა, იანკო, არნაუტოვიჩი (83. მაიერჰოფერი).

მაყურებელი: 16 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გერმანია	10	10	0	0	34-7	30
2. თურქეთი	10	5	2	3	13-11	17
3. ბელგია	10	4	3	3	21-15	15
4. ავსტრია	10	3	3	4	16-17	12
5. აზერბაიჯანი	10	2	1	7	10-26	7
6. ყაზახეთი	10	1	1	8	6-24	4

B ჯგუფი

რუსეთი-ანდორა 6:0

რუსეთი: მალაფეევი, ვ. ბერეზუცკი, შიშკინი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, სემშოვი (78. ბილიალეტდინოვი), დენისოვი, არშავინი, გლუშაკოვი (80. სამედოვი), ძაგოევი, პავლიუჩენკო (73. პოგრებნიაკი).

ანდორა: გომესი, ლიმა, ბერნაუსი, ემილი გარსია, ა. მარტინესი, კარლოს პეპე (80. ივან ლორენცო), მარსიო ვიეირა, ვალესი, მორენო, პუხოლი (84. სანჩესი), ს. გომესი (70. ფერნანდო სილვა).

გოლები: 1:0 ძაგოევი (5), 2:0 იგნაშევიჩი (26), 3:0 პავლიუჩენკო (30), 4:0 ძაგოევი (44), 5:0 გლუშაკოვი (59), 6:0 ბილიალეტდინოვი (78)

მაყურებელი: 45 000

ირლანდია-სომხეთი 2:1

ირლანდია: გივენი, დანი, ოში, ლეჯერი, კელი, მაკგიდი (67. ჰანტი), დაფი, უელანი (76. ფაჰი), ენდრიუსი, კოქსი (80. უოლტერსი), კ. დოილი.

სომხეთი: ბერეზოვსკი, ჰოვსეპიანი, ალეკსანიანი, მკოიანი, ღაზარიანი (63. სარქისოვი), მხითარიანი, მალაქიანი (28. ა. პეტროსიანი), მკრტჩიანი, ჰაირაპეტიანი, პიცელი (53. მანუჩარიანი), მოვსესიანი.

გოლები: 1:0 ალეკსანიანი (43-საკ. კარში), 2:0 დანი (60), 2:1 მხითარიანი (62)

გაძევება: ბერეზოვსკი (26), დოილი (81)

მაყურებელი: 45 200

მაკედონია-სლოვაკეთი 1:1

მაკედონია: ბოგატინოვი, ნოვესკი, ლაზარევსკი, შიკოვი, ლაზევსკი (64. ივანოვსკი), მოისოვი, დემირი, გროზდანოვსკი (46. რ. პეტროვი), დუროვსკი, ტრიკოვსკი, ფაზლი (84. ტრაიკოვსკი).

სლოვაკეთი: მუხა, მიხალიკი, ჰუბოჩანი (46. მ. ჩეხი), პეკარიკი, სალატა, ჰამშიკი, ჟეცი (88. გრაიჩარი), კუკა, ვაისი, იენდრიშეკი, პიროშკა (87. ჰოლოშკო).

გოლები: 0:1 პიროშკა (54), 1:1 ნოვესკი (80)

მაყურებელი: 3 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რუსეთი	10	7	2	1	17-4	23
2. ირლანდია	10	6	3	1	15-7	21
3. სომხეთი	10	5	2	3	22-10	17
4. სლოვაკეთი	10	4	3	3	7-10	15
5. მაკედონია	10	2	2	6	8-14	8
6. ანდორა	10	0	0	10	1-25	0

C ჯგუფი

იტალია-ჩრდ. ირლანდია 3:0

იტალია: ბუფონი (81. დე სანკტისი), კასანი, ბარძალი, კიელინი, ბალძარეტი, დე როსი, პირლო, აკვილანი (69. ნოჩერინო), მონტოლივო, ჯოვინკო, კასანო (56. ოსვალდო).

ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, ბეირდი, მაკალეი, მაკგივერნი, ჰოდსონი, ევანსი, ს. დევისი, ნორვუდი (74. მაკლაუგლინი), გორმანი (78. მაკგინი), ჰილი (70. ფინი), ლიოლი.

გოლები: 1:0 კასანო (22), 2:0 კასანო (53), 3:0 მაკალეი (74-საკ. კარში)

მაყურებელი: 15 900

სლოვენია-სერბეთი 1:0

სლოვენია: ჰანდანოვიჩი, სეზარი, იოკიჩი, ბრეჩკო (65. ილიჩი), შუსერი, ვრშიჩი (75. ბირსა), კირმი, ბაჩინოვიჩი (69. კრჰინი), რადოსავლიევიჩი, ლიუბანკიჩი, მატავუი.

სერბეთი: იორგაჩევიჩი, ვიდიჩი, ივანოვიჩი, სუბოტიჩი, კოლაროვი, სტანკოვიჩი, ნინკოვიჩი (72. მილიაში), ტოშიჩი, პეტროვიჩი (51. პანტელიჩი), მრდა, იოვანოვიჩი (57. კრასიჩი).

გოლი: 1:0 ვრშიჩი (45)

მაყურებელი: 11 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. იტალია	10	8	2	0	20-2	26
2. ესტონეთი	10	5	1	4	15-14	16
3. სერბეთი	10	4	3	3	13-12	15
4. სლოვენია	10	4	2	4	11-7	14
5. ჩრდ. ირლანდია	10	2	3	5	9-13	9
6. ფარერეები	10	1	1	8	6-26	4

D ჯგუფი

ალბანეთი-რუმინეთი 1:1

ალბანეთი: ვიკანი – ლილა, დალკუ, ტელი, ცანა, ლილაი, ლალა, ბაკაი (ჰიკა 67), როში (მუზაკა 77), სალიჰი, ბოგდანი (იანუზი 46).

რუმინეთი: ლუნგი – ტამაში, ლატოვლევიჩი, გოიანი, ლუჩინი, ბურჩანუ, ლაზერი (ბუკური 87), ნიკოლიცე (ტორჟე 63), კოშიჩი, მარიკა (სტანკუ 49), მუტუ.

გოლები: 1:0 სალიჰი (24), 1:1 ლუჩინი (77)

მაყურებელი: 6 000

საფრანგეთი-ბოსნია 1:1

საფრანგეთი: ლორისი – ევრა, რამი, რევეიერი, აბიდალი, კაბაიე (გამეირო 63), ნასრი, მენეზი. მალუდა (მარტენი 61), მვილა, რემი (ა. დიარა 82).

ბოსნია: ჰასაჯიჩი (ბეგოვიჩი 46) – პაპაჩი, სპაჰიჩი, მუიჯა (მალეტიჩი 62), რახიმიჩი, პიანიჩი, ლულიჩი, მედუნიანი (ზაჰიროვიჩი 71), პანჯა, მისიმოვიჩი, ჯეკო.

გოლები: 0:1 ჯეკო (40), 1:1 ნასრი (78-პენ).

მაყურებელი: 75 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	10	6	3	1	15-4	21
2. ბოსნია	10	6	2	2	17-8	20
3. რუმინეთი	10	3	5	2	13-9	14
4. ბელარუსი	10	3	4	3	8-7	13
5. ალბანეთი	10	2	3	5	7-14	9
6. ლუქსემბურგი	10	1	1	8	3-21	4

E ჯგუფი

უნგრეთი-ფინეთი 0:0

უნგრეთი: კირაი – ვარგა, ვონცაკი, იუჰაში, კორკსმარი, ელეკი, მანდორი (ვადოში 59), ჰეინალი (შტიბერი 88), კომანი, ჟაბიში, პრისკინი (ჯუჯაკი 59).

ფინეთი: ფრედრიკსონი – მოისანდერი, ტოივიო, არკივუო (ლამპი 55), რაიტალა, ვაირინენი, ერიომენკო, სპარვი, რინგი, ჰამალაინენი (პუკი 85), ფორსელი (ფურუჰოლმი 66).

მაყურებელი: 34 981

მოლდოვა-სან მარინო 4:0

მოლდოვა: ჰაიდუკევიჩი – არმაში, გოლოვატენკო, ეპურიანუ, რაკუ (ანდრონიკი 70), ჩებოტარუ (ციგირლაში 78), ჩეპტინი, სუფოროვი, ზმეუ, ალექსეევი (ბუგაევი 61), დოროში.

სან მარინო: სიმონჩინი – ბენედეტინი, ვანუჩი, დელა ვალე, ბაჩიოკი (ალბანი 89), გასპერონი (მონტანია 76), კოპინი, ბერეტი (ბული 67), ჩერველინი, ვიტაიოლი, სელვა.

გოლები: 1:0 ზმეუ (30) 2:0 ბაჩიოკი (62 ს.კ), 3:0 სუფოროვი (66) 4:0 ანდრონიკი (87)

მაყურებელი: 8 000

შვედეთი-ჰოლანდია 3:2

შვედეთი: ისაკსონი – ლუსტიგი, მელბერგი, მაისტროვიჩი, ოლსონი, ლარსონი, სვენსონი, კალსტრიომი, ელმი, ელმანდერი, ტოივონენი (ვერნბლუმი 75).

ჰოლანდია: ვორმი – ვან დერ ვილი, ბრუმა, მატიისენი, პიტერსი, ვან ბომელი, სტროოტმანი (ლუკ დე იონგი 81), ვან დერ ვაარტი, პან პერსი, ჰუნტელაარი, კუიტი (ელია 73).

გოლები: 1:0 კალსტრიომი (14), 1:1 ჰუნტელაარი (23), 1:2 კუიტი (50), 2:2 ლარსონი (52-პენ), 3:2 ტოივონენი (53)

მაყურებელი: 33 069

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჰოლანდია	10	9	0	1	37-8	27
2. შვედეთი	10	8	0	2	31-11	24
3. უნგრეთი	10	6	1	3	22-14	19
4. ფინეთი	10	3	1	6	16-16	10
5. მოლდოვა	10	3	0	7	12-16	9
6. სან მარინო	10	0	0	10	0-53	0

G ჯგუფი

ბულგარეთი-უელსი 0:1

ბულგარეთი (4-4-2): მიხაილოვი - ტერზიევი, მილიევი, ივანოვი, ზანევი - მანოლევი (52. დელევი), პეტროვი, გადჟევი, ტონევი - პოპოვი (70. რანგელოვი), დომოვჩისკი (62. ბოჟინოვი).

უელსი (4-3-3): ჰენესეი - განტერი, ბლეიკი (41. მეტიუსი), უილიამსი, ტეილორი - კროფტსი, ალენი, რემსი - ბეილი, მორისონი (70. ჩერჩი), ბელამი.

გოლი: 0:1 ბეილი (45)

მაყურებელი: 12 000

შვეიცარია-ჩერნოგორია 2:0

შვეიცარია (4-2-3-1): ბენალიო - ლიხტშტაინერი, ჯურუ, ვონ ბერგენი, როდრიგესი - ინლერი, ბაირამი - შაჩირი (77. დეგენი), ჩაკა (83. ფერნანდესი), მეჰმედი - დერდიოკი (69. ემეგარა).

ჩერნოგორია (4-4-2): მ. ბოჟოვიჩი - დ. ბოჟოვიჩი (46. პეიოვიჩი), სავიჩი, ბეტაკი, პეიოვიჩი - ბეჩირაი, დრინჩიჩი (72. გრბიჩი), ზვეროტიჩი, ცეტკოვიჩი - დიალოვიჩი (67. დელიბაშიჩი), დამიანოვიჩი.

გოლები: 1:0 დერდიოკი (51), 2:0 ლიხტშტაინერი (65)

მაყურებელი: 38 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ინგლისი	8	5	3	0	17-5	18
2. ჩერნოგორია	8	3	3	2	7-7	12
3. შვეიცარია	8	3	2	3	12-10	11
4. უელსი	8	3	0	5	6-10	9
5. ბულგარეთი	8	1	2	5	3-13	5

H ჯგუფი

დანია-პორტუგალია 2:1

დანია (4-2-3-1): სორენსენი - იაკობსენი, კიაერი, ბიელანდი, სილბერბაუერი (77. ს. პოულსენი) - ზიმლინგი (70. კ. პოულსენი), კვისტი - რომედალი (87. ი. პოულსენი), ერიქსენი, კრონ-დელი - ბენდტნერი.

პორტუგალია (4-2-3-1): პატრისიო - მ. პეერეირა, როლანდო, ალვეში, ელიზეუ (65. კვარეეშმა) - მეირელეში, მოუტინიო - ნანი, მარტინში (64. ველოზო), რონალდო - პოშტიგა (77. ნუნუ გომეში).

გოლები: 1:0 კრონ-დელი (13), 2:0 ბენდტნერი (63), 2:1 რონალდო (90)

მაყურებელი: 38 000

ნორვეგია-კვიპროსი 3:1

ნორვეგია (4-4-2): იარსტეინი - ჰოგლი, ვაელერი, დემიდოვი, რიისე - რუუდი (62. ბრეეენე), ტეტეი (80. იენსენი), გრინდჰეიმი, პედერსენი (46. პარი) - კარეუ, ჰუსეკლეპი.

კვიპროსი (4-4-1-1): კისასი - ელია, მარკისი, პელაგიასი (6. პარპასი), ხარალამბუსი - დემეტრიუ, საციასი, დობრაშინოვიჩი, ავრაამი - ხარალამბიდისი (62. ხრისტოპი) - ოკასი (81. სტავროსი).

გოლები: 1:0 პედერსენი (26), 2:0 კარეუ (34), 2:1 ოკასი (42), 3:1 ჰოგლი (65)

მაყურებელი: 13 500

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დანია	8	6	1	1	15-6	19
2. პორტუგალია	8	5	1	2	21-11	16
3. ნორვეგია	8	5	1	2	10-7	16
4. ისლანდია	8	1	1	6	6-15	4
5. კვიპროსი	8	0	2	6	7-20	2

I ჯგუფი

ესპანეთი-შოტლანდია 3:1

ესპანეთი (4-3-3): ვალდესი - სერხიო რამოსი, პუიოლი (46. არბელოა), პიკე, ალბა - ბუსკეტსი, ჩავი (64. ფ. ლორენტე), კასორლა - პედრო, ვილია, სილვა (55. ტ. ალკანტარა).

შოტლანდია (4-4-2): მაკგრეგორი - ჰატონი, ბერდსლი, კოლდველი, ბერა - ფლეტჩერი (85. კოვი), ბენანი (63. გუდვილი), ადამი (64. ფორესტი), მეკეილ-სმიტი - მორისონი, ნეისმითი.

გოლები: 1:0 სილვა (6), 2:0 სილვა (44), 3:0 ვილია (54), 3:1 გუდვილი (66)

მაყურებელი: 24 900

ლიტვა-ჩეხეთი 1:4

ლიტვა (5-4-1): კარჩემარსკასი - რადავიჩიუსი, სტანკევიჩიუსი, ჟილიბაიტისი (74. ბენიუსისი), სკერლა, ვიჩუსი - მიკოლიუნასი, შერნასი, ივაშკევიჩიუსი (46. ნოვიკოვასი), ზალიუკასი - პოშკუსი (57. პანკა),

ჩეხეთი (4-3-3): ჩეხი - სელასიე, ჰუბნიკი, ჟირაჩეკი, კადლეცი - კოლარი, პილარი (70. პუდილი), შივოკი - ბაროში (59. პეხარტი), რეჟეკი (82. პოშპეხი), პლაშილი.

გოლები: 0:1 კადლეცი (2-პენ), 0:2 რეჟეკი (15), 0:3 რეჟეკი (45), 1:3 შერნასი (68-პენ), 1:4 კადლეცი (85-პენ)

გაძევება: ჰუბნიკი (67)

მაყურებელი: 2 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ესპანეთი	8	8	0	0	26-6	24
2. ჩეხეთი	8	4	1	3	12-8	13
3. შოტლანდია	8	3	2	3	9-10	11
4. ლიტვა	8	1	2	5	4-13	5
5. ლიხტენშტაინი	8	1	1	6	3-17	4

● დიდი მატჩის წინ

მუქარა აქედანვე

რომი უკვე დერბით სუნთქავს

მომდევნო უქმეებზე სერია A-ში ერთი განსაკუთრებულად საინტერესო მატჩი გაიმართება, რომელზეც აქედანვე ძალიან ბევრს საუბრობენ. ერთმანეთის პირისპირ ორი რომაული გუნდი წარსდგება და „ოლიმპიკოზე“ რომ დუღილის ტემპერატურა მაქსიმუმს მიაღწევს, ეს ცხადზე ცხადია. მოახლოებულ ბატალიაზე უამრავმა ადამიანმა გამოთქვა მოსაზრება, მათ შორის „ლაციოს“ ყოფილმა თავკაცმა **დელიო როსიმ** და შემდეგი განაცხადა:

„ძალიან საინტერესო მატჩი იქნება, რომელსაც დიდი სიამოვნებით მივადევნებ თვალს. ჯერ ჩემპიონატის სტარტია და სატურნირო მდგომარეობა არც ერთ გუნდზე ზეწოლას არ ახდენს, რაც მატჩს კიდევ უფრო სანახაობრივს გახდის. რაც შეეხება ფავორიტს, ძნელია დასახელება, რადგან ორივე გუნდი არასტაბილურად გამოიყურება. ჩემი აზრით, „ლაციო“ დღევანდელი დღის გუნდია, „რომა“ კი მომავლის, ასე რომ, შესაძლოა მოახლოებულ პაექრობაში მცირე უპირატესობა „ბიანკოჩელესტეს“ ჰქონდეს. სამაგიეროდ, თუ ცოტა შორს გავიხედავთ, „ჯალოროსის“ უკეთეს მომავალს ვუწინასწარმეტყველებდი“.

ამასობაში, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მცირე ტრავმის გამო შესაძლოა რომაული დერბი **მიროსლავ კლოზემ** გამოტოვოს. გერმანელს კოჭი აქვს დაზიანებული და სარეაბილიტაციო კურსს გადის. პრესასთან საუბარში მირომ იმედი გამოთქვა, რომ დერბიმდე მოახერხებს გამოჯანმრთელებას:

„თამაშამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი და დიდი იმედი მაქვს, რომ იქამდე სრულად განვიკურნები. რომაული დერბის შესახებ ბევრი მსმენია და არ მინდა, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან პაექრობას გამოვაკლდე. ნებისმიერ შემთხვევაში, მჯერა, რომ გამარჯვებას ჩვენი გუნდი მოიპოვებს. „რომამ“ სეზონი არცთუ ისე კარგად დაიწყო, მაგრამ ამ გუნდს უდიდესი შესაძლებლობები აქვს და ყურადღებით გვმართებს ყოფნა. პირველივე წუთებიდან უნდა მოვიპოვოთ უპირატესობა და თამაში მეორე ნახევარზე გადავიტანოთ. ჩვენ შეგვწევს ამის ძალა და ამიტომ, საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი“.

რომაულ დერბიზე აქედანვე გააკეთა კომენტარი „ჯალოროსის“ თავკაცმა **ლუის ენრიკემ**, რომელიც, როგორც წესი, ერიდება ჟურნალისტებთან ურთიერთობას: *„ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემი პირველი დერბი წარმატებული გამოდგეს და შეხვედრა „რომას“ გამარჯვებით დასრულდეს. საამისო პოტენციალი ნამდვილად შეგვწევს და მაქსიმალურად შევეცდებით, რომ გულშემატკივრები გავახაროთ. პირადად მე, უდიდესი ენთუზიაზმი მამოძრავებს და მსურს, გულშემატკივრები ყველაზე პრინციპული მეტოქის ძლევით გავახაროთ. განსაკუთრებით იმ მოთამაშეებს ვატყობ შემართებას, რომლებსაც ადრეც უთამაშიათ დერბში, ეს გამოცდილება კი ჩემთვის ძალიან ფასეული და მნიშვნელოვანია“.*

ანუ, ენრიკე მეტნილად იმ ფეხბურთელებს დაეყრდნობა, რომლებსაც დერბიში აქამდეც უთამაშიათ - შესაბამისად, დიდია შანსი, ძირითად თერთმეტეულში **ფრანჩესკო ტოტი** ვიხილოთ, რომელმაც უკვე მოასწრო და თანაქალაქელებს დაემუქრა: *„ეს განსხვავებული დერბი იქნება, რადგან ზაფხულში ორივე გუნდში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. საინტერესოა ახალი „რომას“ და „ახალი „ლაციოს“ დაპირისპირება და ის ძალთა ბალანსი, რომელიც დღეს გუნდებს შორის არის. პირადი აზრით, ჩვენ გაცილებით უკეთესი გუნდი გვყავს და ამას მოახლოებულ შეხვედრაში დავამტკიცებთ“.*

● მილანი

მექსე ბრუნდება

და ნესტას ადგილს იკავებს

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში, **ფილიპ მექსე** თავისუფალი აგენტის სტატუსით „მილანს“ შეურთდა, თუმცა მას შემდეგ ძირითადად ტრავმირებულია და გუნდის არც ერთ ოფიციალურ შეხვედრაში არ მიუღია მონაწილეობა. და აი, როგორც იქნა, ფრანგი უკანახაზელი გამოჯანმრთელდა და მზადაა მოედანზე სერია A-ს უახლოეს ტურშივე გავიდეს. შეგახსენებთ, რომ მომდევნო უქმეებზე „როსონერი“ „პალერმოს“ უმასპინძლებს. 29 წლის ფრანგმა მცველმა „გაძეტა დელო სპორტს“ მცირე კომენტარი მისცა:

„ბედნიერი ვარ, რომ გამოვჯანმრთელდი და უკვე უახლოეს შეხვედრაში შევძლებ მოედანზე გასვლას. როგორც ვიცი, ალესანდრო ნესტაა ტრავმირებული და სიცილიელებთან მისი შეცვლა მომინევს. ნესტას ადგილზე თამაში ჩემთვის დიდი პატივია, რადგან ალესანდრო უდავოდ თანამედროვეობის საუკეთესო მცველია. განვლილი პერიოდი ჩემთვის ძალიან რთული იყო, რადგან ვხედავდი, რომ გუნდს უჭირდა და ვერაფრით ვეხმარებოდი. სეზონი არასტაბილურად დავიწყეთ, მაგრამ არ უნდა გავტყდეთ და მდგომარეობა რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიდერებთან ჩამორჩენა კიდევ უფრო გაიზრდება, რაც მიზნის მიღწევას საგრძნობლად გაგვირთულებს. მიზანი? - ნუთუ არ იცით, რომ „როსონერი“ ყველა ტურნირზე გამარჯვებისთვის იბრძვის“?.

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

ფილიპ მექსე

● მოსაზრება

ჭორიკანა გასპერინი

მორატის ფარული კრიტიკა

ჯანპიერო გასპერინი

სულ რამდენიმე კვირის წინ, **ჯანპიერო გასპერინი** ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პერსონა იყო, დღეს კი ჩრდილშია მოქცეული და მის შესახებ იშვიათად თუ რაიმე ინფორმაცია ვრცელდება. მაგალითად, ამას წინათ გავიგეთ, რომ გასპერინი „ბოლონიას“ მთავარი მწვრთნელობის კანდიდატი გახლდათ, მაგრამ „როსობლუს“ მესვეურებმა არჩევანი **სტეფანო პიოლიზე** შეაჩერეს. სამაგიეროდ, გასპერინის „კორიერე დელო სპორტის“ ჟურნალისტი შეეხმიანა, მოიკითხა და საკუთარ ყოფაზე ორიოდე სიტყვის თქმა სთხოვა - აქვე, გასპერინის მონაყოლს გავეცნოთ:

„ვისვენებ და ვაანალიზებ ყველაფერ იმას, რაც ბოლო თვეებში ჩემს თავს ხდებოდა და რის გამოც, ასე ნაადრევად მომიწია „ინტერიდან“ წამოსვლა. სამწუხაროდ, ზაფხულის პერიოდში სათანადოდ ვერ მოვემზადეთ და შესაბამისად, სეზონის სტარტს არც თუ კარგ ფორმაში შევხვდით. ცოტა მეტი დრო რომ მქონოდა, კრიზისს აუცილებლად დავძლევდით და სასურველ შედეგსაც მივაღწევდით. ჩემი და რაფაელ ბენიტესის მილანურ პერიოდს ბევრი ერთმანეთს ადარებს, რაც არასწორი მგონია. რაფას საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა იმისთვის, რომ თავი გამოეჩინა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. შიდა სამზარეულოდან ვიცი, რომ ესპანელს ავტორიტეტი არ ჰქონდა გასახდელში, რის გარეშეც წარმატებაზე ფიქრი უბრალოდ წარმოუდგენელია. ასე რომ, ჩემი და ბენიტესის შედარება არ არის მართებული“.

აი ასე აჭორავდა გასპერინი, შემდეგ კი სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა: *„დიდი სურვილი მაქვს, რომ კარიერა უცხოეთში გავაგრძელო და იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ეს ასეც მოხდება. განსაკუთრებით ინგლისის პრემიერლიგა მიზიდავს, თუმცა სხვა ქვეყნებიდან მიღებულ წინადადებებსაც სიამოვნებით განვიხილავ. რაც შეეხება იტალიურ გუნდებს, უკვე მივიღე რამდენიმე წინადადება, მაგრამ უარი ვთქვი - მხოლოდ იმ კლუბში ვიმუშავებ, სადაც დარწმუნებული ვიქნები, რომ ხანგრძლივი გეგმაა შემუშავებული და მწვრთნელს ხუთი ჩაგდებული თამაშის გამო არ გაათავისუფლებენ“.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

● თავისუფალი ჭიდაობა. საკონტინენტთაშორისო თასი

ხასავიურტში 50 ათასისთვის

წლეულსაც შარშანდელი წილისჩრა გვერგო

დღეს დაღესტნურ ხასავიურტში საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება იწყება თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრები თასზე ლამის ოპტიმალური შემადგენლობით გამოვა: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **შალვა მუზიაშვილი** (66), **გიორგი მარსაგიშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120). როგორც ვხედავთ, პირველი ნომრებიდან **ზაზა თურმანიძის** ამ კრებულს მხოლოდ **დავით ხუციშვილი** (74) და **გიორგი გოგშელიძე** (96) აკლია. თუმცა იმდენად ცუდი წილისყრა შეგვხვდა, შემადგენლობას იქნებ არც ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა - ჩვენები ჯგუფში რუსეთის, ცსკა-ს და ბელარუსის გუნდებთან მოხვდნენ! საინტერესოა, რომ შარშანაც ეს სამეული გვერგო, ოღონდ მაშინ ჯგუფში ექვსი გუნდი იყო - სამხრეთ კორეა და აშშ-ც გამოდიოდნენ, ჩვენები კი საბოლოოდ უმედლოდ დარჩნენ.

თავდაპირველი მონაცემებით, წლევანდელ ტურნირში 10 გუნდი უნდა გამოსულიყო, მაგრამ როგორც ამ რანგის შეჯიბრებებში, ხშირად ხდება ხოლმე, მინვეულთაგან რამდენიმემ იუარა გამოსვლა. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ გასულ უქმეებზე გროზნოში ჩეჩნეთის პრეზიდენტ **რამზან კადიროვის** თასის გათამაშება ჩატარდა ადლან ვარაევის პრიზზე, რომლის ფულადი ფონდიც სარეკორდოდ მაღალია - გამარჯვებულები ჯილდოდ 20 000 ამერიკულ დოლარს იღებენ და წამყვანი გუნდების უმტესობამ იქ იჭიდავა. საბოლოოდ ხასავიურტში რვა გუნდი შეიკრიბა და აქედან სამი მასპინძლებისაა - რუსეთი, დაღესტანი და ცსკა. მოლოდინისამებრ, ორგანიზატორებმა ეს სამეული ისე განთესეს, დაღესტნელებს ორივე აარიდეს. ამით ისინი საკუთარ გუნდს ჩემპიონობისკენ გზას რომ უხსნიან, ეტყობა, ეს გათვლა იმაზეცაა, რომ სამივე საპრიზო ადგილი რუსულმა სუბიექტებმა დაიკავონ, ანუ საპრიზო ფონდის უმეტესობა მათ დარჩეთ. ჯილდოები კი მართლაც სოლიდურია. საერთოდ, ეს შეჯიბრება კომერციულია და საჭიდაო სამყაროში ერთ-ერთი ავტორიტეტულია. გამარჯვებული გუნდი ჯილდოდ 50 000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტს მიიღებს რუბლებში, მისი მწვრთნელი - 3 000 დოლარის შესაბამისს. მეორეზე გასული გუნდი 30 000 დოლარის შესაბამისი თანხით დაჯილდოვდება, მისი მწვრთნელი - 2 000-ით, ბრინჯაოსმედალოსანი ნაკრები - 20 000-ით, ხოლო მწვრთნელი - 1 500-ით. მეოთხეზე დარჩენილ გუნდს 10 000 რუბლი ერგება, ხოლო V-VIII ადგილებზე გასულები 5 000 დოლარის შესაბამის თანხას მიიღებენ. IV-VIII ადგილებზე მყოფი გუნდების მწვრთნელების გასამრჯელო 1 000 - 1 000 დოლარის ეკვივალენტი რუბლია.

ამ კომპანიაში ჩვენს ნაკრებს ძალზე გაუჭირდება 50 ათასის დაუფლება ან სულაც პრიზიორებში მოხვედრა. შარშან რუსეთთან და ცსკ-სთან წააგეს, ბელარუსებს კი 5:2 მოუგეს, მაგრამ წლეულს მათ შეუდარებლად ძლიერი გუნდი ჰყავთ - **ალექსი შემაროვი** (120) სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, **რუსლან შეიხოვი** (96) - მესამე პრიზიორი. ჩვენს შანსებს ნამდვილად ზრდის რუსეთის მთავარ გუნდში არსებული ჩავარდნა და მისი მთავარი მწვრთნელის - **ჯამბულათ თედეევის** მოუცლელობა, რომელიც სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო მარათონში ლამის სამოქალაქო ომშია ჩართული მოქმედ პრეზიდენტ **ედუარდ კოკოითთან**. ცხადია, ამ პირობებში მას ნაკრებისთვის არც სცალია და არც სცხელა. ამას ისიც ემატება, რომ ჩრდილოკავკასიელ მოჭიდავეთა დიდი ნაწილი უშუალოდაა ჩართული ამ დაპირისპირებაში - ბევრი მათგანი ცხინვალშია ჩასული. ორი დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კოკოითის მომხრეებმა სცემეს თედეევის მხარდასაჭერად ჩასული აფხაზი მსოფლიოსა და ევროპის ორ-ორგზის ჩემპიონი **დენის ცარგუში** (74), ევროპის ჩემპიონი **სოსლან კცოევი** (84) და მსოფლიოს თასის მფლობელი **სოსლან გაგლოევი** (66). არეულობებს ჩავარდნაც დაერთო - ცარგუში მსოფლიოს პირველობაზე უმედლოდ კი არა, სულაც ულიცენზიოდ დარჩა, მძიმეწონოსანმა **ბილიალ მახოვმა** კი ფინალი წააგო, რასაც კადიროვის ტურნირზე მორიგი ანალოგიური მარცხი დაუმატა, ამჯერად ვინმე **ხიზირ დურგაევთან**. ბუნებრივია, ცხინვალის ამბებში გარეული ცსკა-ს მოჭიდავეებიც იქნებიან, რაც ჩვენს წისქვილზე ნამდვილად დაასხამს წყალს. მათ მაინც ძლიერი გუნდები ჰყავთ, თუმცა ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენები მათი არეულობა-სისუსტეებით ისარგებლებენ.

ტურნირი გამიდ გამიდოვის სახელობის 5000-იან დარბაზში ჩატარდება და დღესვე დასრულდება.

ირაკლი თავაძე

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3
FM 96.3
WWW.RADIOJAKO.GE

● ძალოსნობა

ვაგზობთ სამს, ვგულისხმობთ ოთხს!

მამეები და შვილები ფიცარნაგზე

შარშან თურქეთში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 57 ქულით 22-ე ადგილი დაიკავა და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის 3 საგზურის მოპოვების მყარი საფუძველი შეიქმნა. თუმცა, ეს ჯერჯერობით მხოლოდ თეორიული მხარეა, რადგან დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში გასამგზავრებლად წლევანდელ სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზეც აუცილებელია მონაგრისთვის სათანადო ქულების მიმატება, რადგან საგზურების რაოდენობა ორი შეჯიბრების შედეგების ჯამით განისაზღვრება.

მთავარი მწვრთნელის, ოლიმპიური ჩემპიონების აღმზრდელი **ვანო გრიქუროვის** ხელმძღვანელობით დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე 7 ოქტომბრიდან საწვრთნელ შეკრებას გადიან **გიორგი ლომთაძე** (ქუთაისი, 69), **რაულ ცირეკიძე** (ქუთაისი, 85), **გია მაჭავარიანი** (აჭარა, 105), **დავით გოგია** (ზუგდიდი, 105), **ირაკლი თურმანიძე** (აჭარა, +105) და **ლაშა ტალახაძე** (საჩხერე, +105). ათლეტებს დაოსტატებაში ეხმარებიან საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ავთანდილ გახოკიძე** და **ალეკო ნოზაძე.** სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატის დებულებით, წინასწარვე უნდა იყოს ცნობილი ის 6 ძალოსანი, რომლებიც 6 ნოემბრიდან პარიზში პლანეტის უძლიერეს ათლეტთა პაექრობაში მიიღებენ მონაწილეობას.

რამაზ გურგენიძე

გვესაუბრება საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი **რამაზ გურგენიძე**, რომელიც ზუგდიდში გამართულ ეროვნულ ჩემპიონატს (მთავარი მსაჯი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **კახი კახიაშვილი**) ესწრებოდა:

- ჩვენი უპირველესი მიზანია, წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე შარშან მოპოვებული ქულები განვამტკიცოთ და ლონდონის ოლიმპიადის სამი საგზური დავიბევოთ. მე-4 ლიცენზიაზეც შეიძლება ფიქრი, მაგრამ ანტალიაში ჩვენ უკან აღმოჩნდნენ გერმანია, სომხეთი, იაპონია, კიდევ რამდენიმე ძლიერი ქვეყანა, რომლებმაც სასურველი შედეგი სპორტსმენთა ტრავმების გამო ვერ აჩვენეს, ამიტომ საფრანგეთის დედაქალაქში ეცდებიან დანაკლისის ანაზღაურებას.

- პარიზში, ფაქტობრივად, ახალგაზრდული შემადგენლობა გვეყოლება...

- დიახ, გეთანხმებით. მთავარმა მწვრთნელმა ნაკრების გაძლიერება პერსპექტიული ახალგაზრდებით გადაწყვიტა. ფედერაციამაც მხარი დაუჭირა, რადგან ამ ბიჭებმა საერთაშორისო სარბიელზე უკვე შეძლეს თავის გამოჩენა. მაგალითად, გიორგი ლომთაძემ წლეულს 20-წლიანთა ევროპის პირველობაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა ორჭიდში, აი, ლაშა ტალახაძემ კი იმავე შეჯიბრებაზე ერთბაშად სამი ოქროს მედალი მოიხვეჭა. არადა, საჩხერელ გოლიათს, - სახელოვანი ძალოსნის კობა ტალახაძის ვაჟს 18 წელი 2 ოქტომბერს შეუსრულდა. ევროპის პირველობაზე მან 185 კილო აიტაცა და 217 კილო აკრა. პარიზში ლაშას, ცხადია, სხვა ფსიქოლოგიური დატვირთვა ექნება, მაგრამ ორჭიდში 407-408 კილოგრამის დაძლევა და გუნდისთვის სულ მცირე 10 ქულის მოტანა არ უნდა გაუჭირდეს. აქვე ისიც მინდა დავძინო, რომ კონტინენტის პირველობაზე მიღწეული წარმატებისთვის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მას სტიპენდია საგრძნობლად გაუზარდა, რაც დამატებითი დადებითი მუხტი იქნება როგორც ლაშასთვის, ასევე, სხვა სპორტსმენებისთვის.

მარცხნიდან: მალხაზ ლომთაძე, გიორგი ლომთაძე, დავით გოგია, ლაშა ტალახაძე, ალეკო ნოზაძე ლელოს რედაქციაში

23-წლამდელთა ევროპის პირველობაზე ორჭიდში მე-2 ადგილი დაიკავა ზუგდიდელმა დავით გოგიამ (105), რომელმაც ვარჯიში ბეჟან ჭიჭინაძესთან დაიწყო, მერე 4 წელინადი ზურაბ ანთაურთან იმაღლებდა ოსტატობას, ახლა ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით მეცადინეობს.

რადგან მწვრთნელებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, გეტყვით იმასაც, რომ გიორგი ლომთაძეს და რაულ ცირეკიძეს მამები - გამოცდილი და მაღალკვალიფიციური მწვრთნელები - მალხაზ ლომთაძე და გია ცირეკიძე ავარჯიშებენ, ხოლო ავთანდილ გახოკიძის დამსახურებაა მისი შეგირდების - ლაშა ტალახაძისა და გია მაჭავარიანის ბოლოდროინდელი წარმატებები. ლაშაზე უკვე გითხარით, გიამ ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე ორჭიდში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩვენი ნაკრების ლიდერმა უკეთ იასპარეზა ზუგდიდში ეროვნულ ჩემპიონატზე, სადაც 224 კილოგრამი აკრა და პირადი რეკორდი ერთბაშად 7 კილოგრამით გაუუმჯობესა. ატაცში მას 187 კილოგრამის დაძლევაც შეუძლია, მაგრამ მწვრთნელები პარიზში ზედმეტ რისკს მოერიდებიან, რადგან სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უპირველესად საწყისი წონის წარმატებით დაძლევაა უმთავრესი..

ზუგდიდში მართლაც არაჩვეულებრივად გამართულ ეროვნულ ჩემპიონატზე ჩვენმა მძიმეწონოსანმა ირაკლი თურმანიძემ დაგვანახვა, რომ კარგ სპორტულ ფორმაშია. აკვრაში მანაც გააუმჯობესა პირადი მიღწევა - 222-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, ატაცში 191 კილოს დაძლევასაც შეძლებს.

მართალია, ბატონმა ვანომ ნაკრებში სამი დებიუტანტი შეიყვანა, მაგრამ ჩვენი ძალოსნები შესაძლებლობებს ბოლომდე თუ წარმოაჩენენ, 80 ქულის მოგროვება არ გაგვიჭირდება, რაც ოლიმპიადისთვის სამი საგზურის რეალურ გარანტიას იძლევა. დანარჩენი კი ბედის საქმეა.

- ნაკრებს მოსამზადებლად დუშეთში როგორი პირობები აქვს?

- იდეალური. აქ ინტენსიური ვარჯიშისა და აქტიური დასვენების ყველა პირობაა და იმედია, ჩვენი მწვრთნელები და სპორტსმენებიც მათ ნაყოფიერად გამოიყენებენ, რათა პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე დასახული მიზანი პირნათლად შეასრულონ.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტოები

● კარატე

ფინალში მასპინძლებს აჯობეს

ნიუ იორკში (აშშ) კარატისტთა ქალაქის ღია ჩემპიონატში 15 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს საპრიზო ადგილებს. კუმიტეში შესანიშნავად იასპარეზა **დავით ტყებუჩავამ,** რომელმაც 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ყველა მეტოქეს სძლია და ოქროს მედალი მოიპოვა. ჩვენმა სპორტსმენებმა წარმატებას მიაღწიეს გუნდურ პირველობაშიც: **დავით ჯაფარიძემ, გიორგი მაჩაბელმა, ანტონ ჯღამაძემ, დავით ტყებუჩავამ** და **კაპიტონ ჯანაშიამ** დაუმარცხებლად მიიყვანეს თავიანთი გუნდი ფინალამდე, იქ კი მასპინძელთა ნაკრებს სძლიეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● შეკითხვა ლელოს

„ლელოს“ ყოფილი ბურჯები: მიხეილ კაკაბაძე (მარცხნივ) და ნოდარ გუგუშვილი. მეხიკო, 1968 წ.

შეკითხვა: ვიცი, რომ არსებობს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია. მაინტერესებს, როდის შეიქმნა ეს ორგანიზაცია და ვინ იყვნენ მისი ხელმძღვანელები?

ოთარ ბოგოხიძე
ქუთაისი

პასუხი: საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია დაფუძნდა 1991 წლის 19 აპრილს და არის მემკვიდრე 1959 წლიდან არსებული საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციისა. სხვადასხვა დროს ამ ფედერაციას ხელმძღვანელობდნენ გაზეთ „ლელოს“ რედაქტორები - **მიხეილ კაკაბაძე, არჩილ გოგელია** და **თენგიზ გაჩეჩილაძე.** 1991 წლიდან სსჟა-ს პრეზიდენტია **ელგუჯა ბერიშვილი**. ასოციაცია აერთიანებს პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტებს, იცავს მათ უფლებებს და ინტერესებს, ანყობს შემოქმედებით კონკურსებს, რეფერენდუმებს საუკეთესო სპორტსმენებისა და გუნდების გამოსავლენად, თანამშრომლობს ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში (AIPS) გაწევრდა 1992 წლის 30 აპრილს.

● წიგნის თარო

ხალიჩის დიდი ოსტატები

„დიდი ხალიჩის ოსტატები“ - ასე ჰქვია ცნობილი დაღესტნელი სპორტული ჟურნალისტის, ყოველკვირეულ სპორტულ ჟურნალ „სტადიონის“ რედაქტორის **მურად კანაევის** წიგნს, რომელიც ბოლოა სპორტულ თემაზე მის მიერ გამოცემული ლიტერატურიდან. კანაევი წლების განმავლობაში ესწრება უმთავრეს შეჯიბრებებს უცხოეთში და სხვადასხვა ქვეყნის ვარსკვლავებთან ჰქონია სამსახურებრივი ურთიერთობა. წიგნშიც ეს პუბლიკაციებია გამოყენებული - ზოგი ინტერვიუა, ზოგიც - თავად სპორტსმენთა მონოლოგი. შესაბამისად მისი ენაც უშუალო, მარტივად საკითხავი და სადაა, როგორც პირველწყაროს ნაამბობი საკუთარ თავზე. ცხადია, რესპონდენტთა შორის ჩრდილო კავკასიელები ჭარბობენ. კანაევი მხოლოდ უცნობილეს ფალავნებზე მოგვითხრობს - მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებზე, მათ აღმზრდელ მწვრთნელებზე, ქარიზმატულ პიროვნებებზე, რომლებიც ხალიჩაზე თუ ცხოვრებაში გამოჩენილი ადამიანური გმირობებისთვის სიცოცხლეშივე იქცნენ ლეგენდებად. თან ავტორი არც დროში იზლუდება და წარსულის ვეტერანებთან ერთად წიგნში ბოლო წლების არაერთ ცნობილ ფალავანსაც ნახავთ, **ალი ალიევიდან** მოყოლებული, **საგიდ მურთაზალიევით, კურამაგომედ კურამაგომედოვით, ბუვაისა საიტიევით** და **საჯიდ საჯიდოვით** დამთავრებული, რომელმაც ახლახან დაანება ჭიდაობას თავი და დაღესტნის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ავტორს არც სხვათა ლეგენდები ავიწყდება და ჩრდილოკავკასიელებთან - **მაგომედხან არაცილოვთან, მურად უმახანოვთან, იური შახმურადოვთან, არსენ ფაძაევთან, ელმადინ ჯაბრაილოვთან, გაჯიევების** საოჯახო დინასტიასთან, ჯერ ისევ მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონ **მავლეტ ბატიროვთან** და სხვა არაერთ ცნობილ ჩრდილოკავკასიელ ფალავანთან ერთად ბელარუს **ალექსანდრ მედვედს**, რუს **სერგეი ბელოგლაზოვს**, რუსთა ქართველ **დიმიტრი მინდიაშვილს,** ამერიკელ, აზერბაიჯანელ და კანადელ ოლიმპიურ ჩემპიონებს - **ჯონ სმიტს, ნამიკ აბდულაევსა** და **დანიელ იგალისაც** შეხვდებით. თუმცა ამ წიგნმა ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით იმით მიიპყრო, რომ მასში ქართველებსაც ეთმობათ საკმაო ადგილი - ავტორმა **ლევან თედიაშვილთან, გურამ საღარაძესა** და **ლუკა კურტანიძესთან** თავისი შეხვედრა-საუბრის პერიპეტიებიც გააცნო მკითხველს. ცხადია, საუბრის ძირითადი თემა სამივესთან თითქმის იდენტურია - კარიერა, ოლიმპიადა, სპორტული თუ ცხოვრებისეული ურთიერთობა იქაურ მოჭიდაველებთან, პოსტკარიერული ცხოვრება. თუმცა საღარაძისგან განსხვავებით, თედიაშვილისა და კურტანიძის საუბარს სევდიანი ელფერიც დაჰკრავს, რადგან აფხაზეთის ომმა ორივეს ოჯახის წევრი წაართვა - პირველს შვილი, მეორეს - მამა. თედიაშვილმა კითხვაზე, მართალია თუ არა, რომ თითქოს შვილი თქვენ ჩაგაკვდათ ხელშიო, უპასუხა: „ეს ღვთის ნება იყო, რომელსაც ვერ შეცვლი. მადლობა ღმერთს, მეორე შვილი ჩემთანაა“. მკითხველისთვის ასევე ემოციური იქნება კურტანიძის საუბარი იმაზე, როგორ გამოუშვა მამამ ის ალმოდებული სოხუმიდან დედისა და დების სამშვიდობოს გამოსაყვანად, თვითონ კი ოჯახის დასაცავად დარჩა და მას შემდეგ არავის უნახავს, კურტანიძე კი დღემდე ამაოდ დაეძებს მას. ქართველ ფალავნებზე საუბრისას იგრძნობა მათდამი პატივისცემა, როგორც დიდი მოჭიდაველებისადმი და ის უხილავი სითბოც შესამჩნევია, რაც ყოველთვის არსებობდა ქართველებისა და ჩრდილოკავკასიელების ურთიერთობაში. სამწუხაროდ, ახლა ეს ყველაფერი პოლიტიკამ შეინირა და ამიტომაც მიგვაჩნია მსგავსი წიგნების გამოცემა საჭირო საქმედ. ცუდია, მას ქართველი მკითხველი რომ ვერ იხილავს.

ირაკლი თავაძე

● შეხვედრა წარსულთან

კრივი თბილისში

ქართველი მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის საქმიანობა. მის მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებით საყურადღებოა „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“, რომელიც მან 1926-1927 წლებში შექმნა და ცოცხლად შემოგვინახა ჩვენი დედაქალაქის წარსულის ყოფა. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ნაშრომიდან, რომელიც თბილისში კრივის, როგორც საჯარო გასართობი სანახაობისა და ფიზიკური ვარჯიშობის თვითმყოფად ფენომენს ეხება.

„მეორე საჯარო გასართობი იყო კრივი. ყეენობა თუ ისტორიის მოგონებაა, კრივი ფიზიკური ვარჯიშობაა; კრივი ჩვენებური, ტფილისური ჩვეულებაა. საგულისხმოა, რომ სხვა ერს (ინგლისური ბოქსის გამოკლებით) მუშტი არ უყვარს. მაგ., რუსს სილა უფრო ემარჯვება. ყარაჩოღელსაც უყვარს სილა, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგ., ამქრის დღესასწაულზე. ისე კი ყარაჩოღელი ჭკუის სასწავლებლად მხოლოდ „ბრმა სილას“ ხმარობს (სილა - ხელის ზურგის გარტყმით). კრივის დროს კი დოგადოგა მიდიოდნენ ერთმანეთზე. ჯერ ერთი მოკრივე შემოჰკრავდა ერთი ხელით მუშტს, ხოლო თუ მოპირდაპირე ისეთი სუსტი აღმოჩნდებოდა, რომ ამ ერთი მოქნეული მუშტით წაბარბაცდებოდა, მაშინ მეორე მხრიდან მეორე მუშტსაც მიარტყამდა მისაშველებლად, რომ ზეზე დამდგარიყო, სწორად; მერე დაიჭერდა ორივე ხელით, შეაჯანჭყარებდა, შეასწორებდა და კვლავ იწყებოდა ახალი გამოცდა ბრძოლისა.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ბრძოლის ხოშის მოსაკლავად ყოჩების, მამლების და აქლემთა ჭიდაობას ეტანებოდნენ (ძველად, როცა ბაქოდან ნავთი აქლემებით მოჰქონდათ, ტფილისის მეთავლეები ჰმართავდნენ ნარ-აქლემთა ჭიდაობას, - აქლემები ჭიდაობდნენ კისრებით). მაგრამ ყველაზე ძლიერ გავრცელებული იყო ყოჩების ჭიდაობა. ჭიდაობის მოყვარულნი დაყოჩებულ ერკემალს სახლში ზრდიდნენ, განსაკუთრებულ მზრუნველობით ექცეოდნენ, ჰურზეულ ინახავდნენ და ჯაჭვითა ჰყავდათ დაბმული, რომ უბრალოდ არავის დასტაკებოდა. ყოჩაობის დროს კი ქერით ათრობდნენ, ყელზედ ფერად მძივებიან საყელოს უკეთებდნენ, ქოჩორს ენდროთი უღებავდნენ და უკანგადატანილ რქის წვერებს კოპწიად გადუხერხავდნენ. მამლების ძიძგილაობა უფრო დუქნების წინ იმართებოდა, ყოჩების ჭიდაობა კი - გაშლილ ასპარეზზე. ჭიდაობის ადგილას პატრონებს ყოჩები „დროშკებით“ მიჰყავდათ, თან აუარებელი ცნობისმოყვარე ხალხი მისდევდა. ჯერ ითათბირებდნენ, მერე აჭიდავებდნენ; დამარცხებული ყოჩის პატრონი გაჯავრებული ქეიფობდა. თუ ჭიდაობა მხარეთა შორის დამარცხების შედეგებს არ იძლეოდა, მაშინ ყოჩაობა შემდეგი კვირისათვის გადაიდებოდა ხოლმე. ჭიდაობას ჰხელმძღვანელობდნენ ყოჩების პატრონები. ხშირად ყოჩთა ჭიდაობა ძალიან მწავდებოდა. უკანონობაც ხდებოდა (მაგ., როცა პატრონი თავის ყოჩს ჯაჭვს შეხსნიდა, ამ ჯაჭვს შეუმჩნევლად მოპირდაპირე ყოჩს სახეში მიარტყამდა, - ამას ეძახდნენ „ყოჩის გაფუჭებას“). ამ ნიადაგზე ბებუთებიც დატრიალებულა. ბოლო მაინც ერთი იყო; ჭიდაობის გათავების შემდეგ ყველანი „ჩასხდებოდნენ“ მტკვრის პირას ჩარხებთან და იმართებოდა მეგობრული ქეიფი.

მაგრამ უფრო გულხმიერი და ეპოქალურია ნამდვილი მუშტი-კრივი.

ძველად სიონის ტაძარი ქალაქის ორი მოკრივე ნაწილის საზღვრად ითვლებოდა - ჩრდილოეთისა და სამხრეთის. მოკრივეთა მიჯნას წარმოადგენდა აგრეთვე შუაბაზარი ქურქჩების სახელოსნოებამდე. იყო შემთხვევა, როცა მოკრივეთა „თაბუნს“ მტკვარი ჰყოფდა.

კრივი იმართებოდა სხვა-და-სხვა ადგილას: ზარაფხანის ახლოს, საცა ეხლა ბაყალხანაა (მეტეხის ციხის ქვემო ნაწილი); არსენალთან, ეგრედწოდებულ „ჭირანთ ხევში“, „ბოსტნის ურმებზე“ (ძველი დამოფნის უბანი), ავლაბრის იქით „ნახირის უბანში“, სადაც ეხლა ყაზარმებია; უფრო ხშირად კი სიონის ქუჩაზე; აბას-აბადის და კოლორთაღის მოედნებზე, აგრეთვე მოღნინის ეკლესიის ახლობელ ქუჩაზე; ბოტანიკურ ბაღის ზემოდ, ჩანჩქერის თავზე და მამადავითის ყელთან, სადაც წინად დაცემული ადგილი ყოფილა.

კრივისთვის არც განცხადება იყო საჭირო და არც შათირების დაგზავნა.

კრივი იმართებოდა კვირაობით, ყველიერის ბოლო დღეებში, აგრეთვე ნათლიღების მეორე დღეს, რადგან მიცვალებულთა სულის მოხსენების გამო ამ დროს ყველა დუქნები დაკეტილი იყო. ყველაზე დიდი კრივი - ეგრედწოდებული „ავლაბრის კრივი“ - იმართებოდა კვირაცხოვლობა დღეს, ამ სახელწოდების ეკლესიის მახლობლად.

კრივი პატარა ბიჭების შეჯიბრებით იწყებოდა; შემდეგ 18-20 წლის ჭაბუკები შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს; ჭაბუკებს 25-30 წლის ვაჟკაცები მოსდევდნენ; ხოლო, როცა ბრძოლა გამწვავდებოდა, ორივე ბანაკიდან გაისმოდა ძახილი: „ქომაგი!“ „ქომაგი!“ - და ეშხში შესული დარბაისელი და გამოცდილი ფალავნები უკვე ნამდვილ კრივს იწყებდნენ.

ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ მოკრივეთა ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო: ნაცემი და დაბეგვილი მოკრივენი სტოვებდნენ ასპარეზს და ნელინელ უკან იხევდნენ (ეგრედწოდებული „დამდგარი კრივი“ კი ხშირად ორ-სამ საათს გრძელდებოდა). მაგრამ ბრძოლა ამით არ თავდებოდა: „დამარცხებულნი იშვლიებდნენ ქვებს, აგურებს, ხის ნაჭრებს და ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ. ამის გამო ხშირად იმსხვრეოდა მეზობელ სახლების კარფანჯრები, აივნები, შუშაბანდები და სხვ.; ბევრი მოკრივე ბრძოლიდან დაჭრილი გამოჰყავდათ; ხშირად მოჰხვედრია დამსწრეებსაც, რომელთა შორის მაღალი თანამდებობის პირნიც იყვნენ“ (С. Кишмишев, Тифлис 40-х годов, 1894 г., № 60; ამავე ავტორის ცნობით, მეტად დამახასიათებლად აქვს აწერილი კრივი ალექსანდრე დიუმას თავის წიგნში „დე პარის ა აცტორგან“. ამ კრივში დაშავებულთა შორის ალექსანდრე დიუმაც ყოფილა).

ერთი ასეთი კრივი მოხდა 1851 წელს, 4 თებერვალს; ხმა დაირხა, რომ ამ კრივში 300 კაცი დაიჭრა და ხუთი მოკვდაო. ამის გამო მთელი ოფიციალური მიწერ-მოწერაც კი გაიმართა (Акты, т. X) და ამიერ-კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ცენტრალური ხელისუფლებისათვის ახსნა-განმარტება წარედგინა. მეფის მოადგილის ვორონცოვის განმარტების შემდეგ ნიკოლოზ პირველმა ასეთი ბრძანება გამოსცა: „კრივის ნება მიეცეს ქალაქს გარეთ, მაგრამ ისე კი, რომ მუშტების გარდა სხვა რამ იარაღი არავინ იხმაროს. კრივს თვალყური უნდა ადევნოს პოლიციამ, რომელსაც ნება ეძლევა შეაჩეროს კრივი იმ დროს, როდესაც მოპირდაპირენი გ: ხურდებიან“ (იბიდ).

კრივში მონაწილეობდნენ უმთავრესად ხელოსანთა წრიდან დაბმული ფალავნები; ზოგჯერ მათ ვაჭრეებიც უერთდებოდნენ.

კრივი იწყებოდა მრავალრიცხოვან დამსწრეთა შეძახილით და ყიჟინით. ხშირად მუშტის გარტყმა ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ არემარე ბანს აძლევდა *.

მოკრივენი უქუდოთ, მკერდ-გაღეღილნი, ჩოხის კალთებ-აკეცილნი და ხშირად ფეხ-შიშველნიც იბრძოდნენ. მოკრივეთა რიცხვი განსაზღვრული არ იყო.

კრივს ჩვეულებრივად ეგრედწოდებული წარჩინებული პირები მფარველობდნენ. ქომაგები ცხენებზე ისხდნენ, ერთმანეთს ეკამათებოდნენ და თავიანთი რაზმის ფალავნებს აქეზებდნენ. ზოგჯერ „კარგად დამრტყმელ“ მოკრივეებს ფულითაც ასაჩუქრებდნენ.

არის თქმულება, რომ კრივს მეფე ერეკლეც ესწრებოდა. „კრივი იყო ზნეობითი სწავლა ვაუკაცობის წვრთნისა და ვარჯიშობისა“ („ცისკარი“, 1869 წ., №3).

გრიგოლ ორბელიანის თქმისა არ იყოს:

„აბა ერთი კ რ ი ვ შ ი მნახე, ვინა ვარ!“

რუსეთის დამყარების პირველ დღიდანვე, სხვა ადათებთა შორის, კრივიც აკრძალეს, როგორც „საშიში თამაშა“; მაგრამ მთავარმართველ ციციანოვის დროს, ხალხის თხოვნით, კრივი კვლავ განახლებულ იქმნა. „არა იმიტომ, რომ ციციანოვის ძარღვებში ქართული სისხლი სჩქეფდა, არამედ იმიტომ, რომ ხალხს თავისებურება არ დაჰკარგოდა და სამხედრო მოქმედებაში გაწვრთნილიყო“ (Акты, т. X).

კრივი ბევრნაირი იყო:

მ უ შ ტ ი ს კ რ ი ვ ი,

ხ რ ი დ ო ლ ი (კრივი ცალი ხელით),

ს ა ლ დ ა ს ტ ი (ქვის კრივი).

ყველაზე გავრცელებული იყო მუშტის კრივი და სალდასტის კრივი. „მუშტის კრივს მართავდნენ ზაფხულში, ქალაქის ქუჩებში, და სალდასტის კრივს - ზამთარში, ქალაქ გარეედ. განსაკუთრებით საყურადღებო ყოფილა სალდასტის კრივი. კრივს ჰქონდა თავისი წესები, ხალხის ჩვეულებაზე დამყარებული. კრივში წარმოქეული იარაღი, სარტყელი, ქუდი თუ ნაბადი ითვლებოდა კანონიერ ნადავლად ანუ ალაფად. როცა ქალაქში კრივი გაიმართებოდა, მაყურებლები სახლის სახურავებზე ადიოდნენ, ავსებდნენ ბანებს და იქიდან შესცქეროდნენ ომს და ამხნევებდნენ გამბედავ მებრძოლთ თანაგრძნობის აღმოჩენით. როცა ქალაქ გარეედ იბრძოდნენ შურდულებით და ხის ხმლებით, მაყურებლებს წინდანინვე ჰქონდათ დაკავებული გორები და მაღლობი ადგილები. კრივს განსაკუთრებით ახალგაზრდობა მისდევდა. ეს საკვირველიც არ არის. ქართველ ქალს ერთი ათად უფრო ტურფად ეჩვენებოდა ის ვაჟი, რომელიც კრივში გაიმარჯვებდა და სახელს გაითქვამდა. მოკრივენიც, რასაკვირველია, რამოდენადაც სახელის შოვნას სცდილობდნენ, იმდენადვე სწადდათ და სცდილობდნენ თავის გამოჩენას თავიანთი „ორთავ თვალის სინათლის“ სასიამოვნოდ და სასიქადულოთ.

ავტორის შენიშვნები

** ზოგი ერთი მოკრივე ხალხის მიერ დარქმეულ ზედმეტ სახელს ატარებდა. მაგ., „ქარაფქა დოლა“ - კლდის დამქცევი; ამბობენ, ამ მოკრივეს კლდისთვის რომ მუშტი შემოერტყა, ბელტს ჩამოაგდებინებდაო; მეორე მოკრივე - დნგრ სოლომონა - ისეთი ყოჩაღი ყოფილა, რომ, როგორც ამბობენ, ცხენის ნალს ხელით გადაჰლუნავდა და დაჩოქილი კრივობდა; ხოლო მესამე მოკრივეზე, ქაჩალ სტეფანეზე, ასეთი ლეგენდაა: ერთხელ სიონის ქუჩაზე კრივის დროს ბანიდან ჩამოვარდნილი აგური დაეცა თავზე, აგური ოთხად გადატყდა, ხოლო სტეფანემ აინუნშიაც არ ჩაავდო, მაღლა აიხედა და ხუმრობით წარმოსთქვა: „ვინ ოხერია, რომ მეკენჭავებაო“.*

გაგრძელება იქნება

ჰაღათბურთი

ევროჩელენჯი. განმეორებითი მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობით, ჯგუფო...

11 ოქტომბერი

მინსკი (ბელარუსი)

5000 მაყურებელი

მინსკი-სოხუმი 97:63

15:8, 23:15, 30:18, 29:22

მსაჯები: ტ. იასევიჩუსი (ლიტვა), ტ. ტრავიცკი (პოლონეთი), ა. აუნკროგერსი (ლატვია)

მინსკი	წთ	თამ.სრ.	თამ.სრ.%	2ქ	2ქ%	3ქ	3ქ%	1ქ	1ქ%	მ.მეპ.	მ.საპ.	მ.სულ	პ	შ	ჩ	დ	ფ	ქ
4. კოჟენეცი	16	3/8	37.5	3/8	37.5	0/0	0.0	0/2	0.0	3	3	6	0	1	0	0	4	6
5. ჰოუკინსი	26	5/10	50.0	3/5	60.0	2/5	40.0	6/8	75.0	1	5	6	4	1	2	1	3	18
7. სემიანიუკი	3	1/1	100.0	1/1	100.0	0/0	0.0	0/0	0.0	0	1	1	0	0	0	1	0	2
*11. ლაშკევიჩი	31	9/12	75.0	9/12	75.0	0/0	0.0	2/5	40.0	3	1	4	0	0	0	0	2	20
*13. ჩარკო	8	0/1	0.0	0/0	0.0	0/1	0.0	0/0	0.0	0	1	1	1	1	2	0	2	0
*15. ტრასინეცკი	31	4/7	57.1	3/6	50.0	1/1	100.0	0/0	0.0	1	2	3	2	3	2	0	3	9
24. ვერგუნი	4	0/0	0.0	0/0	0.0	0/0	0.0	0/0	0.0	0	0	0	1	0	0	0	2	0
*25. კნოძსი	25	0/7	0.0	0/7	0.0	0/0	0.0	1/2	50.0	0	3	3	1	2	1	1	2	1
*41. კუდრიავცევი	30	5/9	55.6	2/6	33.3	3/3	100.0	5/9	55.6	1	5	6	6	6	1	0	4	18
42. ჰოჯი	27	7/11	63.6	7/11	63.6	0/0	0.0	9/10	90.0	4	8	12	5	2	0	2	4	23
გუნდი										1	3	4		0			0	
ჯამი		34/ 66	51.5	28/ 56	50.0	6/ 10	60.0	23/36	63.9	14	32	46	20	16	8	5	26	97

მინსკი	წთ	თამ.სრ.	თამ.სრ.%	2ქ	2ქ%	3ქ	3ქ%	1ქ	1ქ%	მ.მეპ.	მ.საპ.	პ	შ	დ	ფ	ქ
*4. ფარლალავა	24	3/16	18.8	1/10	10.0	2/6	33.3	1/2	50.0	1	3	4	1	3	1	0	5	9
*5. რუბინსონი	31	2/7	28.6	1/2	50.0	1/5	20.0	1/2	50.0	0	1	1	1	3	0	1	4	6
*6. პირსი	24	2/8	25.0	2/5	40.0	0/3	0.0	4/6	66.7	1	1	2	0	2	2	1	3	8
7. ბერიშვილი	10	1/2	50.0	1/1	100.0	0/1	0.0	0/0	0.0	2	0	2	0	0	0	0	1	2
8. ჩლაიძე	17	0/3	0.0	0/2	0.0	0/1	0.0	0/0	0.0	0	1	1	0	0	0	0	2	0
*9. გაი	30	5/9	55.6	3/3	100.0	2/6	33.3	6/7	85.7	0	4	4	0	4	1	0	4	18
*11. ათუაშვილი	17	0/1	0.0	0/1	0.0	0/0	0.0	1/2	50.0	0	3	3	0	2	0	0	2	1
12. ფაცაცია	18	3/8	37.5	2/6	33.3	1/2	50.0	2/3	66.7	3	2	5	0	0	0	0	3	9
13. გაფრინდაშვილი	8	0/0	0.0	0/0	0.0	0/0	0.0	0/0	0.0	0	0	0	0	2	0	0	2	0
14. ძადარია	4	1/1	100.0	1/1	100.0	0/0	0.0	2/4	50.0	1	0	1	0	0	0	0	0	4
15. სალიერსი	19	2/5	40.0	2/5	40.0	0/0	0.0	2/4	50.0	1	3	4	0	4	0	0	5	6
გუნდი										1	3	4		0			0	
ჯამი		19/ 60	31.7	13/ 36	36.1	6/ 24	25.0	19/30	63.3	10	21	31	2	20	4	2	31	63

დავემშვიდოგეთ ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპს, რაც არათუ ქართველებს, ბელარუსებსაც ვერ წარმოედგინათ. აი, რა დაწერა მატჩის მიმოხილვაში გაზეთ „რესბოლის“ ჟურნალისტმა **დიმიტრი გრეჩიკოვმა**: „ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში, თბილისში მტკივნეული წაგების შემდეგ „მინსკს“ 16-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრის მიზერული შანსი ჰქონდა. თუმცა **ანდრეი კრივონოსის** შეგირდებმა გმირობა ჩაიდინეს და ძლიერი მეტოქე 97:63 დაამარცხეს“.

საერთოდ, გაზეთ „პრესბოლის“ საიტზე გუშინ მატჩის მიმოხილვა არ გამოქვეყნებულა, რადგან ჯერ, მეორე დღეს, მკითხველმა გაზეთში უნდა იხილოს. თუმცა ბელარუს კოლეგას, მატჩის შემდეგ ვესაუბრე და დავიჩივლე, წარმოიდგინე, რა ხალისით უნდა დავწერო ასეთი სხვაობით წაგებული მატჩის მიმოხილვა-მეთქი. მე დაგეხმარები, ჩემს მიმოხილვას გამოგიგზავნი და, რადგან ტრანსლაცია არ იყო, რამდენიმე ნიუანსი აუცილებლად გამოგადგებაო.

გამომადგა: „პირველ წუთებზე შეტევაში ორივე გუნდს უჭირდა. სტუმრებმა საკუთარი ანგარიში სულაც მატჩის დაწყებიდან ორნახევარი წუთის შემდეგ გახსნეს, ხოლო 10 ქულას მეორე პერიოდში უწიეს. ქართული გუნდის კალათბურთელები ფარზე ბრძოლასაც აგებდნენ და, **აინარს ბაგაცკისის** გასაკვირად, სისწრაფეშიც. სოხუმელები უშედეგოდ ატრიალებდნენ კომბინაციებს, რომლებიც თბილისში გამარჯვებაში ძალიან დაეხმარათ. თუ პირველი მატჩისას ისინი სწრაფი, დიაგონალური პასებით პარტნიორებს სატყორცნ პოზიციაზე ტოვებდნენ, ამჯერად თავისუფლად სროლას ვერ ახერხებდნენ, სიმწვავეც იკარგებოდა და ბურთს საწყის მდგომარეობაში აბრუნებდნენ, რათა ახალი კომბინაცია წამოეწყოთ. სტუმრებს არც სწრაფი იერიშები გამოსდიოდათ - სწრაფად გადადიოდნენ „მინსკის“ ნახევარზე, თუმცა მალევე ექცეოდნენ ჩიხში.“

აქვე უნდა დავამატოთ, რომ „სოხუმის“ კალათბურთელები ძალიან ხშირად ჯარიმდებოდნენ - საწყის 20 წუთში 20 ფოლი მიიღეს. ამიტომაც იყო, შეხვედრა ჯარიმების ლიმიტის გამო ვერ ჩაამთავრეს **ლაშა ფარლალავამ** და **მარკ სალიარსმა**, ხოლო **ფრენკ რობინსონმა** და **ბრენდონ გაიმ** მეოთხე პერიოდი 4-4 ჯარიმით ითამაშეს. აკი წერს ბელარუსი ჟურნალისტი: „როცა ქართველთა „ამერიკული დიასპორა“ ფოლებით დაიტვირთა, სტუმრებმა კონტაქტურ ბრძოლაზე უარი თქვეს და მინსკელებს შეტევაში მეტი თავისუფალი სივრცე გაუჩნდათ.“ რადგან მატჩი ნანახი არ გვაქვს, ძნელია მსაჯების არაობიექტურობაზე ლაპარაკი, თუმცა ფაქტია - ბელარუსებს საჯარიმო ტყორცნები უკეთესად რომ შეესრულებინათ, სხვაობა გაცილებით დიდი იქნებოდა. მათ 36-დან მხოლოდ 23 საჯარიმო გამოიყენეს.

ჩვენი კალათბურთელების სროლის სიზუსტეზე ხომ სჯობს არაფერი ვთქვათ მაგრამ ამას საქმე მოითხოვს: განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა რეალიზებულ ორქულიანებში - 36-დან 13. 24-დან 6 სამქულიანი გამოვიყენეთ და 30-დან 19 საჯარიმო.

პირველ ტაიმში 15 ქულით წაგების შემდეგ იმედს ვიტოვებდით, რომ აინარს ბაგაცკისი დიდ შესვენებაზე შეგირდებს გამოაფხიზლებდა და ყველაფერს ახლიდან დაიწყებდა. აკი თქვა საქართველოში: უნდა დავივიწყოთ, რომ მატჩი 16 ქულის სხვაობით გვაქვს მოგებული, ყველაფერი ნულიდან დავიწყოთო. ჰოდა, გუშინ სანყისი 20 წუთი 15 ქულის სხვაობით რომ წაგო, მეორე ტაიმი (ორი მატჩის ჯამში) +1-ით დაიწყო. მოლოდინი არც ამჯერად გამართლდა, თამაშის შემოტრიალების ნაცვლად, სტუმრებმა მესამე პერიოდის ორწუთიანი მონაკვეთი 1:13 დათმეს და ევროჩელენჯის ჯგუფური ეტაპის გასაღები მასპინძლებს გადაულოცეს.

„მიხვდა რა, მატჩის გადარჩენა შეუძლებელი იყო, აინარს ბაგაცკისმა თეთრი დროში ააფრიალა - ამერიკელები სათადარიგოთა სკამზე დასვა და ბოლო ხუთი წუთი ქართული შემადგენლობით ჩაამთავრა.“

მატჩის შემდეგ დავუკავშირდით „სოხუმის“ პრესცენტრის ხელმძღვანელ **თენგიზ პაჭკორიას**, რომელმაც გვითხრა, რომ მატჩს ესწრებოდა ქართული დიასპორის 700 წარმომადგენელი, რომელთა შორის უმეტესობა დევნილი იყო.

პრესკონფერენციაზე „სოხუმის“ მთავარმა მწვრთნელმა აინარს ბაგაცკისმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

- თამაში ვერ დავალაგეთ, არაფერი გამოგვივიდა. თბილისშიც გავიხსენე ერთი მაგალითი: შარშან 27 ქულის მომგებმა გუნდმა განმეორებით შეხვედრაში უფრო დიდი სხვაობით წაგო. ამიტომ, ვეცადე კალათბურთელებისთვის შემეხსენებინა, რომ 16-ქულიანი მოგებით საქმე მოთავებული არ იყო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, გუნდი სათანადოდ ვერ განვაწყვე.

„მინსკის“ მთავარი მწვრთნელი **ანდრეი კრივონოსი** გახარებული იყო:

- შეხვედრას ოპტიმალურ ფორმაში შევხვდით. თბილისში დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეორეთ და, რაც მთავარია, გვჯეროდა, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლა შეგვეძლო.

ვაჟა სიმონიშვილი

მინსკი-სოხუმი

I პერიოდი

08:49	ლაშკევიჩი 1ქ (1:0)
08:30	კუდრიავცევი 2ქ (3:0)
08:02	ლაშკევიჩი 2ქ (5:0)
08:02	წუთშესვენება (სოხუმი)
07:21	გაი 2ქ (5:2)
06:39	ლაშკევიჩი 2ქ (7:2)
05:52	სალიერსი 2ქ (7:4)
04:32	კუდრიავცევი 1ქ (8:4)
03:36	სალიერსი 2ქ (8:6)
03:16	კუდრიავცევი 1ქ (9:6)
01:55	წუთშესვენება (მინსკი)
01:55	ჰოუკინსი 1+1 (11:6)
01:43	სალიერსი 1+1ქ (აცილა)
01:34	პირსი 2ქ (11:8)
01:18	ჰოჯი 2ქ (13:8)
00:59	კოჟენეცი 1+1 (აცილა)
00:17	კოჟენეცი 2ქ (15:8)

II პერიოდი

08:41	ფაცაცია 2ქ (15:10)
08:04	ჰოუკინსი 1ქ (16:10)
07:26	წუთშესვენება (სოხუმი)
06:52	გაი 2ქ (19:12)
06:14	ლაშკევიჩი 2ქ (21:12)
05:43	ჰოჯი 1+1 (23:12)
05:20	სალიერსი 1+1 (23:14)
04:25	კუდრიავცევი 1+1 (25:14)
03:48	ჰოჯი 1+1 (27:14)
03:36	გაი 2ქ (27:16)
03:17	კნოძსი 1ქ (28:16)
02:44	რუბინსონი 1ქ (28:17)
02:36	ჰოჯი 1ქ (29:17)
02:01	ლაშკევიჩი 2ქ (31:17)
01:33	გაი 3ქ (31:20)
01:16	კუდრიავცევი 3ქ (34:20)
00:47	ლაშკევიჩი 2ქ (36:20)
00:26	ჰოუკინსი 2ქ (38:20)
00:06	გაი 3ქ (38:23)

III პერიოდი

09:24	ფარლალავა 1ქ (38:24)
08:22	ლაშკევიჩი 2ქ (40:24)
08:15	ფარლალავა 3ქ (40:27)
08:04	ჰოჯი 2ქ (42:27)
06:47	პირსი 2ქ (42:29)
06:26	ტრასინეცკი 2ქ (44:29)
05:56	ლაშკევიჩი 2ქ (46:29)
05:45	პირსი 1+1 (46:31)
05:31	კუდრიავცევი 1ქ (47:31)
05:29	ჰოუკინსი 1+1 (49:31)
05:24	კუდრიავცევი 3ქ (52:31)
05:15	კუდრიავცევი 2ქ (54:31)
04:42	ტრასინეცკი 2ქ (56:31)
04:24	ათუაშვილი 1ქ (56:32)
04:03	ჰოუკინსი 3ქ (59:32)
03:37	გაი 1+1 (59:34)
03:23	რუბინსონი 3ქ (59:37)
03:04	ჰოუკინსი 2ქ (61:37)
02:35	კუდრიავცევი 3ქ (64:37)
00:58	გაი 1+1 (64:39)
00:38	ჰოუკინსი 2ქ (66:39)
00:28	პირსი 1+1 (66:41)
00:00	ტრასინეცკი 2ქ (68:41)

IV პერიოდი

09:54	კოჟენეცი 2ქ (70:41)
09:00	კოჟენეცი 2ქ (72:41)
08:08	ჰოჯი 2ქ (74:41)
07:51	გაი 1+1 (74:43)
07:40	ჰოუკინსი 3ქ (77:43)
06:05	ფარლალავა 3ქ (77:46)
05:45	ფარლალავა 2ქ (77:48)
05:16	ჰოჯი 2ქ (79:48)
05:08	პირსი 1+1 (აცილა)
04:49	ჰოჯი 2ქ (81:48)
04:36	რუბინსონი 2ქ (81:50)
04:18	ჰოუკინსი 1ქ (82:50)
04:05	ჰოჯი 2ქ (84:50)
03:53	ფაცაცია 1ქ (84:51)
03:38	ლაშკევიჩი 2ქ (86:51)
03:31	ლაშკევიჩი 1ქ (87:51)
03:22	ფაცაცია 3ქ (87:54)
02:37	ფაცაცია 2ქ (87:56)
02:34	ფაცაცია 1ქ (87:57)
02:28	ჰოჯი 2ქ (89:57)
02:18	ლაშკევიჩი 2ქ (91:57)
02:12	ჰოჯი 1+1 (93:57)
01:54	ძადარია 1ქ (93:58)
01:22	ბერიშვილი 2ქ (93:60)
00:45	ძადარია 1ქ (93:61)
00:38	ჰოჯი 1+1 (95:61)
00:25	ძადარია 2ქ (95:63)
00:12	სემიანიუკი 2ქ (97:63)

ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

ოთხი წელიწადი მონებივით უნდა ვიშრომოთ

საქართველოს ნაკრებმა ერთ კვირაზე მეტია, რაც ჯგუფური ტურნირის დასრულების შემდეგ ახალი ზელანდია დატოვა. თუმცა მსოფლიოს თასის გათამაშების მატჩების მიმდინარეობას თვალს ადგილზე ადევნებს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე, რომელიც ამჟამად ოქლენდში იმყოფება, სადაც IRB-ს გენერალურ ასამბლეაში მიიღებს მონაწილეობას. ოქლენდშივე გაიმართება ამ მსოფლიოს რაგბის მმართველი ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნები.

ცხადია, ყოველივე ამის პარალელურად რაგბის კავშირის პრეზიდენტი IRB-ს დიდმოხელეებთან და ელიტური ქვეყნების რაგბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებას აწარმოებს. გიორგი ნიჟარაძეს ოქლენდში დავუკავშირდით და იქაურ ამბებზე დავეკითხეთ:

- მას შემდეგ, რაც ჩვენმა ნაკრებმა ახალი ზელანდია დატოვა, ოქლენდში ვიმყოფები. აქ მხოლოდ ელიტური სარაგბო ქვეყნების პრეზიდენტები არიან, რომლებმაც თავიანთ წრეში, ისე მიმიღეს, როგორც სრულფასოვანი წევრი.

IRB-სა და სხვადასხვა ქვეყნის რაგბის ხელმძღვანელებთან შეხვედრებს ყოველდღე ვმართავ. ძალიან ბევრ რამეში ჩვენს მოსაზრებებს იზიარებენ. საერთო აზრია, რომ საქართველოს ნაკრებს ძალიან დიდი პროგრესი აქვს. ამბობენ, რომ შეიძლებოდა შოტლანდიის ნაკრების დამარცხება. აღნიშნავენ არგენტინის ნაკრებთან შესანიშნავად გამართულ პირველ ტაიმსაც და, რომ არა დაღლილობა, რაც გუნდს მეორე ნხევარში დაეტყო, არავინ იცის, ეგ თამაში როგორ დასრულდებოდა. გახსოვთ, ალბათ, რომ არგენტინის ნაკრებთან მატჩისთვის ძალების აღსადგენად მხოლოდ სამი დღე გვქონდა.

ბილ ბომონტი

- ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით IRB-ს ხელმძღვანელთა შეხვედრა გაიმართა. არსებული ფორმატის შეცვლას აპირებენ...

- დაიხ, არსებული ფორმატი უნდა შეიცვალოს. ამაზე უკვე აქტიურად მიდის მუშაობა და შემდეგ მსოფლიოს თასის გათამაშებაში, რომელც 2015 წელს ინგლისში გაიმართება, ბევრად უფრო მოქნილი და ყველასთვის მისაღები კალენდარი შედგება.

ამის გრადა, აქ სხვა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვან თემებზეც მიმდინარეობს მსჯელობა. ემოციები დაცხრა და გამოჩნდა, რომ ძალიან ბევრი რამ გვაქვს შესაცვლელი. სერიოზულ კავშირებს ვამყარებთ როგორც ბრიტანულ, ისე ფრანგულ მხარესთან. ხვალ უნდა შევხვდე შონ ფიცპატრიკს და მის ექვს თანაგუნდელს, რომლებმაც 1987 წელს ახალ ზელანდიას მსოფლიოს თასი მოუტანეს. წინასწარი ინფორმაციით, მათ საინტერესო წინადადებები აქვთ მომზადებული და უნდათ თანამშრომლობა შემოგვთავაზონ.

- თქვენ მეოთხედფინალური მატჩების უშუალოდ თვითმხილველი ბრაძანდებით. არგენტინის ნაკრები, რომელიც ჩვენი თანაჯგუფელია, ფავორიტ ახალ ზელანდიასთან საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა...

- არგენტინის ნაკრებმა შესანიშნავად ითამაშა და, რომ არა საშინელი მსაჯობა, ანგარიშში სხვაობა ბევრად უფრო მცირე იქნებოდა.

- ცუდი მსაჯობის შესახებ თქვენც არაერთხელ აღნიშნეთ და უცხოურ პრესაშიც დაიწერა. რა რეაქცია აქვს ამაზე IRB-ს დიდმოხელეებს?

- მსაჯებს ყველა აკრიტიკებს, მათ შორის IRB-ს ხელმძღვანელობაც. რა შეიძლება შეიცვალოს ამ მიმართულებით, ახლა ძნელი სათქმელია. 17 ოქტომბერს IRB-ს გენერალური ასამბლეაა, ორი დღის შემდეგ კი ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. კანდიდატურა ორია: მოქმედი პრეზიდენტი ფრანგი ბერნარ ლაპასე და ინგლისელი ბილ ბომონტი.

- ჯერ კიდევ საქართველოს ნაკრების ახალ ზელანდიაში ყოფნისას დაიწყო საუბარი IRB-ს ეგიდით მიმდინარე ტურნირების სტრუქტურული ცვლილებების თაობაზე. რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ხომ არ არის ამ დროისთვის მიღებული?

- არა, ცვლილებები ასე მალე არ მოხდება. მსოფლიოს რაგბის სამყარო ისეთია, რომ ცვლილებებს ადვილად ვერ ეგუება. ამიტომ ახლა მთავარია, ამ ცვლილებებს ჩაეყაროს მყარი საფუძველი. ამაზე, როგორც უკვე გითხარით, ყოველდღიურად ვმუშაობ და სულ უფრო და უფრო მეტი მხარდამჭერი გვიჩნდება, თუმცა, ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილებების მიღებას რამდენიმე თვე დასჭირდება.

საქართველოს ნაკრებმა თავისი თამაშით, ფაქტობრივად, ეს საფუძველი მოამზადა კიდეც. ყველგან, მათ შორის ქუჩაშიც, როცა ჩემს სამოსზე საქართველოს ნაკრების ემბლემას ამჩნევენ, მაჩერებენ და წარმატებულ გამოსვლას მილოცავენ. კიდევ ხომ ჩამოხვალთო, გვინდა ჩვენთან ერთად იყოთო.

ერთი სიტყვით, მსოფლიოს რაგბის თემმა თავის ოჯახში მიგვიღო და ახლა, მომდევნო ოთხი წელიწადი ყველამ მონებივით უნდა ვიშრომოთ, რომ კიდევ უფრო განვვითარდეთ, წინ წავიდეთ, თორემ სტაგნაცია და უკუსვლა დაიწყება.

მსოფლიოს თასი

დიმიტრი იაშვილი

ლე ბლო ისეთივე, როგორიც პომებთან

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა მარკ ლივერმონმა შაბათს ოქლენდში „ედენ პარკზე“ უელსის ეროვნულ გუნდთან გასამართი ნახევარფინალური მატჩისთვის საბრძოლო რაზმი დაასახელა.

„ლე ბლოს“ თავკაცმა უელსელთა დასამარცხებლად ძირითად შემადგენლობაში ზუსტად ის 15 მორაგბე შეიყვანა, ვინც გასულ უქმეებზე მეოთხედფინალში ინგლისის ნაკრებთან ითამაშა.

ძირითად შემადგენლობაშია ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილიც,** რომელმაც „პომებთან“ მატჩში ფეხი დაიშავა და ვარჯიშს მხოლოდ დღეს განაახლებს. გუშინ, მის გარდა, ყველამ ივარჯიშა. მათ შორის იყო „იაშის“ თანაკლუბელი, ბასკი მესამეხაზელი **იმანოლ არინორდოკი.**

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთისა და უელსის ნაკრებების ბოლო შვიდ დაპირისპირებაში ექვსჯერ გამარჯვება „ლე ბლოს“ დარჩა. ლივერმონის მიერ ამჯერად შერჩეული ძირითადი შემადგენლობიდან, წლეულს უელსის ნაკრების ძლევაში 28:9, თერთმეტმა მორაგბემ მიიღო მონაწილეობა. მაშინ არ უთამაშიათ **ჟან-ბატისტ პუს, დიმიტრი იაშვილს, მაქსიმ მერმოსს** და **ორელიან რუჟერს.**

მესამეხაზელი იმანოლ არინორდოკი კი საფრანგეთის რაგბის ისტორიაში მეხუთე მორაგბეა, რომელსაც მსოფლიოს თასის სამ ნახევარფინალში უთამაშია.

ფრანგთა გარემარბი **ვენსან კლერი** კი ეცდება, საუკეთესო მელელოვეებს შორის დავაში ინგლისელ **კრის ეშტონს** გაუსწროს. ამ მორაგბეების ანგარიშზე ექვს-ექვსი ლელოა. რეკორდი კი ახალზელანდიელ **ჯონა ლომუს** ეკუთვნის, რომელმაც 15 ლელო გაიტანა. ორით ნაკლები კი ასევე ახალზელანდიელი **დაგ ჰაულიტის** ანგარიშზეა.

საფრანგეთის ნაკრები: **15. მაქსიმ მედარი, 14. ვენსან კლერი, 13. ორელიან რუჟერი, 12. მაქსიმ მედარი, 11. ალექსის პალისონი, 10. მორგან პარა, 9. დიმიტრი იაშვილი. 1. ჟან-ბატისტ პუ, 2. ვილიამ სერვა, 3. ნიკოლა მასი, 4. პასკალ პაპე, 5. ლიონელ ნალე, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ჟულიენ ბონერი, 8. იმანოლ არინორდოკი.**

16. დიმიტრი შუარჟევსკი, 17. ფაბიენ ბარსელა, 18. ჟულიენ პიერი, 19. ლუის პიკამოლი, 20. ფრანსუა ტრინ-დუკი, 21. დავიდ მარტი, 22. სედრიკ ეიმანი.

რეიტინგში საქართველო მეთოთხმეტეზე გამყარდა

საქართველო-რუმინეთი

მსოფლიოს თასის გათამაშების მიმდინარეობისას IRB-ს მსოფლიოს კლასიფიკაციაში გუნდების განლაგება რამდენჯერმე შეიცვალა. ჯგუფური ტურნირის დასრულების შემდეგ ერთმანეთს ადგილებს მხოლოდ მეოთხედფინალში გასული გუნდები ეცილებოდნენ.

დღევანდელი მდგომარეობით მოწინავეთა შორის ყველაზე დიდი პროგრესი უელსის ნაკრებმა განიცადა, რომელმაც მეოთხედფინალში ირლანდიის ნაკრების ძლევის შემდეგ 83,21 ქულა დააგროვა და რეიტინგში მეოთხე ადგილზეა. ნახევარფინალში უელსელთა მეტოქე საფრანგეთის ეროვნული გუნდი კი 82,68 ქულით მეხუთე საფეხურზეა.

რეიტინგს სათავეში ახალი ზელანდია უდგას 90,62 ქულით, მას კვალში მიჰყვება კიდევ ერთი ნახევარფინალისტი ავსტრალია - 87,21 ქულა. საქართველოს ნაკრები კი მსოფლიოს კლასიფიკაციაში მყარად დამკვიდრდა მე-14 ადგილზე. „ბორჯღალოსნებს“ 71,09 ქულა დაუგროვდათ. უახლოეს მდევარ იაპონიას 70,45 ქულა აქვს. მეთექვსმეტეადგილოსანი ფიჯი კი თითქოს სამი ქულით ჩამოგვრჩება - 68,78.

მსოფლიო რეიტინგი

1. ახალი ზელანდია - 90.62 ქულა, 2. ავსტრალია - 87,21. 3. სამხრეთ აფრიკა - 84,34. 4. უელსი - 83,21. 5. საფრანგეთი - 82,68. 6. ინგლისი - 81,58. 7. ირლანდია - 80,65. 8. არგენტინა - 80,28. 9. ტონგა - 76,63. 10. შოტლანდია - 76,20. 11. სამოა - 75,81. 12. იტალია - 73,99. 13. კანადა - 72,92. 14. საქართველო - 71,09. 15. იაპონია - 70,45, 16. ფიჯი - 68,78. 17. აშშ - 65,63. 18. რუმინეთი - 63,98. 19. ნამიბია - 61,24. 20. პორტუგალია - 60,67.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

მოსაზრება

ჯონი ტიტანიკივით ჩაიძირა

*ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებაში ინგლისის ნაკრების გამოსვლას კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს, რაც გასაკვირი სულაც არ არის. „პომები“ მოედანზეც და მის მიღმაც ამაზრზენად გამოიყურებოდნენ. ინგლისის ნაკრების მორაგბეები ერთი თვის განმავლობაში რამდენიმე სკანდალში გაებნენ, რასაც გუნდის თამაშზე უკვალოდ არ უნდა ჩაევლო. ასეც მოხდა. **მარტინ ჯონსონის** სამწყსომ მეოთხდფინალში საფრანგეთის ნაკრებთან წააგო და სამშობლოში შერცხვენილი დაბრუნდა.*

*ყოველივე ამის შემდეგ გაზეთ „სანის“ სპორტის განყოფილების ხელმძღვანელი სტივ ჰოვარდი **ჯონი ვილკინსნონის** მზის ჩასვენებაზე წერს. გთავაზობთ ამონარიდს ამ სტატიიდან.*

„ჯონი ვილკინსონი ფეხბურთელ დეივიდ ბექჰემთან ერთად ამ თაობის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა და ცნობილი ვარსკვლავი იყო. „ვილკომ“ ეროვნულ ნაკრებსა და „ბრიტანელ ლომებში“ ჯამში 97 კეპი მოიხვეჭა. 2003 წელს კი „პომებს“ მსოფლიოს თასი მოაგებინა. სულ კარიერაში ნაკრებს 1246 ქულა შესძინა, რაც დენ კარტერის საუკეთესო მაჩვენებელზე ოთხი ქულით ნაკლებია.

თუმცა, ყველაფერი ოდესღაც იწყება და როდესმე მთავრდება. ვილკინსონის სანაკრებო კარიერაც, ვფიქრობთ, დასრულდა. ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთის ეროვნულმა ნაკრებმა ინგლისელთა გუნდს 19:12 მოუგო, „ტიტანიკი“ კი 1912 წელს ჩაიძირა. გასულ უქმეებზე ცუდად მართული ინგ-

ჯონი ვილკინსონი

ლისური „გემი“ ამ ქვეყნის რაგბისთვის ერთ ბნელ საღამოს ფრანგულ აისბერგს შეასკდა და ჩაიძირა.

ინგლისის ნაკრებმა მომდევნო 2015 წლის მსოფლიოს თასისთვის მზადება ახლავე, დღეიდანვე უნდა დაიწყოს. საამისოდ პირველ რიგში გუნდიდან უნდა დაითხოვონ ჯონი ვილკინსონი, მაიკ თინდოლი, სტივ ტომსონი, ლუის მუდი, საიმონ შოუ, მარკ კუეტო და ნიკ ისთერი. ისინი ოთხი წლის შემდეგ ნაკრებისთვის ძალიან ბებრები იქნებიან.

უფრო მეტიც, დრო ენდრიუ შერიდანის, ლუის დიკონის, ტომ პალმერის, შონთაი ჰეპისა და მეთ სტივენსის წინააღმდეგ მუშაობს.

ჯონი ვილკინსონისთვის, რომელიც 2003 წლის მსოფიოს თასის გმირი იყო, ახალ ზელანდიაში გამართული ტურნირი საშინელი სიზმარივით დარჩება. თანაგუნდელებისგან განსხვავებით, ის წესიერი კაცი და ნამდვილი სპორტსმენია, თუმცა მხოლოდ მისი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ინგლისის ნაკრებს საქვეყნოდ სირცხვილი არ ეჭამა.

საკმარისი არ იყო და, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ჯონი ის აღარ არის, რაც იყო. „ვილკო“ ტიტანიკივით ჩაიძირა“.

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ბოსტონმა ვარლამოვს ვერაფერი მოუხერხა

ჩემპიონმა მძიმედ დაიწყო

გუშინ შვიდი მატჩით გაგრძელდა ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატი.

არცთუ ისე დამაჯერებელი სტარტი გამოუვიდა ახალ სეზონში სტენლის თასის მფლობელ „ბოსტონ ბრუინზს“. „დათვები“ საკუთარ მოედანზე „კოლორადოს“ ხვდებოდნენ და სამ მატჩში მეორე მარცხი იწვნიეს.

ამ შეხვედრაში საფეხბურთო ანგარიში - 1:0 დაფიქსირდა, რაც ორივე გუნდის მეკარის კარგმა თამაშმა განაპირობა. „კოლორადოს“ რუსი კიპერი **სემიონ ვარლამოვი** 30 დარტყმას გადაეღობა და კარიერაში მეხუთე „შათაუტი“ შეასრულა. მისმა ვიზავიმ - „ბოსტონის“ ფინელმა მეკარემ **ტუუკა რასკიმ** უფრო მეტი - 35 დარტყმა მოიგერია, მაგრამ მესამე პერიოდის მერვე წუთზე ვერაფერი მოუხერხა კოლორადოელი **მილან ჰეიდუკის** დარტყმას. რასკის შესაძლოა ამჯერადაც ეყოჩაღა, რომ არა რიკოშეტი - ჰეიდუკის დარტყმული „ბოსტონის“ კაპიტან **ზდენო ხარას** მოხვდა.

საბოლოოდ, კოლორადომ 1:0 მოიგო და სეზონში პირველი გამარჯვება გაიფორმა.

ასევე პირველ წარმატებას მიაღწია „ნიუ ჯერსი დევილზმა“. ამ გუნდმა ჩაგდო შარშანდელი ჩემპიონატი, რადგან 1996 წლის შემდეგ პირველად პლეი ოფის საგზური ვერ მოიპოვა. „ეშმაკებმა“ ახალი სეზონიც ცუდად დაიწყეს - „მშრალი“ ანგარიშით წააგეს სასტარტო მატჩი „ფილადელფიასთან“, მაგრამ ამჯერად შეძლეს „კაროლინას“ დამარცხება.

თუმცა ეს არ ყოფილა იოლი გამარჯვება. „დევილზმა“ პირველი პერიოდი **ზაკ პარიზეს** გოლით მოიგო - მასპინძლების ერთ-ერთ ლიდერს ასისტენტობა **პატრიკ ელიაშმა** და **პეტრ სიკორამ** გაუწიეს.

მეორე პერიოდი კი სტუმრებს დარჩათ. მატჩის ამ ნაწილში იყო ოთხწუთიანი მონაკვეთი, რომელშიც სამი გოლი გავიდა. ჯერ „კაროლინამ“ გაათანაბრა ანგარიში - **გლისონმა** და **ალენმა** კარგად გაითამაშეს შაიბა და **ალექსეი პონიკაროვსკიმ** ანგარიში გაათანაბრა.

მაგრამ არ გასულა 40 წამი და „ნიუ ჯერსი“ კვლავ წინ გასვლას ზეიმობდა - რუსმა ილია **კოვალჩუკმა მარკ ფეინს** გაატანინა - 2:1 „დევილზის“ სასარგებლოდ. ზუსტად სამ წუთში კი ისევ აღდგა თანაფარდობა - „კაროლინას“ რიგებში სეზონში მეოთხე საგოლე პასი მიითვალა ახალგაზრდა ვარსკვლავმა **ჯეფ სკინერმა** - მისი ზუსტი გადაცემით **ჩად ლა როუზმა** გამოიჩინა თავი და ორი პერიოდის შუმდეგ ანგარიში თანაბარი იყო - 2:2.

გადამწყვეტი სიტყვა „ნიუ ჯერსის“ ვარსკვლავმა ილია კოვალჩუკმა თქვა. მესამე პერიოდის მეშვიდე წუთზე მან **ჯოზეფსონისა** და **პალმიერის** კომბინაცია დაასრულა ზუსტი დარტყმით, ბოლოს კი, როცა კაროლინამ მეკარე წინა ხაზის მოექვსე მოთამაშეთი შეცვალა, რუსმა ჰოკეისტმა ზაკ პარიზეს დუბლი შეასრულებინა - 4:2.

ახალგაზრდა ვარსკვლავებით დაკომპლექტებულმა „აილენდერსმა“ შინ გაჭირვებით მოუგო „მინესოტას“ და პირველი ორი ქულა ჩაინერა აქტივში. ნიუიორკელმა კლუბმა მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველი პერიოდის ორწუთიან მონაკვეთში გადაწყვიტა. თავდაპირველად რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა **ენდრიუ მაკდონალდმა**, რომელმაც **ტრევის ჰამონიკის** დარტყმულს დაამატა და „აილენდერსი“ წინ გავიდა - 1:0. ორ წუთში კი ნიუიორკელთა კაპიტანმა **მარკ შტრაიტმა** გაატანინა **ფრენს ნილსენს** და მასპინძლებმა ორშაიბიანი უპირატესობა მიიღეს.

ამის შემდეგ „მინესოტა“ ბევრს უტევდა, ხუთჯერ მიიღო რიცხობრივი უპირატესობა, აქედან ერთხელ ორი კაცით მეტი ჰყავდა მოედანზე, მაგრამ ბრწყინვალედ თამაშობდა „აილენდერსის“ მეკარე **ელ მონტოია**.

ამ გოლკიპერს მხოლოდ ერთხელ მოუწია საკუთარი კარიდან შაიბის გამოტანამ, როცა მინესოტელმა **მეტ კულენმა** დაარტყა ზუსტად. „აილენდერსმა“ მატჩის ბოლომდე შეინარჩუნა სასურველი ანგარიში და ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა, „მინესოტასთვის“ კი ეს პირველი მარცხი იყო ახალ სეზონში.

ბოსტონი–კოლორადო 0:1

0:0, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 ჰეიდუკი-1 (ჰეიდა-1, დუშენი-1).

ნიუ ჯერსი–კაროლინა 4:2

1:0, 1:2, 2:0

გოლები: 1:0 პარიზე-1 (ელიაში-1, სიკორა-1), 1:1 პონიკაროვსკი-1 (გლისონი-2, ალენი-1), 2:1 ფეინი-1 (კოვალჩუკი-1, პალმიერი-1), 2:2 ლაროუზი-1 (სკინერი-4, ალენი-2), 3:2 კოვალჩუკი-1 (ჯოზეფსონი-1, პალმიერი-2), 4:2 პარიზე-2 (კოვალჩუკი-2, გრინი-1).

აილენდერსი–მინესოტა 2:1

2:0, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 ენდრიუ მაკდონალდი-1 (ჰამონიკი-1, პარენტო-1), 2:0 ნილსენი-1 (შტრაიტი-1, პარენტო-2), 2:1 კულენი-2 (ლატენდრესი-2, ბალმერი-1).

სენტ ლუისი–კალგარი 5:2

1:1, 2:1, 2:0

გოლები: 0:1 გლენკროსი-2 (ო. იოკინენი-1, სტემპნიაკი-1), 1:1 სტინი-1 (აარნოტი-1, დ'აგოსტინი-1), 2:1 შატენკირკი-1 (შატენკირკი-1, ენდი მაკდონალდი-1), 3:1 პიეტრანჯელო-1 (ბერგლუნდი-1, ოში-2), 3:2 იგინლა-1 (ჯორდანო-2, ტანგეი-2), 4:2 კ. სტიუარტი-1 (პიეტრანჯელო-1), 5:2 არნოტი-2 (ენდი მაკდონალდი-2).

დალასი–ფინიქსი 2:1 (ბ)

0:0, 0:0, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ვრბატა-1 (ჰანჟალი-1, დოუნი-1), 1:1 ლ. ერიქსონი-1 (სურეი-3, ოტი-1).

ბულიტები გაიტანეს: ლ. ერიქსონი (დალასი), დოუნი (ფინიქსი), რიბეირო (დალასი).

კოლამბუსი–ვანკუვერი 2:3

1:1, 1:0, 0:2

გოლები: 1:0 ატკინსონი-1 (მაკენზი-1), 1:1 ჰიგინსი-1 (მალორტა-1, ჰანსენი-1), 2:1 პროსპალი-2 (ნეში-2, კლიტსომი-2), 2:2 ჰოჯსონი-1, 2:3 ბაროუზი-1 (დ. სედინი-2, ჰ. სედინი-3).

ვაშინგტონი–ბუფალო 6:5 (ბ)

2:2, 1:1, 2:2, 0:0

გოლები: 0:1 პურსელი-1 (ჟერვე-1), 1:1 მ. იოჰანსონი-1 (ელზნერი-2), 1:2 ჟერვე-1 (მ-ა. ბერუერონი-2, დაუნი-1), 2:2 ვიდმანი-1 (ჰალპერნი-1, მ. ჰერო-1), 2:3 მური-1 (მენონი-2, ქონოლი-1), 3:3 ბროუერი-1 (შულეი-1, მ. იოჰანსონი-1), 4:3 ჩიმერა-2 (ლეიმი-1, ჯ. უორდი-2), 4:4 ტომპსონი-1 (ბ. კლარკი-1, მური-1), 4:5 ბ. კლარკი-1 (მელუნი-2, პურსელი-2), 5:5 ჩიმერა-3.

ბულიტები გაიტანეს: სიმონი (ვაშინგტონი), ჰენდრიქსი (ვაშინგტონი).

● ფორმულა 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა რეკორდების ჯერია

ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მთავარი ინტრიგა აღარ არსებობს - პირველობის დასრულებამდე ოთხი ეტაპით ადრე ჩემპიონი ცნობილია: ეს გახლავთ „რედ ბულის“ პილოტი **სებასტიან ფეტელი**. თუმცა გერმანელი ავტომრბოლი აცხადებს, რომ დარჩენილ რბოლებშიც მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს, რადგან მას და მის გუნდს რამდენიმე რეკორდის განახლება აქვს ჩაფიქრებული.

- ვფიქრობ, ხედავთ განსხვავებას შარშანდელ და წლევანდელ სეზონებს შორის. შარშან მხოლოდ ერთხელ - წლის ბოლოს ვიყავით ლიდერები და გამარჯვება მოვიპოვეთ. წლეულს კი სტარტიდანვე პირველ ადგილზე ვართ და ასე იქნება ბოლომდე. კარგია, რომ სეზონი ჯერ არ დასრულებულა. წინ კიდევ ოთხი რბოლაა, რომელშიც ბევრი სიახლის გაგებას ვაპირებთ. გარკვეულწილად, მოქმედების თავისუფლება მივიღეთ, რაც მომავალი სეზონისთვის უკეთ მომზადებაში დაგვეხმარება.

საოცარია პროგრესიც - შარშანდელთან შედარებით, სრულიად განსხვავებული გუნდი გვყავს, არადა, ტექნიკური პერსონალი არ შეცვლილა. უბრალოდ, ჩვენ ყველანი ერთი წლით გავიზარდეთ, - ამბობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

ფეტელმა მთავარი ამოცანა შეასრულა - ტიტული შეინარჩუნა, ახლა კი გერმანელი ფორმულა 1-ის ლეგენდების რეკორდებს ემუქრება.

მაგალითად, თუ სებასტიანი დარჩენილ ოთხ რბოლას მოიგებს, ლეგენდარული თანამემამულის, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის **მიხაელ შუმახერის** რეკორდს გაიმეორებს, რომელიც სეზონში 13 გამარჯვებას უდრის. ამჟამად ფეტელის ანგარიშზე 9 გრანპრი მოდის.

და კიდევ, თუ „რედ ბულის“ პილოტი სამჯერ მოიპოვებს პოულს, დაამხობს **ნაიჯელ მენსელის** რეკორდს. 1992 წელს ბრიტანელმა პილოტმა სეზონში 14 კვალიფიკაცია მოიგო.

შემდეგი ეტაპი - კორეის გრანპრი უახლოეს უიქ ენდზე გაიმართება. იაპონიაში ტრიუმფის შემდეგ ფეტელი თანაგუნდელებთან ერთად ირლანდიურ კარაოკე-ბარში გაერთო, მაგრამ დღეიდან ისევ უნდა დაუბრუნდეს სამუშაოს და ჩაფიქრებული რეკორდების გასაუმჯობესებლად მზადება უნდა დაიწყოს.

სებასტიან ფეტელი

საგულისხმო სტატისტიკა

იაპონიის გრან პრის შემდეგ ცნობილმა ენციკლოპედიურმა ბაზამ Forix-მა გამოაქვეყნა ახალი საინტერესო სტატისტიკური მონაცემები.

სებასტიან ფეტელის მიღწევები

- **სებასტიან ფეტელი** ოცდამეთორმეტეა იმ პილოტთა სიაში, რომლებმაც გამარჯვებით დაიწყეს სეზონი და შემდეგ ტიტული მოიპოვეს. ასეთი რამ ბოლო ექვს წელიწადში მეხუთედ მოხდა. არავის ფორმულა 1-ის ისტორიაში არ წაუგია სეზონი ჩემპიონატში რვა გამარჯვების შემდეგ. გამონაკლისი არც ფეტელი ყოფილა.

- 24 წლისა და 98 დღის ასაკში მეორე ტიტულის მოგებით ფეტელი ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ორგზის ჩემპიონი გახდა. ამ მხრივ სებას ვერ შევადარებთ დიად ავტომრბოლებს. ამავე ასაკში **მიხაელ შუმახერს** მხოლოდ ერთი მოგება ჰქონდა. **ალენ პროსტს** ჯერ დებიუტი არ ჰქონდა გრან პრიში, **ხუან-მანუელ ფანხიოს** კი დებიუტამდე მთელი 14 წელი აშორებდა!

- ამავე ასაკში **ჯენსონ ბატონს** თითქმის 70 გრანპრი ჰქონდა ჩატარებული, მაგრამ ვერც ერთ გამარჯვებას ვერ მიაღწია.

- იაპონიაში პოული მე-12 იყო ფეტელისთვის ერთი სეზონის განმავლობაში და ის მესამე ადგილზე გადავიდა შესაბამის რეიტინგში. რეკორდი ეკუთვნის **ნაიჯელ მენსელს** - 14 პოული 1992 წელს. მეორეზეა ალენ პროსტი - 13 (1993).

- მესამე ადგილი სუზუკაზე - ეს მე-14 პოდიუმია ფეტელისთვის მიმდინარე სეზონში. სებასტიანი ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა **ფერნანდო ალონსოს** (2006), რომელიც შესაბამის რეიტინგში მესამე ადგილზეა. რეკორდი ეკუთვნის მიხაელ შუმახერს - 17 პოდიუმი 2002 წელს.

- იაპონიაში სებასტიან ფეტელმა ზედიზედ მე-17 რბოლა დაასრულა ქულათა ზონაში. უკეთესი სერია მხოლოდ ორ პილოტს აქვს: მიხაელ შუმახერს - 24 გრან პრი (მალაიზია 2001-უნგრეთი 2003) და ფერნანდო ალონსოს - 18 გრან პრი (გერმანია 2005-გერმანია 2006).

კვალიფიკაცია

- 0.009-წამიანი სხვაობა კვალიფიკაციის პირველ და მეორე ადგილს შორის - მინიმალურია გერმანიის შარშანდელი ეტაპის შემდეგ, როცა ფეტელმა ალონსოს 0.002 წამო მოუგო.

- მეშვიდე პოზიცია სტარტზე - საუკეთესოა **კამუი კობაიაშის** კარიერაში, არადა, იაპონელმა არ გაიარა ფინალური სესიის დროს სწრაფი წრე. მისი საუკეთესო შედეგი იყო წელს სილვერსტოუნში მერვე ადგილი, მის გუნდს "ზაუბერს" კი არ მიუღწევია ასეთი მაღალი სასტარტო ადგილისთვის 2009 წელს აბუ დაბის გრან პრის შემდეგ, როცა **რობერტ კუბიცა** იყო მეშვიდე კვალიფიკაციაში "BMW-ზაუბერის" ბოლიდით.

- 23-ე პოზიცია სტარტზე - უარესი შედეგია **ნიკო როსბერგის** კარიერაში. მანქანასთან დაკავშირებული პრობლემების გამო შეწყდა 15-ეტაპიანი სერია, რომლის დროსაც გერმანელი კვალიფიკაციის ფინალში გადიოდა. ასევე უარესი სასტარტო პოზიცია ჰქონდა კარიერაში **სერხიო პერესს** - მე-17 ადგილი.



რბოლა

- **ჯენსონ ბატონმა** კარიერაში მე-12 რბოლა მოიგო და ამ მაჩვენებლით გვერდში ამოუდგა **მარიო ანდრეტის**, **ალან ჯონსსა** და **კარლოს როიტემანს**. ჯენსონი პოდიუმებით გაუთანაბრდა **ლუის ჰემილტონს**, ამასთან, ბატონი ბოლო ხუთი რბოლა შედიოდა სამეულში, ლუისი კი ზუსტად ამდენი ეტაპია არ ასულა პოდიუმზე.

- ზედიზედ მერვე რბოლაა, ფერნანდო ალონსო იმაზე მაღალ პოზიციას იკავებს, ვიდრე სტარტზე ჰქონდა. ამ რვა რბოლიდან ექვსში ესპანელი პოდიუმზე ავიდა.

- კარიერაში 33-ე პოდიუმით სებასტიან ფეტელი შესაბამის რეიტინგში 22-ე ადგილზე გადავიდა და გაუთანაბრდა **დენი ჰულმს, ჯოდი შექტერსა** და **ფელიპე მასას**. ეს უკანასკნელი პირველ სამეულში კორეის შარშანდელი გრან პრის შემდეგ არ ყოფილა.

- სუზუკას რბოლის მსვლელობისას ცხრა პილოტი ლიდერობდა, მათ შორის იყო მიხაელ შუმახერი, რომელიც კარიერაში 142-ედ და სპორტში დაბრუნების შემდეგ პირველად ჩაუდგა ეტაპს სათავეში. 42 წლისა და 9 თვის გერმანელი რბოლის ყველაზე ასაკოვანი ლიდერი გახდა 1986 წლის შემდეგ, რითაც **ჟაკ ლაფიტის** მიღწევა გააუმჯობესა, რომელიც აშშ-ის გრანპრის 42 წლისა და 7 თვის ასაკში ლიდერობდა. თუმცა გასული საუკუნის 50-იან წლებში ეს ჩვეული მოვლენა იყო. მაგალითად, **ჯუზეპე ფარინამ** პირველი ტიტული 43 წლისა და 10 თვის ასაკში მოიგო.

- შუმახერი პირველი პილოტია ფორმულა 1-ის ისტორიაში, ვინც 1500 ქულაზე მეტი დააგროვა. იაპონიის შემდეგ მისი მონაგარი 1501 ქულას შეადგენს. ალონსო მეორე ადგილზეა 1031 ქულით, მაგრამ ახალი სისტემის პირობებში ამჟამინდელი პილოტების „ფეხებთან“ შედარება არაკორექტულია. მაგალითად, დღეს სებასტიან ფეტელს 705 ქულა აქვს - უფრო მეტი, ვიდრე **რუბენს ბარიჩელოს** (658) ან **აირტონ სენას** (614).

გვერდი მოამზადა

გია თვალაგეიშვილმა

● კალათბურთი

NBA უფსკრულში მიდის

ლიგის კომისარმა ოფიციალურად გააუქმა რეგულარული ჩემპიონატის პირველი ორი კვირა



სამწუხარო ამბავი შეიტყვეს გუშინ კალათბურთის მოყვარულებმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობასა და ლიგის პროფკავშირს შორის უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ ოფიციალურად გაუქმდა NBA-ის რეგულარული ჩემპიონატის პირველი ორი კვირა. ეს ინფორმაცია თავად ლიგის კომისარმა **დევიდ სტერნმა** დაადასტურა. მისი განცხადებით, გულშემატკივრებს შეუძლიათ, დააბრუნონ ბილეთები და უკან მიიღონ თავიანთი ფული.

2011-12 ნლების სეზონი 2011 ნლის პირველ ნოემბერს უნდა დანყებულიყო, მაგრამ 14 ნოემბრამდე კალენდრით გათვალისწინებული ყველა მატჩი გაუქმებულია.

შეგახსენებთ, რომ ბოლო დღეებში დაპირისპირებულ მხარეებს შორის მთავარი საკამათო საკითხი ყოველწლიური მოგების გაყოფა იყო. ეს თანხა 3.8 მილიარდ დოლარს შეადგენს. კლუბების მფლობელებს მინიმუმ 50 პროცენტის მიღება სურდათ, მოთამაშეთა პროფკავშირი კი საკუთარი წილის 57-დან 53 პროცენტამდე შემცირებას თანხმდებოდა.

ჯერჯერობით არაფერი იტყობინებიან იმის შესახებ, როდის გააგრძელებენ მოლაპარაკებებს კლუბების მფლობელები და მოთამაშეთა პროფკავშირი.

„სამწუხაროდ, ჩვენ გავაუქმეთ ჩემპიონატის პირველი ორი კვირა. ჩემი აზრით, ორივე მხარე ბევრს მუშაობდა კომპრომისის მისაღწევად.

ვფიქრობ, ჩვენ საკმარისად სამართლიანი წინადადება შევთავაზეთ, იგივე გააკეთეს მოთამაშეებმა. მაგრამ ჩვენს შორის იმხელა სხვაობაა, რომ კომპრომისის მიღწევა ვერ შევძელით“, - განაცხადა ლიგის კომისარმა.

პროფკავშირის პრეზიდენტმა **დერეკ ფიშერმა** განაცხადა, რომ პირველი ორი კვირის გაუქმება კლუბების მფლობელების ხისტი პოზიციით იყო პროვოცირებული.

„სეზონის ნაწილის გაუქმება - ჩვენი არჩევანი არ არის. უბრალოდ, დღეს NBA-ში შეუძლებელია სამართლიანი შეთანხმების მიღწევა. ჩვენს ლიგაში მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელები თამაშობენ, ამიტომაც მათ იმაზე უკეთესი პირობები უნდა ჰქონდეთ, ვიდრე ამას კლუბების მფლობელები სთავაზობენ. შესაბამისად, ბოლომდე დავიცავთ ჩვენს უფლებებს. უკან დახევას არ ვაპირებთ“, - ამბობს ფიშერი.

„ვფიქრობ, ვუბრუნდებით იმ დროს, როცა დევიდ სტერნი ორი წლის წინ იმავე მოთხოვნებს აყენებდა. მაშინ მე ვუპასუხე: „ერთადერთი ხერხი, რითაც თქვენ ამას მიიღებთ - ლიგის ერთი ან ორი წლით დახურვაა“. დღეს მე მივხვდი, რომ მათ სწორედ ამის გაკეთება სურთ. სტერნი მზად არის, ამ სცენარს მისდიოს.

ჩემი აზრით, ლიგისთვის სისულელეა სეზონის გაუქმება მას შემდეგ, რაც შარშან საუკეთესო წელი გვქონდა NBA-ის ისტორიაში. არ მგონია, რომ ლიგამ სწრაფად შეძლოს აღორძინება ასეთი ხანგრძლივი ლოკაუტის შემდეგ. 1998 წელს დიდი დრო დაგვჭირდა ძველი პოზიციების აღსადგენად. ამჯერად კიდევ უფრო მეტი დრო გავა ხელმეორე აღორძინებამდე“, - მკაცრად აკრიტიკებს დევიდ სტერნს პროფკავშირების აღმასრულებელი დირექტორი **ბილ ჰანტერი**.

● ჩოგბურთი

შანხაი უსენსაციოდ დაიწყო



ენდი როდიკი

ჩინეთის ქალაქ შანხაიში სტარტი აიღო სეზონის ბოლოსწინა მასტერსმა. საწყის რაუნდში პირველ რვა ნომრად განთესილი ჩოგბურთელები ისვენებენ. პირველ წრეში ჯერჯერობით მოულოდნელობები არ მომხდარა.

წარმატებით დაიწყო შანხაიში გამოსვლა არგენტინელმა **დავიდ ნალბანდიანმა**. მსოფლიოს 57-ე ნომერმა რეიტინგში თავისი მეზობელი, 23 წლის ლატვიელი **ერნესტ გულბისი** ორ სეტში - 7:5, 6:4 დაამარცხა.

სამხრეთამერიკელმა 12 ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ სამი გამოიყენა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. გულბისს მხოლოდ ერთი ბრეიკი ჰქონდა, 10 ეისი ჩაანოდა, მაგრამ ამასთან, 9 ორმაგი შეცდომაც დაუშვა, რამაც განაპირობა კიდეც მისი მარცხი.

ისევ გაუჭირდა ბოლო დროს კრიზისში მყოფ **ენდი როდიკს**, რომელიც ამჟამად მე-15 ადგილს იკავებს მსოფლიო კლასიფიკაციაში. ამერიკელმა კარგად დაიწყო შეხვედრა ტაივანელ **იენ-ჰსუნ ლუსთან**, მაგრამ შემდეგ მეტოქემ ინიციატივა მოიპოვა და მეორე სეტი ერთადერთი ბრეიკის წყალობით თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მაგრამ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი დროულად მოეგო გონს და არ დაუშვა ზედიზედ მეორე ტურნირში პირველივე წრიდან გამოვარდნა. გადამწყვეტ პარტიაში როდიკმა ორი ბრეიკის შესრულება შეძლო და საათსა და 52 წუთში სამ სეტში გაიმარჯვა - 6:2, 3:6, 6:2.

როდიკმა 10 ეისი ჩააწოდა, მისმა მეტოქემ - შვიდი. ამასთან, ლუს ანგარიშზე შვიდი ორმაგი შეცდომა მოდის. ამ მატჩის შემდეგ ამერიკელისა და ტაივანელი ჩოგბურთელების ურთიერთშეხვედრებში ანგარიშია 4:1 ენდის სასარგებლოდ.

მეორე ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა წლევანდელი უიმბლდონის სენსაციამ, 18 წლის ავსტრალიელმა **ბერნარდ ტომიჩმა**. მან მარათონულ სამსეტიან მატჩში მოუგო რეიტინგის 30-ე ნომერს, სამხრეთაფრიკელ **კევინ ანდერსონს**. პირველ ორ სეტში მეტოქეებმა ვერც ერთი ბრეიკი ვერ გააკეთეს და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა - პირველ პარტიაში ტომიჩმა იმარჯვა, მეორეში - ანდერსონმა, მესამე სეტში კი ავსტრალიელმა ერთადერთი ბრეიკი გააკეთა ორსაათნახევრიან მატჩში და გადამწყვეტი პარტია 6:3 მოიგო.

სანყის წრეში ორი ნაკლებად ცნობილი ჩინელი ჩოგბურთელი გამოეთიშა ბრძოლას. ერთ-ერთი იყო მსოფლიოს 358-ე ჩოგანი **ჟე ლი**, რომელმაც თითქმის უბრძოლველად დათმო შეხვედრა ესპანელი **ფერნანდო ვერდასკოს** წინააღმდეგ. მატჩი საათსა და 14 წუთს გაგრძელდა და ესპანელმა მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტის შანსი მისცა მეტოქეს, თუმცა ლიმ ვერ შეძლო მისი გამოყენება. თავად 27 წლის ვერდასკომ კი ოთხჯერ აიღო ჩინელის მოწოდება და ამის ხარჯზე 6:2, 6:2 გაიმარჯვა.

ერთადერთი სათამაშო კომპონენტი, რაშიც ლი დიდად არ ჩამორჩებოდა მეტოქეს - ეისების რაოდენობაა - ვერდასკომ ექვსჯერ ჩაანოდა სუფთა ბურთი, ლიმ - ხუთჯერ.

კიდევ ერთმა ჩინელმა წააგო ორ სეტში - მსოფლიოს 398-ე ჩოგანმა **მაოსინ გონმაც** ვერ გაუწია დიდი წინააღმდეგობა ახალგაზრდა ამერიკელ **დონალდ იანგს** და ისიც ორ სეტში დამარცხდა - 1:6, 4:6. თუმცა პირველ სეტში გამანადგურებელი ანგარიშით მარცხის შემდეგ, მასპინძელმა მეორე პარტიაში ასე თუ ისე ღირსეულად იბრძოლა და ოთხი გეიმი აართვა მეტოქეს. მატჩი საათსა და 13 წუთს გაგრძელდა და იანგმა მეორე წრის საგზური მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე შვეიცარიელი სტანისლას ვავრინკა იქნება, ვინც არგენტინელი ხუან მონაკო გამოთიშა ბრძოლას.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფუტბურთი

ევრო 2012

ყაზახეთი-ავსტრია	0:0
გერმანია-ბელგია	3:1
თურქეთი-აზერბაიჯანი	1:0
ირლანდია-სომხეთი	2:1
მაკედონია-სლოვაკეთი	1:1
რუსეთი-ანდორა	6:0
იტალია-ჩრ. ირლანდია	3:0
სლოვენია-სერბეთი	1:0
ალბანეთი-რუმინეთი	1:1
საფრანგეთი-ბოსნია	1:1
უნგრეთი-ფინეთი	0:0
მოლდოვა-სან მარინო	4:0
შვედეთი-ჰოლანდია	3:2
ხორვატია-ლატვია	2:0
მალტა-ისრაელი	0:2
ბულგარეთი-უელსი	0:1
შვეიცარია-ჩერნოგორია	2:0
დანია-პორტუგალია	2:1
ნორვეგია-კვიპროსი	3:1
ლიტვა-ჩეხეთი	1:4
ესპანეთი-შოტლანდია	3:1

ევრო 2013

UNDER 21

ბოსნია-კვიპროსი	5:1
ბელარუსი-საბერძნეთი	1:3
მალტა-ლიტვა	0:2
უელსი-ჩეხეთი	0:1
სერბეთი-დანია	0:0
პოლონეთი-ალბანეთი	4:3
რუსეთი-პორტუგალია	2:1
იტალია-თურქეთი	2:0
ლიხტენშტაინი-ირლანდია	1:4
ლატვია-სლოვაკეთი	0:6
რუმინეთი-საფრანგეთი	0:2
ბულგარეთი-ლუქსემბურგი	3:2

ევრო 2012

UNDER 19

ირლანდია-რუსეთი	3:1
ბულგარეთი-ბოსნია	1:2
აზერბაიჯანი-იტალია	1:2
შვედეთი-რუმინეთი	0:0
გერმანია-ბელარუსი	3:3
ჩრ. ირლანდია-ჩერნოგორია	1:2

ამხანაგური მაჯრები

ესტონეთი-უკრაინა	0:2
ბელარუსი-პოლონეთი	0:2
განა-ნიგერია	0:0

მსოფლიოს თასი 2014

შესარჩევი. აზია

სინგაპური-იორდანია	0:3
ჩინეთი-ერაყი	0:1
ს. კორეა-საემიროები	2:1
ლიბანი-ქუვეითი	2:2
ჩრ. კორეა-უზბეკეთი	0:1
იაპონია-ტაჯიკეთი	8:0
ავსტრალია-ომანი	3:0
ტაილანდი-ს. არაბეთი	0:0
ინდონეზია-კატარი	2:3
ირანი-ბაჰრეინი	6:0

ს. ამერიკა

ბოლივია-კოლუმბია	1:2

ინგლისი

კონფერენსი

ალფრეტონი-ლინკოლნი	1:3
ბეტი-კემბრიჯი	3:4
ეგსფლიტი-ლუტონი	2:2
ფლიტვუდი-ნიუპორტი	1:4
გრიმსბი-ბაროუ	5:2
ჰეიესი-ფორესტ გრინი	2:0
კეტერინგი-ბრენტრი	2:1
კიდერმინსტერი-ტელფორდი	2:2
საუთპორტი-იორკი	1:1
სტოკპორტი-დარლინგტონი	1:4

ეროვნული ჩემპიონატები

რეგიონალიგა (სამ)

პფიულენდორფ.-ინგოლშტადტი A	0:1
ფრანკფურტი A-ფრაიბურგი A	2:1

კალათბურთი

საბერძნეთის თასი

პანათინაიკოსი-მარუსი	93:61

ალრიბჩიკის ლიგა

ჰემოფარმი-ზაგრები	80:77
გუდუჩნოსტი-ცრ. ზვეზდა	79:64
უნიონი-ცედევიტა	84:81

პოკერი

გერმანია

ინგოლშტადტი-ნიურნბერგი	3:2
კიოლნი-ჰამბურგი	4:3

ფინეთი

გლუზი-იუვიასკიულა	3:2 (ბ)
ილვესი-ჰელიკანსი	2:5
კერპეტი-ტპს	5:2

ჩეხეთი

ლიტვინოვი-კარლოვი ვარი	4:3 (ო)
ლიბერეცი-კლადნო	6:0
სპარტა-ვიტკოვიცე	4:2

შვეიცარია

ბილი-ფრიბურგი	0:2
დავოსი-ციურიხი	5:3
რაპერსვილი-კლოტენი	0:3
სერვეტი-ბერნი	1:2 (ბ)
ცუგი-ლანგნაუ	5:2

შვედეთი

ლინეჩოპინგი-ფერიესტადი	1:0
ფრიოლუნდა-აიკ	3:2 (ო)

ჩოგბურთი

ATP. შანხაი

ჰაასე-ნიშიკორი	6:0, 5:7, 6:7
ბელუჩი-ტურსუნოვი	7:6, 4:6, 5:7
ტიპსარევიჩი-ფ. ლოპესი	6:7, 6:7
მელცერი-ლუბიჩიჩი	6:4, 6:2
ჟანგი-შტეპანეკი	3:6, 3:6
კუბოტი-დოლგოპოლოვი	4:6, 6:7
რამოსი-ჩილიჩი	6:3, 6:4
ბოგომოლოვი-გრანოლერსი	6:2, 6:3
ნალბანდიანი-ფ. მაიერი	3:6, 4:6
რობრედო-ალმაგრო	5:7, 3:6
ჰარისონი-ტროიცკი	6:3, 6:3
რაონიჩი-ლოდრა	6:7, 6:2, 7:6
როდიკი-დიმიტროვი	7:6, 7:5
ვავრინკა-იანგი	6:7, 7:6, 6:2
სიმონი-მონტანიესი	6:1, 6:1
ფიში-ტომიჩი	6:4, 1:6, 4:6

WTA. ოსაკა

ნარა-კერბერი	2:6, 1:6
ნაკამურა-გაიდოშოვა	0:6, 1:6
კუკოვა-ჟენგი	1:6, 1:6
ჩანი-გოვორცოვა	1:6, 6:2, 4:6
მინელა-სემა	3:6, 3:6
მორიტა-ჟანგი	7:6, 6:2
აოიამა-შვედოვა	2:6, 0:6
სტოსური-ლერტჩეევაკარნი	6:3, 3:6, 7:5
ჩეტკოვსკა-დატე	6:2, 7:6

WTA. ლინცი

მაკაროვა-კეოტავონგი	4:6, 1:6
ციბულკოვა-ბალტაჩა	4:6, 7:6, 6:0
როდინა-რიბარიკოვა	6:3, 2:1
მ. გარიგესი-პავლიუჩენკოვა	4:6, 6:2, 3:6
ბენეშოვა-საფაროვა	3:6, 6:4, 3:6
გორჯესი-სევასტოვა	6:4, 3:6, 7:6
პაჩეკი-კირსტეა	5:7, 3:6
ჰერცოგი-ერანი	0:6, 3:6
პერვაკი-დიატჩენკო	6:4, 6:1
იანკოვიჩი-კ. ბონდარენკო	6:1, 6:0
კვიტოვა-მარინო	6:2, 6:2

● TV ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

12 ოქტომბერი. ოთხშაბათი

GMG-ფუტბურთი

10:00 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-ბელგია.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ბაიერნი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-მილანი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-პსჟ.
18:00 სუპერკოლაი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერი იუნ-ჩელსი.
21:00 სუპერკოლაი.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა.
00:00 იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ინტერი.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ჯენოა.
12:00 ახალი ამბები.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მაიამი-ოკლაჰომა.
14:00 სუპერკოლაი.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
15:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. რაფაელ ნადალი-ენდი მიურეი. მონტე კარლო.
19:30 ახალი ამბები.
20:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-პალმეირასი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
22:30 კალათბურთი. ევროლიგა. 2010-11. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
23:55 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მაიამი-ოკლაჰომა.

GMG-სპორტი 2

09:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი. მიმოხილვა.
10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. III დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
18:00 ახალი ამბები.
18:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სევილია.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. III დღე. შანხაი. ჩინეთი.

HTB-პლუსი (სპორტი)

12:55 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. გუნდური ფინალი. იაპონია (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

10:00 ATP-ის ტური. მასტერსი. III დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).

EUROSPORT

16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. ლინცი. ავსტრია (LIVE).

EUROSPORT-2

22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. ლინცი. ავსტრია (LIVE).

● კრივი



ადამეკი მარტში დაბრუნდება

მძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი და სუპერმძიმე წონაში ტიტულის ყოფილი ოფიციალური პრეტენდენტი, **ტომაშ ადამეკი** მომავალი წლის მარტში აპირებს რინგზე დაბრუნებას. შეგახსენებთ, რომ პოლონელმა მოკრივემ სექტემბერში ტექნიკური ნოკაუტით წააგო საჩემპიონო ბრძოლა უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსთან**.

ადამეკის თქმით, ამერიკული ტელეკომპანია HBO დაინტერესებულია 2012 წელს პოლონელის დაბრუნებით და უკვე შესთავაზა მას მომავალი ბრძოლისთვის ორი კანდიდატურა. ეს არის მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ბრიტანელი **დევიდ ჰეი** (თუ ბრიტანელმა არ დაასრულა კარიერა) და ამერიკელი **კრის არეოლა**, რომელიც ადამეკმა შარშან აპრილში მსაჯების გადაწყვეტილებით დაამარცხა.

...

ამასობაში, კიდევ ერთმა სუპერმძიმეწონოსანმა, WBA-ის მოქმედმა ჩემპიონმა **ალექსანდრ პოვეტკინმა** გაარკვია თავისი მორიგი მეტოქე. 32 წლის რუსი შემდეგ შეხვედრას ამა წლის 3 დეკემბერს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში გამართავს. მისი მოწინააღმდეგე იქნება ადგილობრივი სუპერმძიმეწონოსანი, 27 წლის **რობერტ ჰელენიუსი**.

ჰეიმ კარიერა დაასრულა

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა, ბრიტანელმა **დევიდ ჰეიმ**, შესაძლოა, ხუთშაბათს გამოაცხადოს კარიერის დასრულების შესახებ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჰეი თავის დანაპირებს აასრულებს. როგორც იცით, დევიდმა არაერთხელ განაცხადა, რომ 31-ე დაბადების დღეზე დაასრულებს კარიერას. 31 წელი ჰეის უახლოეს ხუთშაბათს უსრულდება.

ეს ვარაუდი კიდევ უფრო გაამყარა ბოლო ინფორმაციამ - ბრიტანელმა მოკრივემ ჩააბარა საკრივო ლიცენზია, რითაც უარი თქვა კარიერის გაგრძელებაზე. ამ ცნობას გაზეთი "სანი" ავრცელებს. მართალია, ეს ამბავი ოფიციალურად არავის დაუდასტურებია, მაგრამ კრივის ბრიტანული საბჭოს მდივანი **რობერტ სმიტი** „სანის" ფურცლებზე ასეთ რამეს ამბობს: *„ორშაბათს ელექტრონული ფოსტით მივიღე წერილი, რომელიც გვატყობინებს, რომ ჰეი აღარ აპირებს კარიერის გაგრძელებას. საბჭო ამ საკითხს ოთხშაბათს განიხილავს, თუმცა არანაირი საფუძველი არ გვაქვს, წინ აღვუდგეთ მოკრივის ამ გადაწყვეტილებას. ლიცენზიის გარეშე ის რინგზე გასვლას ვერ შეძლებს".*

ამასობაში, ბრიტანელი მოკრივის მენეჯერმა **ადამ ბუტმა** განაცხადა, რომ ყველაფერი WBC-ის ჩემპიონ **ვიტალი კლიჩკოზე** იქნება დამოკიდებული: *„დიახ, დევიდს არაერთხელ უთქვამს, რომ დაასრულებს კარიერას, როგორც კი 31 წლის გახდება. სავარაუდოდ, ასეც იქნება, თუ ვიტალი კლიჩკო ვერ მოასწრებს ჰეისთვის რეალური წინადადების შეთავაზებას".*

პაკიაო ამერიკაში ჩავიდა

საკრივო წრეებში აქტიურად ალაპარაკდნენ მენისა და ამირ ხანის ბრძოლაზე

12 ნოემბერს ლას ვეგასში წლის ერთ-ერთი მთავარი საკრივო ორთაბრძოლაა დანიშნული - მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ აღიარებული ფილიპინელი **მენი პაკიაო** მექსიკელ **ხუან მანულ მარკესს** შეხვდება.

რვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონი პაკიაო გუშინ ლოს ანჯელესში ჩავიდა, სადაც ბოლო, ხუთკვირიან შეკრებას გაივლის. ფილიპინელი კარიერაში მესამედ შეხვდება მარკესს. ამ მოკრივეთა პირველი ჩხუბი ფრედ დასრულდა, მეორე კი პაკიაომ მოიგო.

ფილიპინელი ამჟამად ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს საკრივო ორგანიზაციის საჩემპიონო ქამარს ფლობს და მომავალ შეხვედრაში სწორედ ეს ტიტული გათამაშდება.

აეროპორტში პაკიაომ განაცხადა, რომ თითქმის ოპტიმალურ ფორმაში იმყოფება. მისი თქმით, ამჟამად 80 პროცენტით მზად არის მარკესთან შესახვედრად.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, რატომ დაიწყო ასე ნაადრევად მზადება ამ ბრძოლისთვის, მენიმ უპასუხა, რომ ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა, თანაც მარკესი სერიოზული მეტოქეა, რაც მან წინა ბრძოლებში დაამტკიცა. თუმცა, პაკიაოს თქმით, არ ეეჭვება, რომ ამჯერადაც გამარჯვებული დატოვებს რინგს.

ორი წლის წინ მენი პაკიაო პოლიტიკაში წავიდა და ამჟამად ფილიპინების კონგრესის წევრი გახლავთ, გაისად კი ქვეყნის ერთ-ერთი ოლქის გუბერნატორის პოსტზე იყრის კენჭს. ამის გამო, მენიმ, შესაძლოა, სულ მალე დაასრულოს თავისი ბრწყინვალე საკრივო კარიერა.

...

პაკიაოზე უფრო საინტერესო განცხადებები მოკრივის მწვრთნელმა **ფრედი როუჩმა** გააკეთა. კერძოდ, ცნობილმა სპეციალისტმა თქვა, რომ არ გამორიცხავს ახლო მომავალში პაკიაოსა და ბრიტანელი ჩემპიონის **ამირ ხანის** შეხვედრას. ამ ინფორმაციაში საინტერესო ის არის, რომ როუჩი ხანის მწვრთნელიც გახლავთ.

ფრედმ ერთი საინტერესო მომენტი გაუმხილა ჟურნალისტებს - პაკიაოს გუნდის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მწვრთნელს სთხოვა, სპარინგში აღარ შეაჯიბროს ერთმანეთს მენი და ამირი, როგორც ეს ადრე ხდებოდა. სახელოვანი მწვრთნელი ასეთი ბრძოლის წინააღმდეგია, მაგრამ თუ ის მაინც გაიმართება, როუჩი პაკიაოს მხარეს დაიჭერს.

"ჩემი აზრით, ასეთი ბრძოლა შესაძლებელია, - ამბობს ფრედი როუჩი. - არ მინდა, მსგავსი რამ მოხდეს, მაგრამ პაკიაოს მეტოქეები გამოელია, მისი ბრძოლა ამირ ხანთან კი წესით, კარგად გაიყიდება. შემთხვევითი არ არის, რომ პაკიაოს ბანაკიდან ვიღაცამ მთხოვა, ისინი სპარინგში აღარ დავაყენო ერთმანეთის წინააღმდეგ. თუ ასეთი ბრძოლა მაინც გაიმართა, გარწმუნებთ, რომ რინგზე მენის კუთხეში ვიმუშავებ, რადგან ის ჩემი ბიჭია".

შეგახსენებთ, რომ ამირ ხანმა ცოტა ხნის წინ ნახევრადსაშუალო წონაში გადასვლა გადაწყვიტა, სადაც სწორედ ფილიპინელი მოკრივე ასპარეზობს.

ფრედი როუჩმა აგრეთვე კომენტარი გააკეთა ამირ ხანისა და **ფლოიდ მეივეზერის** მომავალ შეხვედრაზე: *"უკვე ბევრი მოვისმინე ამირისა და ფლოიდის ჰოტენციურ დაპირისპირებაზე, მაგრამ ახლა ჩვენ გველის ბრძოლა ლამონტ პიტერსონთან. ეს ბიჭი ფიზიკურად ძალიან ძლიერია და ბრძოლის წარმართვის კარგი მანერით გამოირჩევა, ასე რომ, წინ რთული შეხვედრაა. თუმცა ამ ბრძოლის შემდეგ მივმართავთ მეივეზერს. სიმართლე გითხრათ, ყოველთვის მეგონა, რომ პაკიაო პირველი შეხვდებოდა ფლოიდს, თუმცა შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩემი ორივე მოკრივე დაამარცხებს მეივეზერს".*

● ალიარება

ვიჭი ლეგენდა გახდა

სახელოვან გერმანელ მოციგურავე **კატარინა ვიტს** სამშობლოში „სპორტის ლეგენდის" ტიტული მიანიჭეს. როგორც სააგენტო „როიტერი" იტყობინება, ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონია სპორტული პრესის რიგით 30-ე მეჯლისზე შედგება. ეს ღონისძიება 5 ნოემბერს ფრანკფურტის ოპერის დარბაზში გაიმართება.

მსოფლიოს ოთხგზის, ევროპის ექვსგზისა და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი პირველი ქალი სპორტსმენია, ვისაც „სპორტის ლეგენდად" აღიარებენ. უწინ ასეთ ჯილდოებს მხოლოდ მამაკაც სპორტსმენებს გადასცემდნენ. მანამდე მსგავსი პატივი წილად ხვდათ მიუნხენის „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ყოფილ მეკარე **ოლივერ კანს**, უიმბლდონის სამგზის ტრიუმფატორს, „დიდი სლემის" ტურნირების ექვსგზის ჩემპიონ **ბორიკ ბეკერს**, ხელბურთში გერმანიის ნაკრების მწვრთნელ **ჰაინერ ბრანდტსა** და ლეგენდარულ გერმანელ ფეხბურთელ **ფრანც ბეკენბაუერს**.

„სპორტის ლეგენდა" - ეროვნული პრემიაა, რომელიც მიენიჭება გერმანიაში მცხოვრებ ან მოღვაწე სპორტსმენებს. ის სპორტული გამოცემების გაერთიანებამ დააწესა და სწორედ ეს ორგანიზაცია აწესებს აღნიშნულ ჯილდოს. პრემია ყოველწლიურია და ის გერმანული სპორტული პრესის მეჯლისისას გადაეცემა ლაურეატს.

● ჩოგბურთი

ალბანელებმა ჯოკოვიჩი დასაჯეს

მსოფლიოს პირველი ჩოგანის, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** კუთვნილი რესტორნის ოფიციალური ვებგვერდი ალბანელმა ჰაკერებმა „გატეხეს". როგორც letsbytecode.com იტყობინება, ვებგვერდში შელწევის შემდეგ სასტარტო გვერდზე გაჩნდა ბანერი ალბანეთის დროშითა და წარწერით: „ალბანელი ჰაკერების ჯგუფი". ვირტუალური შეტევის შემდეგ ვებგვერდმა - www.novakcafe.rs-მა ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა მუშაობა.

ეს არ არის სერბი სპორტსმენების ინტერნეტ-რესურსებზე პირველი შეტევა. 2008 წელს კოსოველმა ალბანელებმა „გატეხეს" სერბი ჩოგბურთელების - **ელენა იანკოვიჩისა** და **ანა ივანოვიჩის** ვებგვერდები. იმ დროისთვის იანკოვიჩი მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო.

სავარაუდოდ, ჯოკოვიჩის ვებგვერდზე შეტევა იმით იყო გამოწვეული, რომ გასულ კვირას მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა განაცხადა - არ აღიარებს კოსოვოს დამოუკიდებლობას და მას სერბეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ჯოკოვიჩი საკუთარი რესტორნის ფონზე